

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ია გიგიბერია

პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა  
ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს განვითარებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
ფიქრია წოჭკოლაური  
ეკონომიკის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

## შინაარსი

ანოტაცია .....	3
ანოტაცია (ინგლისურ ენაზე) .....	5
შესავალი.....	7
თავი 1. პროფესიული განათლების თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია	
1.1. განათლება, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი .....	16
1.2. პროფესიული განათლების განვითარების ეტაპები .....	22
1.3. პროფესიული განათლება ევროპის ქვეყნებში .....	26
თავი 2. პროფესიული განათლება საქართველოში .....	41
2.1. პროფესიული განათლების ისტორიული წინამძღვრები საქართველოში.....	41
2.2. პროფესიული განათლების რეფორმა, მართვა და კოორდინირება .....	48
2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა. არსებული გამოწვევები .....	50
თავი 3. პროფესიული განათლების სისტემის რეგულირების მექანიზმები.....	66
3.1. პროფესიული განათლების რეგულირებისადმი მიდგომები .....	66
3.2. დუალური პროფესიული განათლება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში .....	76
3.3. საკანონმდებლო დონეზე, სამეწარმეო საქმიანობის მიმართ პროფესიული სასწავლებლების დამოკიდებულება.....	91
დასკვნა და რეკომენდაციები .....	108
გამოყენებული ლიტერატურა .....	111
დანართები .....	120

## ანოტაცია

ნაშრომში დახასიათებულია პროფესიული განათლების მნიშვნელობა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ნაშრომში განხილულია ის ტენდენციები, რაც თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემას ახასიათებს. წარმოჩენილია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურების ჩართულობის ხარისხი პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (Work-Based Learning) მიმართულებით გაანალიზებულია პროფესიული განათლების რეფორმა, პროფესიული სწავლების მართვის და კოორდინირების აუცილებლობა, შესწავლილია ის მახასიათებლები და გარემოებები, რაც პროფესიული განათლების რეფორმირების მიმართულებებით არის ჩასატარებელი.

ნაშრომში აგრეთვე შესწავლილია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება. აღნიშნულია, რომ პროფესიული განათლების განვითარება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ რეალობაზე. ეროვნული სტრუქტურების მუშაობა, ეკონომიკის განვითარების წინაპირობები და ტრადიციები ყოველთვის საფუძველია პროფესიული განათლების კომპონენტების წარმატებით დასაწერად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაანალიზება და გათვალისწინება, რაც პროფესიულ განათლებაში უკვე არსებობს.

ნაშრომში ცალკე თავი დათმობილი აქვს პროფესიულ განათლებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას – სწავლების შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან. აღნიშნულია, რომ საუკეთესო გზა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალების შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებასთან, არის მექანიზმების შემუშავება, რომლებიც დააკავშირებენ დამსაქმებელთა ინტერესებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რაც ხელს შეუწყობს საწარმოებში არსებული სამუშაო გარემოს აქტიურ გამოყენებას პროფესიული კადრების მომზადების საქმეში.

აღნიშნულია რომ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ფორმა ე.წ. დუალური პროფესიული განათლებაა. კარგად აპრობირებული და წარმატებული მეთოდია გერმანიაში, სადაც მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა

მრეწველობის 97%-ს შეადგენს. მათში დასაქმებულთა უმეტესობა დუალურ განათლებაში ჩართული ადამიანები არიან. დუალური განათლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტი იღებს არამხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ ეუფლება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, უშუალოდ სამუშაო გარემოში. დუალურმა განათლებამ გერმანიაში ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია. აღნიშნულია, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც გერმანიისგან განათლების ეს მოდელი გადაიღეს უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდისთვის აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლება აღარ განიხილებოდეს, როგორც განცალკევებული სფერო, არამედ, როგორც განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი. ცალკეული საგნების შესწავლაზე დაფუძნებული პროგრამებიდან მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებაზე გადასვლა დაგვეხმარება მოქნილი, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და თვითდასაქმებას.

## Annotation

The aim of the dissertation is to determine the importance of professional development and its role in the development of the country's economy.

In the work, the trends are emphasized, which is characteristic of modern professional education system and presented as a state, as well as the quality of involvement of private structures for Work-based learning to support vocational education. Also, the vocational education reform is analyzed, the need for management and coordination, has been studied the characteristics and circumstances, which will be implemented in the direction of professional education reforms.

The dissertation work has also been studied experience of other countries in the field of vocational education. however notes, the development of vocational education depends on the reality in the country. National structures, prerequisites and traditions are always the basis for the successful implementation of professional education components. Therefore, it is important to analyze and incorporate the experience that already exists in vocational education.

In the last chapter of the work there is one of the biggest challenges in vocational education – the compliance of the teaching with the needs of the labor market. It was noted that the best way to ensure the coordination of workforce with the need for labor market is to develop mechanisms, which is related to the employee's interests with educational provisions and thus effectively use jobs as a strong learning environment. In many countries, there is a decisive role in the development of high-level work knowledge and productive modern economy.

It is noted that one of the forms of work-based teaching Dual Vocational Education is a well-tested and successful method in Germany, where small and medium enterprises account for 97% of the industry, and most of those employed are dual education participants. The main essence of Dual Education is that the student takes not only a theoretical but practical knowledge directly in the working environment. Dual education has penetrated almost all areas of business in Germany. Countries that have taken this model of education from Germany, have more easily overcome the economic crisis.

In the paper it is well-grounded that in terms of enhancing the flexibility and attractiveness of the vocational education system in our country it is necessary that professional education should not be considered as a separated, but as part of the united system of education. Separate subjects from the programs transition to Modular Educational Programs we will assist in the implementation of educational programs, flexibility, market-oriented requirements and competence-based.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საქართველო ეკონომიკური განვითარების და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის მხრივ მნიშვნელოვან პროგრესს აღწევს. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარია განათლების სისტემის ცვლილების ღონისძიებების განსაზღვრა და რეალიზება.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პროფესიულ განათლებაში არის ის, რომ სწავლება უნდა შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის საჭიროებებს. განათლების ამ მიმართულებამ დროულად უნდა უპასუხოს ტექნიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების პროცესს. თანამედროვე სამუშაო ძალის ბაზარი, მისი დინამიკა გულისხმობს, არა მხოლოდ თვისებრივად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, არამედ არსებულ სამუშაო ადგილებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილებას.

ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული კადრების შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებასთან, არის ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც დააკავშირებს დამსაქმებელთა ინტერესებს სასწავლო დაწესებულებებთან. ამრიგად, დამსაქმებლებს შესაძლებლობა ექნებათ სასწავლებლების მომზადებული სპეციალისტების ცოდნის ეფექტიანად გამოყენების, და ასევე სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე კადრების გადამზადების.

ამ პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. ჩვენ მიერ შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია დასავლეთ ქვეყნების გამოცდილება და დახასიათებულია წარმატებული მოდელები. აგრეთვე, განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც სხვა ქვეყნის მოდელის პირდაპირ გადმოტანისას შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, წინარე გამოცდილების ანალიზი და გათვალისწინება, რაც პროფესიულ განათლებაში წლების განმავლობაში არსებობს ჩვენს ქვეყანაში.

ასევე, განსაკუთრებული საფრთხის შემცველია იმგვარი სრულყოფილი მოდელების გადმოტანა, როგორებიცაა, მაგალითად, გერმანია-შვეიცარია-ავსტრიაში არსებული ე.წ. დუალური, ასევე დანიასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი შეგირდობის ტიპის და სხვა მოდელები, რომლებიც მყარ ეკონომიკურ ტრადიციას ეფუძნებიან,

რომელთა განხორციელების უმთავრეს წინაპირობას ეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს.

ისეთი ეკონომიკური გარემოს პირობებში კი, როგორც საქართველოა, ამგვარი სტაბილურობის მიღწევა კომპანიებისთვის რთულია. მათ დიდ ნაწილს უჭირს უახლოესი სამი ან თუნდაც ერთი წლის პერსპექტივით საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა.

ეს გარემოება, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის დუალური სწავლებისადმი მიდგომის - უმთავრესი პრინციპის დანერგვას, რომელიც კომპანიაში სწავლებისას სტუდენტისთვის სპეციალური, მოსწავლე-დასაქმებულის სტატუსის მინიჭებასა და მისთვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაოს შეთავაზებას გულისხმობს.

იმისათვის, რომ საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითის მიხედვით, დუალური მოდელის ყველა პრინციპის სრულყოფილად ამოქმედება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახლავე დაიწყოს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომით-სამართლებრივი გარემოს შექმნა. რაც გარკვეულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს გულისხმობს.

ახალი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და რეფორმის სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭიროა მყარი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რაც, პირველ რიგში, „ პროფესიული განათლების შესახებ “ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შემუშავებით არის შესაძლებელი. ახალი კანონის შემუშავება (და არა არსებულ კანონში ცვლილებების განხორციელება) ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ვრცელდება მოქმედი კანონის მნიშვნელოვან ნაწილზე და ამასთანავე, გვთავაზობს ახალ მიდგომებსა და პრინციპებს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით.

დუალური სწავლების ფორმა გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების პროცესში, პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს სტუდენტის პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისთვის. ის ეხმარება და ზრდის სერვისის მიწოდების ეფექტიანობის მაჩვენებელს, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობას. შედეგად, ახალგაზრდებს შორის



უმუშევრობის დონე მცირდება, რაც ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, ამ მოდელის ფარგლებში საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას ექნება სინერგიის ეფექტი, რაც მასში ჩართულ ყველა მხარეს მისცემს სიახლესა და განვითარებაზე ორიენტირების სტიმულს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, დიდ წვლილს შეიტანს ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

პროფესიული სწავლების რეფორმირების მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დუალური განათლების დანერგვაზე ინიციატივა უმთავრესად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან არის. სწავლება კი უფრო ეფექტიანი იმ შემთხვევაში იქნება, თუ მოთხოვნა სწავლების ასეთ ფორმაზე თავად კომპანიებიდან იქნება. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გასათვალისწინებელია დამსაქმებლების წახალისების სისტემის ამოქმედება.

კვლევა ითვალისწინებდა ახალი კანონპროექტის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ კოლეჯებისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების იმიტირებულ გარემოში/სასწავლო საწარმოში სწავლების მოდელის შემუშავებას, რომელიც კოლეჯს შესაძლებლობას მისცემს შემოსული თანხებით გაიუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და გარკვეულწილად შეამციროს სახელმწიფოს პროგრამულ დაფინანსებაზე მოთხოვნა. ნაშრომში გაანალიზებულია სწავლის ამ მოდელის ამოქმედებით დამსაქმებლის სასწავლო პროცესში ჩართვის სტიმულირების მექანიზმები.

სამეწარმეო საქმიანობის მიმართ შესწავლილია პროფესიული განათლების სამი კოლეჯის: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“, დამოკიდებულება.

### **კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანა**

დახასიათებულია პროფესიული განათლების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის, პროფესიული განათლების სფერო, მისი თავისებურებები, შემუშავებულია სწავლის პროცესში დამსაქმებლის ჩართულობის მექანიზმები.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა:

- პროფესიული განათლების ისტორიული წანამდღვრებისა და განვითარების ეტაპების გამოვლენა;
- ევროპის ქვეყნების პროფესიული განათლების გამოცდილების შესწავლა და ანალიზი;
- პროფესიული განათლება საქართველოში და მიმდინარე რეფორმის ანალიზი;
- დუალური პროფესიული განათლების დანერგვის პერსპექტივების ანალიზი;
- პროფესიული განათლების სისტემაში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების ანალიზი;
- პროფესიული განათლების პრესტიჟის ასამაღლებლად ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს მხრიდან კოლეჯებისათვის ეკონომიკური სარგებლის ხელშეწყობა და შესაბამისი რეგულაციების შემუშავება;
- კვლევის შედეგების შეფასება, დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

### **ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული განათლების შესახებ სხვადასხვა მკვლევართა სამეცნიერო შრომები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები, ანგარიშები და კვლევები; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები; ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები და ანგარიშები.

შევისწავლეთ საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის არაერთი რეფორმა, ძირეული რეფორმის დაწყება (2007) და ახალი კანონპროექტის (2018) შექმნის აუცილებლობა.

გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები: დოკუმენტების ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ (ნახევრად სტრუქტურირებული).

კვლევის მიზნის რეალიზებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ კვლევის პირველ ეტაპზე, 2007 წლიდან დღემდე, არსებული საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული პროექტების, კვლევების, ანგარიშების, შეფასებების დოკუმენტაციის შესწავლა, ხოლო მეორე ეტაპზე – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს განხორციელება.

კერძოდ, გამოვიყენეთ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ და გაეროს განვითარების UNDP პროგრამის მხარდაჭერით „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები და კვლევები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული განათლების მიწოდების ანალიზი აჭარის ტურიზმის სექტორისთვის, 2012;
- დუალური პროფესიული განათლების პროგრამების სარგებელი და მასთან დაკავშირებული ხარჯები, 2016;
- ღვინის სექტორის მხარდაჭერა საქართველოში. დუალური განათლების სისტემის დანერგვა ღვინის სექტორში;
- დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, 2014;
- პროფესიულ სტუდენტთა განწყობების კვლევა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, 2014;
- მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა პროფესიულ განათლების მიმართ, 2014;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია, 2016;
- სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა, 2015;

ასევე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროექტ „რეფორმეტრის“ მიერ პროფესიული განათლების რეფორმის შეფასება (2017 წ. ოქტომბერი და 2018 წ. აპრილი).

რაც შეეხება ჩაღრმავებულ ინტერვიუს, კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, შეირჩა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. ასეთი ინტერვიუ საშუალებას იძლევა, იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის პასუხი

ბუნდოვანი ან ზედაპირულია და ვერ ხერხდება საყურადღებო ინფორმაციის მიღება, შესაძლებელია რესპონდენტს ჩაღრმავებული კითხვები დაუსვას.

თბილისსა და რეგიონებში საკვლევ ობიექტებად შეირჩა სამი ყველაზე მოთხოვნი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო უშუალოდ პროფესიულ კოლეჯებში რესპოდენტებად შეირჩნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები – დირექტორები.

წარმოდგენილი ნაშრომი პროფესიული განათლების სფეროს პირველი ფუნდამენტური კვლევაა, რომელიც ამ სფეროს განვითარების თითქმის ყველა მხარეს ახასიათებს.

### **მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები**

კვლევის თანახმად ნაშრომში შემოთავაზებულია შემდეგი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული, რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. ახალი კანონპროექტით (მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა) მათ უკვე შეეძლება სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება.

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავისთავად სასწავლო დაწესებულების სასწავლო საწარმოში, სასწავლო პრაქტიკის დროს იქმნება რეალური საქონელი ან ხორციელდება სათანადო მომსახურება.

- პროფესიული კოლეჯის სტუდენტის შექმნილი პროდუქციის რეალიზების შემთხვევაში სასწავლო საწარმოს შეუძლია ხარისხზე ორიენტირებული რეალური საწარმოს კონკურენტი გახდეს. კოლეჯს შესაძლებლობა ექნება შემოსული თანხებით გაიუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და, გარკვეულწილად, შეამციროს სახელმწიფოს მიერ პროგრამულ დაფინანსებაზე მოთხოვნა.

- კოლეჯი შეძლებს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები.

- დამსაქმებელს საშუალება ექნება წარმოებაში თვალყური ადევნოს მომუშავე სტუდენტის საქმიანობას, მისი შრომისადმი დამოკიდებულებას, მის შექმნილ პროდუქციას, რომ ადგილზევე შეარჩიოს სასურველი კადრი.

მონაცემების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის იმიტირებულ გარემოში/სასწავლო საწარმოში შექმნილი პროდუქციის გაყიდვის უფლების მინიჭების შემთხვევაში სასწავლებელი საწარმოს აყენებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში და ამით ბიზნესის ძლიერი კონკურენტი ხდება.

- საგანმანათლებლო დაწესებულებას პროდუქციის წარმოებაზე აქვს გარკვეული შეღავათები, ამიტომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა, ხოლო ფასი ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით დაბალია.

ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებიდან გამომდინარე, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს შემდეგი სახის რეგულაციები:

- განისაზღვროს წარმოების მოცულობა, რადგან პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები შესაძლოა სასწავლებლისთვის მომხიბლავი აღმოჩნდეს და სწავლას ნაკლები ყურადღება დაეთმოს.

- დარეგულირდეს პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების სქემა, რადგან სასწავლო დაწესებულების მიერ შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება ბევრად დაბალია ჩვეულებრივ საწარმოში შექმნილ პროდუქციასთან შედარებით.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის თეორია და მენეჯმენტის მეცნიერების ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები. გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, სტატისტიკური ანალიზის, შედარების მეთოდები. პროფესიული განათლების სისტემის შესწავლის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილია მისი განვითარების პრობლემები. აღნიშნული პრობლემები განხილული და შესწავლილია, როგორც თეორიული მნიშვნელობის, ასევე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლების სისტემა, მისი განვითარების ტენდენციები და ასპექტები ფართოდაა გაშუქებული სამამულო და უცხოურ ლიტერატურასა და სამეცნიერო შრომებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთ მეცნიერთა შრომები, როგორცაა:

- Peter Damlund Koudahl “Vocational education and training: dual education and economic crises” Denmark 2011
- BiBB “Vocational education and training in European countries” Bonn 2014
- Michael Gressler, Susanne Peters “Implementation of Dual Training Programmes through the Development of Boundary Objects: A Case Study” university Bremen 2017
- Кириленко Ю. „Основные тренды развития системы профессионального образования германии“ Томск, 2012;
- Муратов В.С. Возможности дуальной системы образования при подготовке товароведов-экспертов // Успехи современного естествознания 2008

პროფესიული სწავლების საკითხებზე მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ ასევე ჩატარებული ქართველ მეცნიერებს:

- ასათიანი ა. „პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში“ საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი თბილისი, 1990;
- აბუაშვილი თ. „საქართველოს განათლების სისტემა და ევროკავშირის როლი“, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი თბილისი, 2014;
- რუხაძე ნ. „ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი“ თბილისი 2016;
- მუსხელიშვილი მ. „განათლების რეფორმა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი, 2007;
- ჭავჭავაძე ი., „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“, „სიტყვა წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“. 1898;
- მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ. & სურგულაძე ა. „თბილისის ისტორია“ თბილისი, 1958;
- ნავდარაშვილი, დ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ტფილისი სტამბა ქალაქთა კავშირისა თბილისი, 1973.

ამა თუ იმ დარგის კვლევა საკმაოდ დიდ ძალისხმევას, შესაბამის ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რა მეთოდს გამოიყენებენ, რომ დასმული პრობლემა სწორად გადაიჭრას, რაც განსაზღვრავს შემდგომში კვლევის წარმატებას და ადეკვატურობას.

აღნიშნული პრობლემის კვლევის პროცესში ჩატარებულია სოციალური კვლევა, რაც მონაცემთა შეგროვებას, ორგანიზებას და ანალიზს ემსახურება. ასეთი კვლევის ჩატარება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შესაბამისი კვლევის შედეგები უშუალოდ გავლენას ახდენს მთელს საზოგადოებაზე.

სოციალური კვლევის მეთოდები, რომლებიც ორ დიდ ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. მათ საერთო მიზანი აქვთ-სოციალურ ფენომენტთა გაგება და ახსნა. თუმცა ამისთვის განსხვავებულ ტექნიკას მიმართავენ. რაოდენობრივი კვლევა მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი ტექნიკაა. მონაცემების შეგროვების მთავარი ინსტრუმენტი მასობრივი გამოკითხვაა, რაც გულისხმობს კითხვარის შედგენას ამა თუ იმ საკითხის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების შესასწავლად.

თვისებრივი მეთოდები სიღრმისეულად შეისწავლის სოციალურ ცხოვრებას. თვისებრივი მეთოდები არ ექვემდებარება რაოდენობრივ ანალიზს. აკლია მათემატიკული სიზუსტე, ასეთი კვლევის დროს ვერ ვიღებთ ინფორმაციას თუ როგორია თანაფარდობა, პროცენტული რაოდენობა, საზოგადოების განსხვავებული მოსაზრებების მქონე ნაწილებისა, შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებით. თვისებრივი მეთოდის უმთავრესი ღირსებაა დავინახოთ და აღვწეროთ სამყარო კვლევის ობიექტის თავისებურებების გათვალისწინებით.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

სადისერტაციო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოსებს, სტუდენტებს და მკვლევარებს, რომლებიც ქვეყანაში პროფესიული განათლების საკითხით, განათლების ამ ფორმის საჭიროების და აუცილებლობის შესწავლით არიან დაინტერესებულნი. კვლევა შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს უნივერსიტეტებში და კოლეჯებში მენეჯმენტის სასწავლო კურსების წაკითხვისას.

ნაშრომი საინტერესოა იმ მენეჯერებისათვის, ვისაც სურს დუალური პროფესიული განათლების პროცესში ჩართვით მეტი მოგება მოუტანოს საწარმოს. ნაშრომის მასალა საინტერესო იქნება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მომავალში საქმიან ურთიერთობას გეგმავს პროფესიულ კოლეგებთან.

### **ნაშრომის სტრუქტურა**

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „პროფესიული განათლების თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია“ განხილულია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსის ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტიანობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების ყველა სფეროში. მნიშვნელოვანია კვლევის სფეროში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა. განხილულია საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების ეტაპები.

სხვადასხვა საერთაშორისო დონორების დახმარებით არაერთი პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დანიშნულებაც პროფესიული განათლების სექტორის რეფორმირება და განვითარება წარმოადგენს. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან გათანაბრებას უწყობს ხელს. განვიხილულია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება: ნორვეგია, დანია, შვეიცარია, ესტონეთი, საფრანგეთი.

ნაშრომის მეორე თავში – „პროფესიული განათლება და განათლების სისტემა საქართველოში“ აღწერილია პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში. პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. არაერთი ხელობა,



რომელიც დღეს პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, საქართველოს შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

მე-20 საუკუნიდან სახელობო განათლების კერად პროფესიულ-ტექნიკური სკოლები მიიჩნეოდა, თუმცა, მიუხედავად შეთავაზებული პროფესიების მრავალფეროვნებისა, საბჭოთა დროში მათი პრესტიჟი დაბალი იყო.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო. რეფორმის აუცილებლობა განაპირობა პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა პრობლემებმა, კერძოდ: პროფესიული განათლების დაბალი პრესტიჟი, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობა, წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის არარსებობა, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის დახვეწის აუცილებლობა, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა.

ახალი საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა სამეწარმეო განათლებას, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის საჭირო ცოდნის გადაცემას, მხარდაჭერილი იქნება სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება, პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობა. დამსაქმებლებს საშუალება მიეცა მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების ციკლის ყველა ეტაპზე – კვალიფიკაციის ფორმირებიდან კვალიფიკაციის მინიჭების ჩათვლით. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში და სისტემის მიმზიდველობის გაზრდას.

ნაშრომის მესამე თავში – „პროფესიული განათლების სისტემის რეგულირების მექანიზმები“ განხილულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები, მათ შორის დუალური პროფესიული განათლება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. აღნიშნულია, რომ დუალური განათლების მთავარი არსი ისაა, რომ სტუდენტი იღებს არამხოლოდ თეორიულ, არამედ — პრაქტიკულ ცოდნასაც, უშუალოდ სამუშაო გარემოში.

დახასიათებულია პროფესიული განათლების სტრატეგია და აღნიშნულია, რომ მის მერ სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

განათლების დუალური მოდელი გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში; პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს სტუდენტის პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისთვის; ეხმარება და ზრდის სერვისის მიწოდების ეფექტიანობის მაჩვენებელს, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობას. შედეგად ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე მცირდება, რაც ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. დამაიმედებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყნებში, რომლებმაც თავის დროზე განათლების ეს მოდელი გერმანიისგან გადაიღეს და დანერგეს, უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი.

## **თავი 1. პროფესიული განათლების თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია**

### **1.1. განათლება, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი**

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველსაყოფი რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

აღსანიშნავია რომ, პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს. ამ ვითარებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ

არსებობს შრომის ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმი, რაც დაეხმარებოდა მართვის ორგანოებს პროფესიული განათლების პოლიტიკის სწორად დაგეგმვაში, შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნებისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით. მოცემულ ეტაპზე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, გარკვეული კომპეტენციების განვითარების შემდეგ გავიდნენ შრომის ბაზარზე და კვლავ დაბრუნდნენ სისტემაში სწავლის გასაგრძელებლად ან ახალი კვალიფიკაციის მისაღებად. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო შესაძლებლობები ხელმისაწვდომი არ არის. საგანმანათლებლო პროგრამები არსებითად ორიენტირებულია პროფესიული უნარების განვითარებაზე და ნაკლებად ავითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება და სხვა. სტუდენტთა შეფასების სტანდარტები არ არსებობს და საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად აფასებენ სტუდენტებს. შეფასების მიმართ ამგვარი მიდგომა არ იძლევა არც შეფასების სტანდარტიზაციისა, და არც ერთსა და იმავე პროფესიულ სფეროში სხვადასხვა სასწავლებლის მიერ გაცემული კვალიფიკაციების იდენტურობის გარანტიას. სტუდენტთა შეფასების არსებული სისტემა უფრო ცოდნას აფასებს, ვიდრე კომპეტენციას, საკმაოდ იშვიათია კრიტერიუმით განსაზღვრული შეფასება.

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესმა ღრმა კრიზისამდე მიიყვანა მრავალი სფერო, მათ შორის, საქართველოს განათლების სისტემაც.

სისტემას მნიშვნელოვნად შეუმცირდა დაფინანსება. კორუფციამ, სასწავლო მასალისა და მოწყობილობების დანაკლისმა, მოშლილმა ინფრასტრუქტურამ, მოძველებულმა სასწავლო პროგრამებმა, გააუარესა მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის მოტივაცია. მრავალმა სხვა ფაქტორმა მთლიანად მოშალა და დაანგრია განათლების სისტემა.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ევროინტეგრაციის გზაზე სერიოზული ნაბიჯები გადადგა, სახელმწიფომ გაატარა საგანმანათლებლო რეფორმები.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2005 წლის 31 აგვისტოს №150 დადგენილებით დაამტკიცა „პროფესიული განათლების კონცეფცია“. მნიშვნელოვანია ის ხედვა, რომელსაც ეყრდნობოდა განათლების სისტემის რეფორმა – სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული თითოეული თანამედროვე განვითარებული სამყაროს სტრატეგიული მიზანი და,

ამავდროულად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპია.

არსებითი ცვლილება, რაც პროფესიული განათლების ახალმა მარეგულირებელმა დოკუმენტებმა იმ პერიოდისათვის გაამარტივა, გახლდათ პროფესიული განათლების საფუძვლების ერთმანეთისაგან გაყოფა (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2007).

პროფესიული განათლების რეფორმა ჯერ კიდევ იმ პერიოდში ეფუძნებოდა თვისებრივად ახალ ხედვას – პროფესიული განათლების სფეროს განვითარება პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო სამუშაო ადგილების კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის გზით შექმნასთან.

სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა პროფესიული განათლების სფეროში უნდა განხილულიყო, როგორც მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების სისტემის შექმნის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო მომსახურების კავშირს ეკონომიკასთან და განსაზღვრავდა კვალიფიკაციებზე, კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს.

სწავლებისადმი ამგვარი მიდგომა, პირველ ყოვლისა, დამსაქმებლის ინტერესებსაც გულისხმობდა, რამდენადაც გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა სწორედ საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი სამუშაო ძალის გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება (Work-Based Learning) მთავრობამ, ჯერ კიდევ 2005 წლის დოკუმენტში ასახა. თუმცა რამდენად განხორციელდა ეს მიდგომა, ჩვენ ქვემოთ გავეცნობით.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს № 50 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის რეალიზაციის გეგმის თანახმად, დამუშავდა ახალი ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების – პროფესიული სწავლების ცენტრების შექმნის კონცეფცია. განხორციელდა 11 პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია თბილისსა და რეგიონებში, ცენტრები აღიჭურვა შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზით.

2005 წელს მომზადდა პრეზიდენტის ოთხწლიანი ნაციონალური პროგრამა

„პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებდა დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე პროფესიული სწავლების ცენტრების შექმნას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2006 წელს გამოიყო 4.000.000 (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა, 2005), ხოლო 2007 წელს 7.000.000 ლარი (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა, 2006).

საქართველოსათვის პროფესიული განათლების ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. დღეს ამ მიმართულებით საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში პირველი ნაბიჯი იდგმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი ემყარება დოკუმენტი- „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“ გათვალისწინებულ პრიორიტეტებსა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.

ზემოთაღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ლისაბონის სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრულ და კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში შემუშავებულ, ევროკავშირის ტერიტორიაზე კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების მობილობის ამდლების ძირითად პრინციპებს, რომელთა განხორციელებაც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მსმენელებს, კურსდამთავრებულებსა და პედაგოგებს ევროპის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილების, სწავლისა და დასაქმების საშუალებას მისცემს.

აღნიშნულ პროცესებს, ბუნებრივია, სოციალური მნიშვნელობაც გააჩნიათ. კონცეფციის მიხედვით, პროფესიული განათლება მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების, ადამიანის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის საფუძვლადაც, ვინაიდან ამ პროცესში აქტიური მოქალაქის მონაწილეობა წარმოუდგენელია წარმატებული პროფესიული კარიერის გარეშე.

კონცეფციის მიხედვით, საქართველოში შეიქმნება პროფესიული განათლების ერთიანი სივრცე, სადაც იმოქმედებს გამჭოლი პროფესიული განათლების სისტემა სხვადასხვა დონის პროფესიული სწავლების ურთიერთდაკავშირებული პროგრამებით. ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისათვის

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში (Life Long Learning).

საქართველო ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის, რის გამოც ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

ევროპაში მიმდინარე რეფორმები ძირითადად შემდეგ მიმართულებას ეხება:

- სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, ნაცვლად მასწავლებლებზე ორიენტირებული მიდგომისა; ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული პროგრამები, ყველა სტუდენტისათვის მსგავსი პროგრამების სანაცვლოდ; მოქნილი პროგრამები ხისტი საგანმანათლებლო პროგრამების სანაცვლოდ; სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები ე.წ. „ინფუტზე“ ანუ რესურსებზე (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური) ორიენტირებული პროგრამების სანაცვლოდ.
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების ხარისხის, რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობას.

საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების ყველა სფეროში. განათლება უნდა გახდეს რეალურად ღია სისტემა, მის განსავითარებლად მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს საზოგადოებამ, დაინტერესებულმა პირებმა. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს არის სისტემის მუდმივი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც განათლების სისტემაში მოქმედი დაწესებულებების გააქტიურება, ასევე საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ზრდა და მათი ჩართულობა.

## 1.2. პროფესიული განათლების განვითარების ეტაპები

პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. არაერთი ხელობა, რომლებიც დღეს პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, საქართველოს შორეული წარსულიდან იღებს სათავეს (მაგალითად, მევენახე-მეღვინე, მემცენარე, მელიორატორი, კალატოზი, მეფილე-მომპირკეთებელი, მებათქაშე, მღებავი, ზეინკალი, მპერწავი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილის სპეციალისტი, თექის ხელოსანი, მემინანქრე, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, მშენებლობის მწარმოებელი, ფარმაცევტის თანაშემწე, სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმოების სპეციალისტი, ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი და სხვა მრავალი).

ხელოსნობა საქართველოში თავდაპირველად ოჯახურ მეურნეობებში ვითარდებოდა, ხოლო ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად შეკვეთით მოხელეობაში გადაიზარდა, საბოლოოდ კი ცალკე პროფესიებად ჩამოყალიბდა. ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად XIX საუკუნეში ქართველ განმანათლებელთა მესვეურობით სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სასწავლებლებს ჩაეყარა საფუძველი. ამ სახელობო სასწავლებლების კურსდამთავრებულობა პროფესიონალიზმის უმაღლეს დონეს ნიშნავდა. დიდი საწარმოების გაჩენასთან ერთად პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები შეიქმნა, რომელთა ბაზაზე დღესაც მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საქართველოში პროფესიული სწავლების სისტემამ მრავალი ცვლილება განიცადა და ამ სისტემაში არაერთი რეფორმა გატარდა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სახალხო განათლების ახალი სოციალისტური სისტემა შეიქმნა. ყველა სასწავლო დაწესებულება, მათ შორის პროფტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებელი გადაეცა სახალხო განათლების კომისარიატის უწყებას. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების მოსვლისთანავე ყველა კერძო სასწავლებელი და სახელოსნო სკოლა დაიხურა. დაწყებითი სკოლები და გიმნაზიის პირველი ოთხი კლასი გარდაიქმნა შრომის სკოლებად, ხოლო მომდევნო კლასები და სხვა სასწავლებლები – ჰუმანიტარულ ტექნიკუმებად. ეს პროცესი მიმდინარეობდა სტიქიურად, წინასწარი გააზრების,

შეფასების გარეშე. 1921-1922 სასწავლო წლებში საქართველოში უკვე ფუნქციონირებდა 86 ტექნიკუმი, მათ შორის 60 ჰუმანიტარული, 13 სოფლის მეურნეობის, 9 პედაგოგიური, 2 ინდუსტრიული და 2 სპეციალური ქიმიური. იმ მიზეზით, რომ ჰუმანიტარული ტექნიკუმები არავითარ პროფესიულ ცოდნას არ იძლეოდა და მათი არსებობა სახელმწიფოს არავითარ სარგებლობას არ აძლევდა და არც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები არ იყო საჭირო, მათ არ გააჩნდა მატერიალურ-ტექნიკური პირობები რეალური ფუნქციონირებისათვის, ისინი დაიხურა და დარჩა მხოლოდ ცამეტი. ამავე დროს, სოფელში შეიქმნა ორწლიანი ტიპური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა პრაქტიკოს აგრონომებს, მემინდვრეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის და სხვა დარგების სპეციალისტებს. გაიხსნა ასეთი ორი სასწავლებელი სოფელ შრომაში და წინამძღვარიანთკარში, ხოლო 1923 წელს მიიღეს გადაწყვეტილება მათი ქსელის გაფართოების შესახებ.

ამრიგად, შეიქმნა საწყისი საფეხურები სოფლის ახალგაზრდობის პროფესიული მიმართულებით მოსამზადებლად, რათა მათ ჩაებარებინათ გამოცდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დამთავრების შემდეგ სპეციალისტებს ენიჭებოდათ ტექნიკოსის წოდება და სამწლიანი პრაქტიკული მუშაობის შემდეგ ენიჭებოდათ ინჟინერ-პრაქტიკოსის წოდება მათ მიერ ამორჩეულ სპეციალობაში.

რეგიონების მიხედვით იქმნებოდა და შესაბამისად აღიჭურვებოდა პროფესიული სასწავლებლები, რომელთაც პროფესიული ტექნიკუმები და კოლეჯები ეწოდებოდა. სასწავლებლები ოთხწლიანი გახლდათ და მასში ზოგადი განათლების კომპონენტიც შედიოდა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის, იმ დროისათვის რვა კლასის, დასრულების შემდეგ მოსწავლეს სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში ან კოლეჯში შეეძლო და პროფესიის დაუფლების შემდეგ შესაძლებელი იყო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა. პროფესიული სასწავლებლის დასრულებისთანავე ზოგადი განათლების ატესტატიც გაიცემოდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ დაწესებულებების არც დაფინანსება ხდებოდა და არც რაიმე სხვა მიმართულებით განვითარება. შესაბამისად, დაწესებულებებში თანდათანობით მოსწავლეთა რაოდენობა კლებულობდა.



1970-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში და მათ შორის, საქართველოშიც, მოსწავლე, რომელსაც რვა კლასი ჰქონდა დამთავრებული, პროფესიულ სასწავლებელში სწავლობდა სამი წელიწადი, ხოლო ის, ვისაც 11 კლასი ჰქონდა დამთავრებული, ერთი წელიწადი. უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში – ტექნიკუმში – რვა კლასდამთავრებულს ოთხი წელი უნდა ესწავლა, ხოლო 11 კლასდამთავრებულს – სამი წელიწადი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი პროფესიული განათლება დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით არ სარგებლობდა. პროფესიული სასწავლებლებისათვის მუდმივი პრობლემა იყო კონტინგენტის შევსება. ვინაიდან სკოლებიდან პროფესიული სასწავლებლებში იმ კონტინგენტის გაგზავნას ცდილობდნენ, რომელთაც კარგი მოსწრება არ ჰქონდათ. შესაბამისად, ეს ტრადიცია ბოლომდე გაჰყვა საბჭოთა პროფესიულ განათლებას და მიუხედავად მრავალი ცვლილებისა და მცდელობისა, პროფესიულ განათლებას დღემდე განიხილავენ (ძველი, საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე) დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთათვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. სხვადასხვა საერთაშორისო დონორების დახმარებით არაერთი პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დანიშნულებაც პროფესიული განათლების სექტორის რეფორმირება და განვითარება წარმოადგენს. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან გათანაბრებას უწყობს ხელს.

საქართველოში პროფესიული განათლება საქართველოს განათლების სისტემის ნაწილია. სტუდენტებისთვის პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საბაზო განათლების დასრულების შემდეგ (დანართი №1).

პროფესიული განათლების პროგრამები ორგანიზებულია 127 უფლებამოსილ საჯარო და კერძო დაწესებულებაში (86 პროფესიული განათლების დაწესებულება, 29 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 12 სკოლა). 62 საგანმანათლებლო დაწესებულება მდებარეობს თბილისში და დანარჩენი 65 ინსტიტუცია – საქართველოს

10 რეგიონში. 2015 წელს განსაზღვრულია დამატებით 10 ადგილი, სადაც განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების უარყოფითი იმიჯი ჯერ კიდევ არის ერთ-ერთი გამოწვევა საქართველოში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS 2014 წ.) მიხედვით 19910 სტუდენტი სწავლობს 1440 სახელობო პროგრამებზე; მათ შორის 48.4% – ქალია და 51,6% მამაკაცი; სტუდენტების 56% სწავლობს რეგიონებში, ხოლო – 44% სწავლობს თბილისში. 2015 წელს პროფესიული განათლების სტუდენტების რაოდენობამ მიაღწია 10273.

საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს საწყის და უწყვეტ პროფესიულ განათლებას, ასე რომ, ეს არის ყველა სახის პროფესიული პროგრამების სტუდენტების საერთო რაოდენობა. დაუცველ ჯგუფებს (მაგალითად ეთნიკური უმცირესობები, სოციალურად დაუცველი ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები, ქუჩის ბავშვები, ომის ვეტერანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) აქვთ ბარიერები პროფესიულ განათლებაში. რადგანაც საბაზისო განათლება წინაპირობაა პროფესიული განათლებისათვის, სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ საბაზისო განათლების სერტიფიკატი, პროფესიულ განათლებაზე აქვთ შეზღუდული წვდომა.

2014 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ცვლილებები შეტანილი იყო კანონში პროფესიული განათლების შესახებ, პროფესიული განათლების ყოვლისმომცველობისა და მისი მოქნილობის უზრუნველსაყოფად.

მთლიანად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 3167 მასწავლებელი, მათ შორის 800-მდე დასაქმებულია საჯარო კოლეჯებში. კერძო დაწესებულებებში მასწავლებელთა დიდი რაოდენობა დასაქმებულია მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე.

პროფესიული განათლების კოლეჯები პასუხისმგებელნი არიან აამუშაონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ასევე არაფორმალური მოკლევადიანი კურსები, რომლებიც არ იძლევიან პროფესიული განათლების

კვალიფიკაციას.

2014 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, შეიტანეს ცვლილებები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მისი შესაბამისობის გაზრდის მიზნით, ცვლილებები კვლავაც მიმდინარეობს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული ტექნიკური პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს ქართული კვალიფიკაციების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და მოსწავლეთა მობილობას.

### **1.3. პროფესიული განათლება ევროპის ქვეყნებში**

პროფესიული განათლება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. პროფესიული განათლების პროგრამა სტუდენტს უნდა დაეხმაროს სხვადასხვა გამოწვევის დაძლევაში, შეუქმნას შესაძლებლობები, რათა მან უფრო სწრაფად და წარმატებით შეძლოს პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება. გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში.

ანალიზის დროს შევისწავლეთ საერთაშორისო გამოცდილება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა ფორმები (დანართი №2) და წარმატებული მოდელები. აგრეთვე, გამოიკვეთა სირთულეები, რომელიც რომელიმე ქვეყნის მოდელის პირდაპირ გადმოტანისას შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ, პირველ რიგში მნიშვნელოვანია, გაანალიზებული და გათვალისწინებული იყოს ის წინარე გამოცდილება, რაც პროფესიულ განათლებაში წლების მანძილზე არსებობს ჩვენს ქვეყანაში.

ასევე, განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ისეთი სრულყოფილი მოდელების გადმოტანა, როგორებიცაა, მაგალითად, გერმანია-შვეიცარია-ავსტრიაში არსებული ე.წ. დუალური სწავლება, ასევე დანიასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი შეგირდობის ტიპის

და სხვა ისეთი მოდელები, რომლებიც მყარ ეკონომიკურ ტრადიციას ეფუძნებიან და განხორციელებისთვის უმთავრეს წინაპირობად, ეკონომიკურ სტაბილურობას მოითხოვენ.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში, ამგვარი სტაბილურობის მიღწევა კომპანიებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, კომპანიებს უჭირს უახლოესი სამი ან თუნდაც ერთი წლის პერსპექტივით პერსონალის პოლიტიკის დაგეგმვა და სტუდენტთათვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაო ადგილების შეთავაზება.

ამ პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება, თუმცა პროფესიული განათლების სისტემის ფორმირება ამა თუ იმ ქვეყანაში, დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ რეალობაზე. ეროვნული სტრუქტურები, წინაპირობები და ტრადიციები ყოველთვის საფუძველია პროფესიული განათლების კომპონენტების წარმატებით დასანერგად.

ევროპული ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით კიდევ უფრო დაეხმარება პროფესიულ სასწავლებლებს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ, რომ განახორციელონ ერთობლივი პროგრამები ევროპულ და სხვა წარმატებულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით და ისინი შეძლებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პროფესიული კადრების მომზადებას.

მნიშვნელოვანია ამ პროცესში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამის – UNDP და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების – GIZ ჩართულობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაეროს განვითარების ფონდთან (UNDP) თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“. პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებას და მოდულური პროგრამების პილოტირებას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება პროექტი „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“, რომლის

მიზანსაც შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირებაში ტექნიკური დახმარების გაწევა წარმოადგენს.

აღსანიშნავია ორგანიზაციის მხარდაჭერა პროფესიული განათლების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: საქართველოს მონაწილეობის მხარდაჭერა საერთაშორისო კონკურსში „მსოფლიო უნარები“ (World Skills International), პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება სამშენებლო მიმართულებით და გერმანიაში სასწავლო ვიზიტების უზრუნველყოფა. დაწყებულია პროფესიული განათლების სპეციალისტების პროფესიული გადამზადების პროგრამა (Master Trainer). GIZ-ის მხარდაჭერით საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიზნით, 6 კოლეჯში დაინერგა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის „EFQM“ სრულყოფის მოდელი. ასევე, ინერგება დუალური პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამები მეღვინეობის, ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (Millennium Challenge Corporation – MCC) საქართველოში ახორციელებს პროექტს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“. პროექტის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმატებით თანამშრომლობს ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროსა და ფონდთან INNOVE. თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება პროექტები „ესტონეთის მოწინავე პრაქტიკა საქართველოში, სახელობო განათლების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით II“ და „პროფესიული განათლების ხელშეწყობა საქართველოში“, ყოველივე ეს გულისხმობს ერთობლივი პროგრამების შემუშავებას.

ნაშრომში განხილულია პროფესიული სწავლების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება.

**პროფესიული განათლება ნორვეგიაში.** ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ჩაატარა რა ჩრდილოეთის ქვეყნებში პროფესიული სწავლების მდგომარეობის შესწავლის შესახებ კვლევა, 2012 წელს გამოაქვეყნა ამ კვლევის შედეგები. კვლევის მიზანი იყო ბოლო წლებში პროფესიული მომზადების სისტემის რეფორმირება სკანდინავიის ქვეყნებში.

კვლევის თანახმად, სკანდინავიის ქვეყნებში ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი პროფესიულ პროგრამებზე სწავლას ირჩევს. პროფესიული მომზადება ნორვეგიაში ფართო და რეგულირებად თანამშრომლობას ეფუძნება. აქტიური თანამშრომლობაა, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო ხელისუფლებასა და სკოლებს შორის, და მეორე მხრივ, შრომის ბაზარზე მომუშავე პარტნიორებს შორის. ნორვეგიაში ფუნქციონირებს პროფესიული სწავლების საბჭოები. საბჭოებში გაერთიანებულნი არიან დამსაქმებელი ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები. ეს საბჭოები, თავის მხრივ, აქტიურად თანამშრომლობენ განათლების სამინისტროსთან უშუალოდ პროფესიული განათლების საკითხებზე.

ნორვეგიას აქვს კარგად განვითარებული პროფესიული განათლების სისტემა. სისტემა დაკავშირებულია საწარმოში სწავლებასთან (სტაჟირებასთან). ამიტომ სისტემას დაინტერესებული მხარეების ნდობის მაღალი ხარისხი გააჩნია. ნორვეგიაში შრომის ბაზარზე მომუშავე დამსაქმებლები თავად არიან დაინტერესებული სტაჟორები (პრაქტიკანტები) მიიზიდონ, ვინაიდან დამსაქმებლები, საწარმოში სწავლებისთვის, შესაბამის სუბსიდიებს იღებენ.

ამრიგად, ნორვეგიაში პროფესიული სწავლება სასწავლებლებში და შემდეგ საწარმოებში ხორციელდება. სტუდენტებს იღებენ ორივე, კერძო და საჯარო კომპანიები (საწარმოები). ეს საწარმოები ოლქების მიერ აღიარებულია, როგორც სასწავლო საწარმოები. ქვეყანაში მრავლადაა სასწავლო ოფისები და წრეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას.

ნორვეგიაში პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საშუალო განათლების ეტაპზე. მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ და ისწავლონ პროფესიული პროგრამის საგნები. საშუალო განათლების დაბალი საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს ერთ-ერთი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა.

პროფესიული სწავლების სტანდარტულ მოდელს საშუალო განათლების ზედა საფეხურზე (upper secondary level), ხშირად 2+2 მოდელს უწოდებენ. სტანდარტული ოთხწლიანი პროგრამა დაყოფილია ორად: სკოლაზე დაფუძნებული სწავლება – 2 წელი, და სწავლება საწარმოში – 2 წელი. საშუალო განათლების ზედა საფეხურზე სწავლების მეორე წლიდან (მე-12 წელი) მოსწავლემ უნდა აირჩიოს პროფესიული მიმართულებიდან რომელიმე სპეციალიზაცია.

მოსწავლეთა და სტუდენტთა პროფესიულ განათლებას საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში სახელმწიფო აფინანსებს. იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ყოველი სასწავლო საწარმო თითოეულ სტუდენტზე დაახლოებით 13.900 ევროს ოდენობით სახელმწიფო გრანტს იღებს ორი წლის განმავლობაში. პრაქტიკანტი სასწავლო-საწარმოში სწავლის პერიოდში შრომის ანაზღაურებასაც ღებულობს. ის ანაზღაურებადი თანამშრომელია.

**პროფესიული განათლება დანიაში.** დანიის პროფესიული განათლების სისტემამ 1980 წლიდან დღემდე მრავალი რეფორმა განიცადა. რეფორმირების მიზანს წარმოადგენდა შეექმნათ მარტივი პროფესიული განათლების სისტემა, უფრო გამჭვირვალე და მოქნილი გაეხადათ. ამასთან, სისტემა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მასში უნდა ასახულიყო სოციალური ცვლილებები და გამხდარიყო მიმზიდველი სტუდენტებისათვის.

დანიაში პრაქტიკულად, ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური პრინციპის შესაბამისად – სტუდენტები გარკვეულ პერიოდს ატარებენ საწარმოო პრაქტიკის ობიექტში – საწარმოში, ხოლო დროის გარკვეულ ნაწილს უთმობენ კოლეჯზე დაფუძნებულ სწავლებას. სოციალური პარტნიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროფესიული განათლების მხარდაჭერასა და ორგანიზებაში. პროფესიული განათლების სისტემაში სოციალურ პარტნიორებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული კოლეჯები, კოლეჯების მასწავლებლები და სტუდენტები. ისინი პროფესიული განათლების განვითარებაში კონსენსუსისა და პასუხისმგებლობათა განაწილების საფუძველზე არიან ჩართულნი.

საბაზო კურსები, ძირითადად, კოლეჯის პროგრამაშია გაწერილი. ის აერთიანებს პროფესიულ თეორიულ სწავლებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროფესიული განათლება და პროფესიული გადამზადება (IVET) მოიცავს სასოფლო-სამეურნეო, კომერციულ, ტექნიკურ, ასევე, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებს. პროგრამებში მოცემულია საბაზო კურსები, რომლის ხანგრძლივობა 20-დან 60 კვირაა. ძირითად პროგრამაზე თეორიული საგნების შესწავლის შემდეგ სტუდენტებმა სწავლა უნდა გააგრძელონ საწარმოში, ამისთვის საჭიროა სასწავლებელს

ქონდეს პრაქტიკის ხელშეკრულება თავისი პროფილის საწარმოსთან. მთლიანად სწავლა დახლოებით სამ წელიწადს გრძელდება.

ძირითადი პროგრამები ასევე მოიცავს რამდენიმე საფეხურსა და სპეციალიზაციას. თითოეული საფეხური პასუხობს კონკრეტულ პოზიციას შრომის ბაზარზე. ამა თუ იმ საფეხურების დასრულება სტუდენტს საშუალებას აძლევს, დატოვოს კოლეჯი ძირითადი პროგრამის დასრულებამდე, მიიღოს შუალედური კვალიფიკაცია და გავიდეს შრომის ბაზარზე. თანაფარდობა თეორიულ ნაწილსა და საწარმოო პრაქტიკას (სტაჟირებას) შორის, ანუ კოლეჯზე დაფუძნებულ სწავლებასთან არის 2:1. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება ადგილობრივ საწარმოში, რომელთანაც სტუდენტი კოლეჯის შუამდგომლობით აფორმებს შეთანხმებას. ყველა საწარმო – პრაქტიკის ობიექტი, სანქცირებულია (შეთანხმებულია, მოწონებულია, დამტკიცებულია) სოციალური პარტნიორების მიერ, შესაბამისი სავაჭრო კომიტეტის მეშვეობით.

დანიაში ამჟამად 60 ათასზე მეტი სანქცირებული კომპანიაა, რომელიც სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკას (სტაჟირებას) თავაზობს ერთ სფეროში მაინც. კოლეჯები და კომპანიები მუშაობენ შეთანხმებულად. საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს კანონმდებლობისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ამ გეგმებს ადგენენ ყველა სტუდენტისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანხვედრა სტუდენტის სურვილსა და ფაქტობრივ სასწავლო პროგრამას შორის.

პროფესიული განათლების სისტემის ხერხემალია ეროვნული სავაჭრო კომიტეტები. 109 ძირითად კურსზე პასუხისმგებელია დაახლოებით 50 კომიტეტი. კომიტეტები შედგება 10-14 წევრისგან, ისინი შრომის ბაზარზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. კომიტეტები მთავარ როლს ასრულებენ პროფესიული განათლების კურსების ფორმირებასა და განახლებაში. აქვთ დომინანტური პოზიცია სასწავლო მიზნებისა და დასკვნითი გამოცდების სტანდარტების ფორმულირებისას. კომიტეტები ადგენენ პროგრამის ხანგრძლივობას, კოლეჯზე დაფუძნებულ სწავლებასა და საწარმოში პრაქტიკულ სწავლებას შორის თანაფარდობას, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საწარმოებს, როგორც კვალიფიცირებულ სატრენინგო დაწესებულებებს. ამასთან, ერთად განიხილავენ სადავო საკითხებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პრაქტიკანტ სტუდენტსა და საწარმოს შორის.



ადგილობრივი სასწავლო კომიტეტები კავშირშია პროფესიულ კოლეჯებთან. კომიტეტებში გაერთიანებული არიან ადგილობრივი დამსაქმებლები და დასაქმებულები, რომლებსაც ნიშნავს ეროვნული კომიტეტი, ასევე კოლეჯის მიერ დანიშნული წარმომადგენლები და სტუდენტები. სასწავლო კომიტეტები მონაწილეობენ სასწავლო გეგმებისა და არჩევითი საგნების განსაზღვრაში, რეკომენდაციებს აძლევენ ეროვნულ კომიტეტს დაამტკიცონ ესა თუ ის საწარმო, როგორც სათანადო სასწავლო/სატრენინგო დაწესებულება (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2012).

**პროფესიული განათლების სისტემა შვეიცარიაში.** მსოფლიოს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების შესახებ კვლევებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბენჩმარკინგის ცენტრიც ატარებს. კვლევების მიზანი იმ სტრატეგიების განსაზღვრაა, რომლებიც შეიმუშავა სხვადასხვა ქვეყანამ თავისი განათლების სისტემის გასაძლიერებლად. საერთაშორისო საგანმანათლებლო ბენჩმარკინგის ცენტრმა, კვლევის შედეგების თანახმად, 2015 წელს გამოაქვეყნა ანგარიში შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემის შესახებ.

შვეიცარია ევროპის ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც დუალური პროფესიული სწავლებაა, ფუნქციონირებს დუალური პროფესიული განათლების სისტემა. სისტემა გულისხმობს სტუდენტის სწავლებას არა მარტო სასწავლო დაწესებულებაში, ასევე სამუშაო ობიექტზე (კომპანიაში) პრაქტიკული სწავლების კუთხით. შვეიცარიაში, გერმანიის, დანიის, ავსტრიისა და ნორვეგიის მსგავსად სტუდენტთა 30%-დან 70%-მდე ჩართულია სწავლების დუალურ სისტემაში. დუალურ განათლების სისტემას აქვს ყველა ქვეყანაში თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც გარკვეული მიზეზებით არის განპირობებული. უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემა უდავოდ ყველაზე ძლიერია ევროპაში. პირველ რიგში, პროფესიული განათლება ემსახურება შვეიცარიის ახალგაზრდების 70% პროცენტს. სისტემა ამზადებს ფართო პროფილის სპეციალისტებს სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, ჯანმრთელობა, მომსახურების სფერო, ხელოსნობა და სხვა. სისტემა სარგებლობს დამსაქმებლების ძლიერი მხარდაჭერით.

მეორე, შვეიცარიაში ცხოვრების ძალიან მაღალი სტანდარტია. ეს ქვეყანა 20 წელზე მეტია ახორციელებს პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციას. ამიტომაც ის ახალგაზრდების განათლებაში საერთაშორისო ლიდერი გახდა, დაიმკვიდრა ადგილი, როგორც მსოფლიოს ეკონომიკურმა ლიდერმაც.

შვეიცარიაში მცირე და მსხვილი კომპანიები – ქარხნები, სადაზღვევო სააგენტოები, ბანკები, საავადმყოფოები, მაღაზიები და ბავშვის მოვლის ცენტრები იწვევენ 16-19 წლის სტაჟიორებს, რომლებიც ემსახურებიან მომხმარებლებს. ისინი მუშაობენ რთულ მოწყობილობა – დანადგარებთან, ახორციელებენ მარტივ სამედიცინო პროცედურებს. ისინი ტრენერების ზედამხედველობით ასრულებენ ყველაფერს, რასაც უნდა აკეთებდნენ დამწყები მუშაკები.

შვეიცარიის კომპანიების 30 პროცენტი აქტიურად მონაწილეობს კადრების მომზადების საქმეში პროფესიული განათლების სისტემაში. ისინი ასევე სტაჟირებაზე იღებენ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს. ასეთი სტაჟირება საინტერესოა სტუდენტებისათვის იმ კუთხითაც, რომ სტაჟირების პერიოდში ისინი ყოველთვიურად იღებენ შრომის ანაზღაურებას, დაახლოებით, 600-700 დოლარის ოდენობით. სტუდენტებისათვის სტაჟირება მიმზიდველია, რადგან ანაზღაურება მზარდია. სტაჟირების მე-3 წლიდან ანაზღაურება 1100-1200 დოლარამდე იზრდება. მართალია აღნიშნული ანაზღაურების ოდენობა შვეიცარიაში არსებულ საარსებო მინიმუმზე დაბალია, მაგრამ ახალგაზრდებისთვის ის მაინც მიმზიდველია.

შვეიცარიას აქვს ახალგაზრდა პროფესიონალების დიდი მონაცემთა ბაზა. ბაზა ხელს უწყობს მათ დასაქმებას. ამიტომ არის რომ ქვეყანაში ძალიან დაბალია უმუშევრობის მაჩვენებელი. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტუდენტები იღებენ შესაბამის კვალიფიკაციას. მათი მონაცემები შეტანილია მონაცემთა ბაზაში. მათ საშუალება აქვთ პირდაპირ სრულ განაკვეთზე დასაქმდნენ ან გააგრძელონ სწავლა.

საქმიანი ორგანიზაციები და ასოციაციები პროფესიულ განათლებაში მნიშვნელოვან პარტნიორებს წარმოადგენენ. ისინი არა მარტო მონაწილეობენ პროფესიული პროგრამის შედგენაში, არამედ წამყვან როლსაც ასრულებენ იმის განსაზღვრაში, თუ როდის უნდა შემუშავდეს ახალი პროგრამა ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, გაუქმდეს ძველი ან რადიკალურად განახლდეს.

პროფესიული განათლების სისტემას შვეიცარიაში დამსაქმებელთა საზოგადოება მხარს უჭერს. დამსაქმებელთა საზოგადოებაში გაერთიანებულნი არიან ასოციაციები

და კომპანიები, რომლებიც ასაქმებენ კურსდამთავრებულებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს პროფესიულ განათლებაში ოლქები წარმოადგენენ. თითოეული ოლქს თავისი პროფესიული განათლების ოფისი გააჩნია. ოფისი იღებს სრულ პასუხისმგებლობას პროფესიული პროგრამების განხორციელების მონიტორინგზე. პასუხისმგებლობას იღებენ ასევე პროფესიული სასწავლებლების კარიერის ცენტრების დაფინანსებაზე, რომლებიც პროფესიული ორიენტაციის სფეროში მუშაობენ, დახმარებას უწევენ სკოლადამთავრებულებს და მათ ოჯახებს. ახალგაზრდებს ეხმარებიან ასევე სტაჟირების საწარმოების შერჩევაშიც.

**პროფესიული განათლება ესტონეთში.** 90-იანი წლების დასასრულს ესტონეთმაც დაიწყო პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმა. ესტონეთის მთავრობამ 1998 წელს შეიმუშავა კონცეფცია, რომელშიც ჩამოყალიბდა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პოლიტიკისა და რეფორმის ძირითადი საკითხები. ხოლო 2001 წელს მთავრობამ დაამტკიცა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმირების 2001-2004 წლების სამოქმედო გეგმა.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული სოციალური პარტნიორები – პროფესიული საბჭოები. საბჭოები შეიქმნა სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან. მათ საქმიანობას ესტონეთის კანონმდებლობა არეგულირებს.

ესტონეთში პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია, როგორც სავალდებულო, ისე საშუალო განათლების მიღების შემდეგ. სასწავლო პროგრამებიც შესაბამისი ხანგრძლივობისაა. 3 წელიწადი – სავალდებულო საშუალო განათლების ბაზაზე, ხოლო 1-2,5 – საშუალო განათლების ბაზაზე. პროფესიული განათლების თითქმის ყველა სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს სადამოს სწავლებისა და დისტანციური სწავლების კურსებს.

2002 წელს ესტონეთში შემოიღეს უმაღლესი განათლების განახლებული სტანდარტები. ამ სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბდა გამოყენებითი უმაღლესი განათლების სისტემა (Applied Higher Education). იგი განეკუთვნება არასაუნივერსიტეტო უმაღლეს პროფესიულ განათლებას ესტონეთში. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები შემუშავებულია და ფუნქციონირებს პროფესიული განათლების სწავლების საფუძველზე.

პროფესიული უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში (Rakenduskool). ამასთან უნივერსიტეტებსაც შეუძლიათ პროფესიული პროგრამების განხორციელება. გამოყენებითი უმაღლესი განათლების პროგრამების ხანგრძლივობა 3-4,5 წელია (120-180 ესტონური კრედიტი).

ესტონეთში საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მათი საკუთრების ფორმის შესაბამისად ხდება. სახელმწიფო დაწესებულებებს აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი, მუნიციპალურს – სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი; კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები ფინანსდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ასიგნებებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს სტუდენტების კვოტირებულ რაოდენობას კერძო პროფესიულ სასწავლებლებში ან უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში.

ესტონეთში სასწავლებლების 80% არის სახელმწიფო, 14% – კერძო, ხოლო 6% – მუნიციპალური.

სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების პირობები ესტონეთში ერთნაირია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება ანაზღაურებს სასწავლებლების საოპერაციო ხარჯებს და საინვესტიციო პროექტებს. სტუდენტებზე გამოყოფილი დაფინანსება კი შესაძლებელია კერძო სასწავლებლებმაც გაინაწილონ.

**პროფესიული განათლება საფრანგეთში.** პროფესიული განათლების გარკვეულად გასხვავებული სისტემა აქვს საფრანგეთს. საფრანგეთში დაწყებითი განათლება სავალდებულოა, გრძელდება 5 წელი და მოიცავს I-V კლასებს. საშუალო განათლება მოიცავს 2 ეტაპს:

1) კოლეჯი (College lower secondary education) – 4 წელი, მოიცავს VI-IX კლასებს, სადაც მოსწავლე იღებს საბაზო განათლებას;

2) ლიცეუმი (Lycée (upper-secondary education) – 3 წელი, სადაც მოსწავლეები ირჩევენ ზოგად ან ერთ-ერთ პროფესიულ პროგრამას.

საბაზო განათლების (Lower secondary education) 9 კლასის გავლის შემდეგ მოსწავლეს შეუძლია ჩააბაროს გამოცდა და მიიღოს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (brevet des colleges). მართალია ეს დოკუმენტი სავალდებულო არაა, რომ მოსწავლემ სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე.

College-ის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ სწავლას Lycée-ში (high school) და ირჩევენ ერთ-ერთ მიმართულებას: 1) ზოგადი და ტექნოლოგიური ან 2) პროფესიული. თითოეული მათგანი მოიცავს სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამას.

ზოგადი და ტექნოლოგიური საშუალო განათლება (General and technical upper-secondary education) 3 წლიანია. ის მოიცავს X, XI და XII კლასებს. ტექნიკური საშუალო განათლების პროგრამა X კლასში ერთნაირია, ხოლო XI და XII კლასებში - განსხვავებული.

პროფესიული საშუალო განათლება (Vocational upper-secondary training) ხელმისაწვდომია პროფესიულ სასწავლებლებში (Vocational Lycée).

Apprenticeships – ითვალისწინებს პროფესიის შესწავლას და ორიენტირებულია 16 წლის და მეტი ასაკის პირებზე (როცა სწავლა სავალდებულო აღარაა). მოსწავლეები ნახევარ დროს ატარებენ საწარმოებში, ხოლო დანარჩენ დროს სასწავლო ცენტრებში.

ლიცეუმის დასრულებისას სტუდენტები იღებენ ბაკალავრის აკადემიურ კვალიფიკაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტში, მოსამზადებელ კლასში ან აირჩიონ პროფესიული ცხოვრება.

სტუდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს თეორიაზე ორიენტირებულ ზოგად ბაკალავრიატს (baccalauréat general). ნაწილი ირჩევს ტექნოლოგიური ბაკალავრიატის ხარისხს (baccalauréat technologique) და პროფესიული ბაკალავრიატის (baccalauréat professionnel) ხარისხს. პირველი აერთიანებს თეორიულ და პროფესიულ სწავლებას. ისინი სტუდენტებს უმაღლესი პროფესიული სწავლებისთვის ამზადებენ. ხოლო პროფესიული ბაკალავრიატი ფოკუსირებულია პროფესიულ სწავლებაზე და ამზადებს სტუდენტებს უშუალოდ შრომის ბაზრისათვის.

ამრიგად, საფრანგეთის განათლების სისტემის სპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ ის მოსწავლეს საშუალებას აძლევს, პროფესიულ განათლებასთან ერთად მიიღოს ზოგადი განათლებაც. ეს კი მოსწავლეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში.

საფრანგეთის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით არის გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, სტუდენტებს, რომლებიც ირჩევენ baccalauréat general-ს, შეუძლიათ უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელონ შემდეგი 3 მიმართულებით:

- 1) ეკონომიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები;
- 2) ლიტერატურა / ენები;

### 3) მეცნიერება.

Baccalauréat technologique საშუალებას აძლევს მოსწავლეს სწავლა გააგრძელოს ერთ-ერთი მიმართულებით: ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, ინდუსტრიული მეცნიერებები და ტექნოლოგიები, ლაბორატორიული მეცნიერებები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიზნესის ადმინისტრირება, აგრარული, ხელოვნება.

საფრანგეთში, განათლების დაფინანსებაში სხვადასხვა ინსტიტუტი მონაწილეობს: ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლება, ოჯახები და კომპანიები. განათლების სისტემის დაფინანსების ოდენობაც საკმაოდ მაღალია. 2012 წელს საფრანგეთის განათლების სისტემის დაფინანსება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს შეადგენდა.

საფრანგეთში კერძო სასწავლებლების სასწავლო კურსებსაც სახელმწიფო აფინანსებს. ზოგიერთი სკოლა/სასწავლებელი ფინანსდება სოფლის მეურნეობის ან სოციალურ საქმეთა დეპარტამენტების მიერ. აღნიშნულ სასწავლებლებს დაფინანსების მისაღებად უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოს მიერ „აღიარებული“ ცენტრების სტატუსი.

## თავი 2. პროფესიული განათლება საქართველოში

### 2.1. პროფესიული განათლების ისტორიული წინამძღვრები საქართველოში

პროფესიული განათლება არის სახელობო განათლება, რომელიც ადამიანს ვაჭრობის, ხელოსნობისა თუ სხვადასხვა ტექნიკური სახის, ასევე, სხვადასხვა სფეროში (ინჟინერია, მედიცინა, არქიტექტურა, იურისპრუდენცია და ა.შ.) დამხმარე სამუშაოების შესასრულებლად ამზადებს.

პროფესიული განათლება საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი განათლების მიღება საშუალო, საშუალოს შემდგომ და უმაღლეს სასწავლებლებშია შესაძლებელი. იგი ამზადებს კვალიფიციურ და სათანადო უნარ-ჩვევების მქონე მუშახელს, რომელსაც უფრო კარგად შეუძლია შრომის ბაზრის არსებულ და მუდმივად ცვალებად საჭიროებებთან ადაპტაცია.

„საჭიროა ისეთი სკოლების დაარსება, რომელშიაც ჩვენს შვილებს ასწავლიან, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდი ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე კარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშვიერი მოკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი.

ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობადაც მშიერი არ ვიქნებოდი... მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან...” / ილია ჭავჭავაძე, 1893/.

პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. არაერთი ხელობა, დღეს რომ პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, საქართველოს შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

ძველად საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელობის ცოდნას. სწორედ ამ მიზნით მშობლები რომელიმე ოსტატს თავიანთ შვილებს მცირე ასაკშივე აბარებდნენ, მომავალში რომ მათ თავის რჩენა შესძლებოდათ, ისინი ოსტატს ასეთი თხოვნით მიმართავდნენ: “ძვალი ჩემი, ხორცი შენი – გამიზარდე შვილი, ოსტატო!..” თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შეგირდები არა მხოლოდ მატერიალურად გაჭირვებული, არამედ შეძლებული ოჯახის შვილებიც ხდებოდნენ. მდიდარი მამები წინდახედულობას იჩენდნენ და შვილს ოსტატს იმ მიზნით აბარებდნენ, რომ შესწავლილი ხელობა შესაძლო ცხოვრებისეული მწიგნობისას თავის გასატანად გამოეყენებინათ.

ძველ თბილისში ოსტატთა გაერთიანებებიც არსებობდა. მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანებას „ამქარი“ ეწოდებოდა. სახელი სპარსული სიტყვა „ჰამქარ“-იდან არის წარმოშობილი, რაც თანამოსაქმეობას ნიშნავს. ეს ტერმინი საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოდან დამკვიდრდა და „ამქარმა“ სიტყვები „ასნაფი“ და “თაბუნი” ჩაანაცვლა. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქალაქებში ამქრული ორგანიზაციები ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არსებობდა. ასეთივე ორგანიზაციები IX საუკუნიდან ბიზანტიის ქალაქებშიც ფუნქციონირებდა. ისტორიკოსების მოსაზრებით საქართველოში ამქრული ორგანიზაციები ამავე პერიოდში წარმოიშვა. ხელოსნების თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამქრებს თბილისში ცალ-ცალკე ქმნიდნენ ხუროები, მეპურეები, ზეინკლები და ა.შ. ამ სხვადასხვა დარგის ხელოსნებს ცალ-ცალკე ქუჩები ეკავათ. XIX საუკუნის პირველი წლების შესახებ კლაპროტი წერდა: „თბილისის ბაზარზე სხვადასხვა დარგის ხელოსნებია. ერთი ქუჩა მხოლოდ მეფეხსაცმელებს უჭირავთ, მეორე მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქრომჭედლებს, იარაღის მკეთებლებს. ყველანი აქ მუშაობენ ყველას თვალწინ” ამ ორგანიზაციაში შესვლა განურჩევლად წოდებისა, ყველას შეეძლო.

ყველა ამქარს თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზეც გამოსახული იყო ფირი, ანუ გერბი, ემბლემა. ეს ფირი წარმოადგენდა ამქრის სიმბოლოს. თითოეულ ამქარს ასევე თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა. მაგალითად, ხარაზების დროშაზე გამოსახული იყო ელია (ილია წინასწარმეტყველი), დაბლებისაზე – ღვთისმშობელი, სირაჯებისაზე – ნოეს კიდობანი და სხვა. ხუროებმა, ხარაზებმა და დურგლებმა თავიანთ დროშას შემდეგ მტრედიც მიუმატეს.

ამქრის უმეტესმა ნაწილმა „წიგნი არ იცოდა“, წერა-კითხვის უცოდინარ ხელოსნებს საკუთარი ნიშნები ჰქონდათ, რომლითაც საკუთარ „ბუღალტერიას“ აწარმოებდნენ და ჯვარედინი, სწორი, მრუდე ხაზებითა და სხვა ნიშნებით მანეთებსა და თუმნიანებს აღნიშნავდნენ.

თითოეულ ამქარს საკუთარი წესდება ჰქონდა, რომელშიც მკაცრად იყო დაცული კოლეგიალობა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ამქრის წევრი ხელს არ ახლებდა მეგობრის მიერ დაწყებულ სამუშაოს. მაგალითად, ერთი თერძის მიერ დახაზულ და დაჭრილ ახალუხს მეორე არ შეკერავდა და ა.შ. ასევე, აკრძალული იყო შეგირდისა და ქარგლის გადაბირება.

ამქრის წევრების მოვალეობას შეადგენდა გარდაცვლილი მეგობრის დაკრძალვაც ამქრის ხარჯით. როცა ამქრის რომელიმე წევრი გარდაიცვლებოდა, იმ ხელობის დუქნებს პატივისცემის ნიშნად კეტავდნენ და გარდაცვლილის ოჯახში იკრიბებოდნენ, ხოლო ქალაქში გავრცელებული სხვადასხვა ეპიდემიის დროს ამქრები თბილისში რჩებოდნენ, ავადმყოფებსა და გარდაცვლილებს პატრონობდნენ. ამქრის წესდება მათ ავალდებულებდა ქვრივ-ობოლთა მოვლა-პატრონობასაც.

ყოველ ამქარს ჰყავდა შეგირდები და ქარგლები. შეგირდად მიზარების ასაკი მკაცრად განსაზღვრული არ იყო, თუმცა, ძირითადად 8-13 წლის მოზარდებს აბარებდნენ. ასევე არ იყო დათქმული ხელობის შესასწავლად დრო, მაგრამ, ჩვეულებრივ, შეგირდი თავის ხელობას 5-6 წელიწადში ეუფლებოდა, რაც, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო მის ნიჭიერებასა და ხელობის სირთულეზე.

ოსტატთან მიზარებული შეგირდი ვიდრე ქარგალი გახდებოდა, თავისი ხელობის გარდა, სხვა საქმესაც ასრულებდა. უფროს ოსტატს ხელზე ემსახურებოდა, დუქანს გვიდა, სახლიდან დუქანში სადილს ეზიდებოდა და ა.შ. შეგირდს ჯამაგირს არ უხდიდნენ. ოსტატი მას მხოლოდ პურს, ანუ სადილს აჭმევდა და ხშირ შემთხვევაში მის



ჩაცმა-დახურვაზე ზრუნავდა. როცა შეგირდი ხელობას შეისწავლიდა, წლიური ხელფასი ენიშნებოდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ჩვეულება, რომელსაც თურმე ხელოსნები შეგირდის პატიოსნების გამოსაცდელად მიმართავდნენ: ისინი დუქანში განზრახ აგდებდნენ ფულს და მერე ჩუმად უთვალთვალავდნენ შეგირდის ქცევას – დუქნის დაგვისას ფულს აიღებდა და მიითვისებდა, თუ ოსტატს ნაპოვნი ფულის შესახებ აუწყებდა.

შეგირდობის მეორე საფეხური ქარგლობა იყო, ის „აღსაზრდელს“ ხელოსნის ხარისხის მიღებამდე უნდა გაეცლო. ქარგლის სახელის მინიჭებისას ოფიციალური ცერემონია იმართებოდა. ხელოსანი ექსპერტად იწვევდა ამქრის რამდენიმე საპატიო წევრს. ისინი შეგირდის ნახელავს ამოწმებდნენ. თუ ნახელავს მოიწონებდნენ, შეგირდს ქარგლის ხარისხი ეძლეოდა, თუ არა და ის კვლავ შეგირდად რჩებოდა მანამ, სანამ თავის ნამუშევრებს საუკეთესოდ არ შეასრულებდა.

ქარგალი შეგირდისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ მას უფლება ჰქონდა, რომელ ხელოსანთანაც მოისურვებდა, იმასთან ემუშავა. შეგირდი კი იმ ხელოსანთან უნდა დარჩენილიყო, რომელთანაც მშობლები მიაბარებდნენ. ქარგალს არ შეეძლო, ხელოსნის დუქნის გარეშე დამოუკიდებლად ემუშავა ან ხელოსნის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო. როგორც კი ხელოსანი სრულუფლებიანი ოსტატი ხდებოდა, მაშინ ისიც ასევე ექცეოდა თავის ხელქვეითებს, შეგირდებსა და ქარგლებს .

საქართველოში, XVIII-XIX საუკუნეებში, ვაჭარ-ხელოსანთა შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი N1-ის მონაცემები.

ცხრილი № 1

**XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში ვაჭარ-ხელოსანთა  
რაოდენობა დარგების მიხედვით**

ხელოსნები მრეწველობის დარგების მიხედვით	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	სულ მომუშავე	თითო სარეწაოზე მოდის მომუშავე
---	--------	---------	---------	-----------------	--

1	2	3	4	5	6
<b>ქვის, მიწის და თიხის დამუშავება</b>					
მეაგურე	20	–	–	20	1,0
მეჭურჭლე	47	11	–	58	1,2
<b>ლითონის მრეწველობა</b>					
ზეინკალი	4	4	3	11	2,8
მჭედელი	61	34	10	105	1,7
ნალბანდი	44	21	–	65	1,5
<b>მანქანების, იარაღების და აპარატების შეკეთება წარმოება</b>					
ეტლის მკეთებელი	19	60	25	104	5,5
ბორბლების მკეთებელი	24	10	–	34	1,4
თოფ-იარაღის მოხელე	62	–	–	62	1,0
<b>სანოვაგის, სასმელებისა და ნარკოტიკის წარმოება</b>					
მეპურე	293	96	–	389	1,3
<b>ტყავის მრეწველობა</b>					
დაბალი	76	31	–	107	1,4

ხელოსნები მრეწველობის დარგების მიხედვით	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	სულ მომუშავე	თითო სარეწაოზე მოდის მომუშავე
სარაჯი	55	8	–	63	1,4
<b>მატყლის დამუშავება</b>					
მატყლის მპენტავი	24	–	–	24	1,0
ქურჩქი	15	–	–	15	1,0
<b>აბრეშუმის დამუშავება</b>					

მეაბრეშუმე	49	15	–	64	1,3
<b>ტანსაცმელი და ტუალეტი</b>					
ევროპ. ტანსაც. მკერავი	90	119	–	209	2,3
თერძი	126	19	–	145	1,2
ევროპ. მექუდე	17	12	–	29	1,7
აზიური მექუდე	81	2	–	83	1,0
ევროპ. ფეხსაც. მკერავი	67	78	47	192	2,9
აზიური ფეხსაც. მკერავი	72	5	–	77	1,1
ტუფლების მკერავი	27	1	–	28	1,0
ფოსტლების მკერავი	10	1	–	11	1,1
ხარაზი	25	11	–	39	1,1
ოქრომკერდით მკერავი	22	1	–	23	1,1
ხელოსნები მრეწველობის დარგების მიხედვით	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	სულ მომუშავე	თითო სარეწაოზე მოდის მომუშავე
მღებავი	25	–	–	25	1,0
დალაქი	128	2	–	130	1,0
<b>მხატვრული და გამოყენებითი სამეცნიერო მრეწველობა</b>					
ოქრომჭედელი	14	2	–	16	1,1
ვერცხლის მჭედელი	66	27	–	93	1,4
მებრილიანტე	11	18	–	29	2,6
მესაათე	16	3	–	19	1,2
<b>სააღმშენებლო მრეწველობა</b>					

სახლების მხურავი	8	13	3	24	3,0
შპალერის გამკვრელი	3	2	1	6	2,0
მღებავი	19	4	2	25	1,3
<b>სულ:</b>	<b>1620</b>	<b>613</b>	<b>91</b>	<b>2324</b>	<b>52,6</b>

წყარო: ა. თაბუკაშვილი „ვაჭართა და ხელოსანთა მორალი XVIII- XIX საუკუნეების ტფილისში“

ისტორიული მასალები გვამცნობენ, რომ ქართველ მეფეებს ხშირად მიუმართავთ ამქრებისთვის, როგორც მებრძოლი ძალისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე თბილისის დაცვას ეხებოდა: „ამქარი ქართველი მეფეების დროს წარმოადგენდა ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც ტფილისს იცავდა მტრების თავდასხმებისაგან. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის აღების დროს, ქართულ ჯართან ერთად ტფილისის ამქრობაც იღებდა მონაწილეობას; 1826 წელს ამქრები დარაჯობდნენ ნავთლულის ჰოსპიტალს ჯარისკაცებთან ერთად; ხოლო 1854 წელს, ოსმალეთთან ომის დროს, გენერალ რეადის მიერ სხვა მოქალაქეებთან ერთად ტფილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ეს ხალხი მთლიანად შეიარაღებული ერთსულოვნად გამოცხადდა“.

მეფის რუსეთი ამქრობის ინსტიტუტის წინააღმდეგი იყო. ისინი ამქრობაში ხედავდნენ გაერთიანებულ წვრილ ვაჭრობას, რომელიც ერთგვარი მონოპოლიური უფლებებით სარგებლობდა. 1849 წელს საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს განცხადება ამქრობის მოსპობის შესახებ, მაგრამ მიხეილ ვორონცოვმა, რომელიც ხშირად ადგილობრივი ადათ-წესების მცველად გვევლინებოდა, ამ უძველესი ორგანიზაციის ერთბაშად მოსპობა არ ისურვა: „ ისინი ჩვენ არ გვაწუხებენ, თავიანთ წევრებს ეხმარებიან. შეიძლება ამქრობას ჰქონდეს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ რაიმე ცვლილების შეტანა ამ დაწესებულებაში, რომელიც საუკუნეებია არსებობს, ჯერ ნაადრევია; მათ ადათებში, მათ წესწყობილებაში იმდენი კარგი მხარეა, რომ ეს სიკეთე სჭარბობს მათ ნაკლულევანებასა“, – აცხადებდა ვორონცოვი. ასეც მოხდა, ამქრობის ინსტიტუტი კიდევ მრავალ წელს არსებობდა, თუმცა, რა თქმა უნდა, დროის სვლასთან ერთად ცვლილებებს განიცდიდა და პირვანდელ სახეს თანდათან კარგავდა. ბოლოს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა დარგის ამქარი, ანუ ხელოსანთა ორგანიზაციები შეაერთეს და ქალაქის სახელოსნო სამმართველოში ერთად მოათავსეს, სადაც კიდევ დიდხანს ბატონობდა ამქრული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად XIX საუკუნეში ქართველ განმანათლებელთა მესვეურობით სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სასწავლებლებს ჩაეყარა საფუძველი. XX საუკუნიდან სახელობო განათლების კერად პროფესიულ-ტექნიკური სკოლები მიიჩნეოდა, თუმცა, მიუხედავად შეთავაზებული პროფესიების მრავალფეროვნებისა, საბჭოთა დროში ასეთი სასწავლებლების პრესტიჟი დაბალი იყო.

## 2.2. პროფესიული განათლების რეფორმა, მართვა და კოორდინირება

პროფესიული განათლება, უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. პროფესიული განათლების მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: პროფესიული სწავლების სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა პროფესიული განათლების პერსპექტივებისა და სარგებლის შესახებ, პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება, სხვა საგანმანათლებლო სისტემებზე წვდომა. მიმზიდველობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლება უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომელთაც განათლებაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი.

მოიაზრება, რომ პროფესიული განათლება ერთ-ერთი უმოკლესი გზაა ახალგაზრდების დასაქმებისაკენ, გამომდინარე იქიდან, რომ, აკადემიურ განათლებასთან შედარებით, მასში მაღალია პრაქტიკული უნარების სწავლების კომპონენტი. ეს კი გარკვეულწილად აკომპენსირებს გამოცდილების ნაკლებობას, რომელსაც უმეტესად ახალგაზრდები განიცდიან.

რეფორმა, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარეობს, 2007 წლიდან დაიწყო. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.) პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ.

დოკუმენტი შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე და ასახავს დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, პროფესიული განათლების ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა მოსაზრებებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ენიჭება გადამწყვეტი ფუნქცია პროფესიული განათლების რეფორმის მართვას, მონიტორინგსა და შეფასების პროცესში.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილება, ასევე, საქართველოს მთავრობის სოციალურ – ეკონომიკური პრიორიტეტები, რომლებმაც ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, თანასწორობასა და ინკლუზიურობაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უნდა შეუწყონ ხელი. სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ინკლუზიური განათლების, ადამიანისა და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით, საზოგადოების ყველა ფენის უფლებაა, მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად თავისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური თუ საცხოვრებელი პირობების მდგომარეობისა.

სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლების სტატუსის გაუმჯობესება, რაც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორე ხარისხოვან ალტერნატივად განიხილება. ასევე, რათა პროფესიული განათლება გახდეს პირის კარიერული განვითარების რეალური და ფასეული გზა.

პროფესიული განათლების მთავარი ამოცანა დასაქმების ბაზრისთვის ადეკვატური და კომპეტენტური კადრების მომზადებაა. ამავდროულად, იგივეა მისი მთავარი გამოწვევაც, რადგანაც დასაქმების ბაზრის მოთხოვნები სულ უფრო და უფრო სწრაფად იცვლება თითქმის ყველა მიმართულებით ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად.

ამ პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება. პროფესიული განათლების პროგრამა

სტუდენტს უნდა დაეხმაროს სხვადასხვა გამოწვევის დაძლევაში და შეუქმნას თანამედროვე სამყაროს შესაფერისი შესაძლებლობები, რათა მან უფრო სწრაფად და წარმატებით შეძლოს პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება.

### **2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა.**

#### **არსებული გამოწვევები**

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში (მუხლი 4.უ<sup>2</sup>.2007წ.) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განმარტებულია, როგორც „საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით“. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

მოქმედი კანონისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების საფეხურებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოებს.

პროფესიული განათლების საფეხურებთან არის დაკავშირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეები – პროფესიული კოლეჯი და საზოგადოებრივი კოლეჯი.

პროფესიული კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო საზოგადოებრივი კოლეჯი – ყველა საფეხურის (ხუთივე) პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროფესიული კვალიფიკაციების საფეხურებად დაყოფისადმი მიდგომა დამაბნეველი აღმოჩნდა როგორც პროფესიული განათლების მსურველებისათვის, ასევე დამსაქმებლებისათვის. დაიწყო მუშაობა სისტემის გამარტივებაზე. ამასთან, „ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (შემდგომში –ასოცირების შეთანხმება) გათვალისწინებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (The European Qualifications Framework for Life long Learning LLL) შესაბამისობაში მოყვანის საკითხი“.

განათლების ევროპული კონტექსტი უპირველესად გულისხმობს იმ საერთო ევროპულ მიდგომებს, რომელთა ჩამოყალიბებითაც ევროპის სივრცეში მყოფმა ქვეყნებმა შექმნეს ურთიერთთავსებადი განათლების სისტემები. ამის უმთავრესი ინსტრუმენტია ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც მოქმედებს 2008 წლიდან, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მობილობას ქვეყნებს შორის და გააადვილოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესი.

ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N120/ნ ბრძანებით. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

2014 წელს (ივნისი – დეკემბერი) განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის“



პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავება. პროექტის ფარგლებში, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი მომზადდა ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით, იდენტიფიცირდა ხარვეზები და წინააღმდეგობები.

ერთი წლის მუშაობის შედეგების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ახალი პროექტი. ახალი ჩარჩოს შემუშავება ძირითადად უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმირებას, რადგან სწორედ პროფესიული განათლებაა განათლების ის ქვესისტემა, რომელიც ყველაზე დიდ როლს ასრულებს სწავლის პრინციპის განხორციელებაში. ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მინიმუმ სამ ძირითად სტრუქტურულ ელემენტს: დონე, სწავლის შედეგი, კვალიფიკაცია.

დღეს არსებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სრულყოფაზე მუშაობა გრძელდება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას განათლების დონეებს შორის კავშირები, განისაზღვროს დონიდან დონეზე გადასვლის მოქნილი მექანიზმები. მოქმედ კანონში შეაქვთ ცვლილებები, რომლებმაც უნდა შექმნან საფუძველი კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ასამოქმედებლად, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სფეროს მოქნილობასა და მიმზიდველობას.

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს შესაბამისად საქართველოში ფუნქციონირებას დაიწყებს განათლების შემდეგი დონეები და კვალიფიკაციები:

**ცხრილი № 2**

**დონეები და კვალიფიკაციები**

დონე	ტიპური კვალიფიკაცია
<i>1</i>	<i>2</i>
1	საკვანძო უნარების სერტიფიკატი ქართული ენის სერტიფიკატი

2	საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი ქართული ენის სერტიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი
3	საბაზო პროფესიული განათლების დიპლომი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ., ქართული ენის სერტიფიკატი)
4	სრული ზოგადი განათლების ატესტატი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ. ქართული ენის სერტიფიკატი)
5	უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი/ასოცირებული ხარისხი

1	2
6	ბაკალავრი ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი/მეცნიერების ბაკალავრი სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ხელოვნების ბაკალავრი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ინჟინერიის ბაკალავრი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი
7	მაგისტრი ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მაგისტრი/მეცნიერების მაგისტრი სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ხელოვნების მაგისტრი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ინჟინერიის მაგისტრი დიპლომირებული მედიკოსი (ინტეგრირებული) დიპლომირებული სტომატოლოგი (ინტეგრირებული)

	განათლების მაგისტრი (ინტეგრირებული) განათლების მაგისტრი (60)
<b>8</b>	დოქტორი

წყარო: საქართველოს კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ, 2018

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, პროფესიული კვალიფიკაციები განთავსდება კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებზე, ხოლო მომზადება-გადამზადების პროგრამები (სასერტიფიკატო კურსები) – მეორედან მეხუთე დონის ჩათვლით.

ამრიგად, უმაღლესი პროფესიული განათლება წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მოკლე ციკლს და უთანაბრდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონეს. შესაბამისი დონის საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი (სრული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში), ან პროფესიული სერტიფიკატი (ცალკეული კურსის/მოდულის ათვისების შემთხვევაში), უმაღლესი პროფესიული განათლების მიღების საფუძველზე პიროვნებას მიენიჭება ასოცირებული ხარისხი.

კანონპროექტის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცემათ განახორციელონ ქართული ენის შემსწავლელი და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები გამიზნულად იმ პირებისათვის, რომლებმაც სკოლა საბაზო (9 კლასი) საფეხურის დასრულების შემდეგ დატოვეს და სურვილი აქვთ, პროფესიული განათლების მიღების პარალელურად დაეუფლონ ზოგად განათლებას (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური). ყოველივე ეს მნიშვნელოვან რეფორმას მოითხოვს არამხოლოდ პროფესიულ, არამედ ზოგადი განათლების სფეროშიც, რაც გარდაუვალი აუცილებლობაა განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ასოცირების შეთანხმების პირობების შესრულების, ევროპულ შრომის ბაზარზე ქართული პროფესიული განათლების კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობისა და პროფესიული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის მიზნით, კანონპროექტში გათვალისწინებულია პროფესიულ განათლებაში სერტიფიკატის გაცემის პირობები და დიპლომის დანართების მომზადება.

საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში 2013 წლიდან საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინიციატივით მიმდინარეობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წწ.) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების განხორციელებას, რაზეც პასუხისმგებელი არის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული რეფორმის მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული ეფექტური და მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით.

რეფორმა მოიცავს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარ ციკლს – შრომის ბაზრის კვლევიდან, სტუდენტის მიღწეული კომპეტენციების შეფასებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებამდე.

2013 წლიდან დღემდე რეფორმის ფარგლებში მუშაობს „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამა“ რამდენიმე საკვანძო მიმართულებით, რომლებიც მოიცავს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირებასა და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, სტანდარტებსა და საქართველოში პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებზე დაფუძნებული ეროვნული პროფესიული კურიკულუმების, ე.წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების მომზადებასა და აღნიშნული თანამედროვე კურიკულუმების დანერგვის ხელშეწყობას, მათ შორის პროფესიული განათლების სისტემაში შესაბამისი ინსტიტუციური, მატერიალური და ადამიანური რესურსების შექმნას.

პროფესიული სტანდარტების შემუშავება.

პროფესიული სტანდარტების შემუშავების ეტაპზე გაანალიზდა:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა“;
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წელს მომზადებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – „ეკონომიკური

საქმიანობის სახეები“;

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის 2016 წელს წარმოდგენილი სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის მოსამზადებელი სპეციალისტების ნუსხა.

2013 წელს განახლდა აგრარული, სამშენებლო, სატრანსპორტო, დიზაინისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგების 15 პროფესიული სტანდარტი. დაკუმის (DACUM International Training Centre) მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტის მომზადებას /გადამუშავებას, დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით აღიწერა თითოეული ამ პროფესიის პროფილი, შესაბამისი მოვალეობები, ცოდნა, ზოგადი და საკვანძო უნარ-ჩვევები, საჭირო ხელსაწყო-იარაღები და პროფესიის სამომავლო განვითარების ტენდენციები. სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ დარგობრივი საბჭოების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, დასაქმებულები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით შემუშავებული სტანდარტები გააადვილებს კრედიტების ერთიანი სისტემის დანერგვასაც. კრედიტების სტანდარტიზებული და უნიფიცირებული სისტემის არსებობა წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ გააადვილდეს კრედიტების დაგროვება და ტრანსფერი ევროპის ქვეყნებში, ამასთანავე, უზრუნველყოფს თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას.

საქართველოში კრედიტების სისტემა არის არასტანდარტიზებული - ერთსა და იმავე პროფესიაზე სხვადასხვა კოლეჯში განსხვავებული კრედიტების სისტემაა. მაგალითად, ორ წამყვან კოლეჯში – „აისი“ (36 კრედიტი) და „ახალი ტალღა“ (40 კრედიტი) – გიდის პროფესიაზე სხვადასხვა რაოდენობის კრედიტების სისტემა და პრაქტიკული სამუშაოების სხვადასხვა რაოდენობაა საჭირო კურსის დასასრულებლად. მსგავსი მაგალითები მრავლადაა სისტემაში, რაც თავისთავად აბრკოლებს კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესს. შედეგად ვიღებთ არასათანადო კვალიფიკაციის კადრებს. მიღებული კვალიფიკაციის ხარისხი საგრძნობლად განსხვავებულია. არასტანდარტიზებული სისტემის გამო შეუძლებელია დაგროვილი კრედიტების სხვაგან გამოყენება, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას, ასევე, შეუძლებელს ხდის

სწავლის დროებით შეწყვეტასა და შემდგომ გაგრძელებას (ე.წ. აკადემიური შვებულებით სარგებლობას), უარყოფით გავლენას ახდენს მობილობაზე, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს პროფესიულ კოლეჯებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

2015 წელს განხორციელდა ცვლილება საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შემუშავდა და განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცდა „პროფესიული სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების შემუშავებისა“ და „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის“ წესები. ამ ყველაფერმა შექმნა სამართლებრივი ბაზა დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცებისა და მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვისათვის.

კანონპროექტის შესაბამისად, პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე, დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისას მოხდა პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირება. პროცესი ითვალისწინებს დასაქმების (ISCO) საერთაშორისო კლასიფიკატორის და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) შესწავლა-ანალიზს, საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში – ეკონომიკური საქმიანობის სახეები შესაბამისი პოზიციების იდენტიფიცირებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას – სხვა ქვეყნების პროგრამების შესწავლას და სხვა.

პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნა ითვალისწინებს:

- იგი უნდა ეფუძნებოდეს და უკავშირდებოდეს შესაბამის პროფესიულ სტანდარტს / სტანდარტებს / პროექტებს / პროფესიის ანალიზს და ორიენტირებული უნდა იყოს კვალიფიკაციისთვის საჭირო საერთაშორისო მოთხოვნებზე, სამომავლო ტენდენციებზე;

- იგი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული სფეროს დამსაქმებლების მიერ პროფესიულ სტანდარტში / სტანდარტებში / პროექტებში / პროფესიის ანალიზით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და კომპეტენციებს;
- ჩარჩო დოკუმენტში შემავალი მოდულები უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული პროგრამების მოქნილობას;
- შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ / დარგობრივ და ტრანსფერული უნარების განმავითარებელ კომპონენტებს;
- ხელს უწყობდეს დასაქმებას, დასაქმების ადგილზე პროფესიულ განვითარებასა და შემდგომ განათლებას;
- შესაძლებლობას აძლევდეს პროფესიულ სტუდენტს / დაინტერესებულ პირს შეიძინოს დამატებით სხვა კომპეტენცია ან აიმაღლოს კვალიფიკაცია.

კანონპროექტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, ასევე, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისა და პროგრამის განხორციელების წინაპირობები.

მოდულური პროფესიული პროგრამები, შედგება მოდულებისაგან. მოდული, დამოუკიდებელი სასწავლო ერთეულია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/ მსმენელს კონკრეტული, დასრულებული კომპეტენციის ან/და უნარის გამომუშავების ან/და ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.

მოდული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტია, რომელიც აერთიანებს ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.

- მოდული ყალიბდება პროფესიული სტანდარტის მოვალეობის/ მოვალეობების და ამოცანის/ამოცანების საფუძველზე;
- მოდული განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის / მსმენელისათვის სავალდებულოდ მისაღწევ სწავლის შედეგებს და ამ შედეგების მიღწევის საშუალებებს;

- მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს ენიჭება შესაბამისი კრედიტი;
- ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურაში განსაზღვრულია, რომ მოდულთა ერთობლიობის წარმატებით გავლის შედეგად პირს მიენიჭება კვალიფიკაცია, თუმცა დაინტერესებულ პირს შეუძლია მხოლოდ ერთი ან ერთზე მეტი მოდულის დამოუკიდებლად გავლა, რაც ჩაითვლება ფორმალურ გარემოში მიღებულ განათლებად.

კანონპროექტის შესაბამისად, მოდული არის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ფუნქციურად დამოუკიდებელი კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ფუნქციურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, გამოიხატება კრედიტებში და აღწერს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს.

არსებობს მოდულის სამი ტიპი:

ა) თეორიული, ბ) კომბინირებული, გ) პრაქტიკული.

ა) თეორიული მოდული – მოდულის სწავლის შედეგები სტუდენტს აძლევს მხოლოდ თეორიულ ცოდნას;

ბ) კომბინირებული მოდული – მოდულის სწავლის შედეგები სტუდენტს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე, გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარს, კომპეტენციას;

გ) პრაქტიკული მოდული – მოდულის სწავლის შედეგები სტუდენტს გამოუმუშავებს მხოლოდ პრაქტიკულ უნარს, კომპეტენციას.

მოდულის შემუშავებაში ჩართული არიან განათლებისა და დარგის ფასილიტატორები, მოწვეული ექსპერტები ან/და სპეციალისტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შესაძლოა ითვალისწინებდეს სამივე ტიპის მოდულს ან მხოლოდ ერთს ან რომელიმე ორს. რაც უფრო მაღალი საფეხურის კვალიფიკაციას მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, მით უფრო მეტია თეორიული კომპონენტი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოდულთა მთლიანი ერთობლიობიდან პრაქტიკული სწავლის შედეგების რაოდენობა არანაკლებ 60%-ია.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავენ და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

ძლიერი კავშირი არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/ მოდულის შედგენასა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს შორის. თუ ეს კავშირი მიღწეულია, ეს იმას ნიშნავს, რომ დასაქმების მოთხოვნები პირდაპირ იქნება გათვალისწინებული პროფესიული პროგრამის სწავლის შედეგებში.

ამჟამად პროფესიული განათლების სფეროში ფუნქციონირებს როგორც საგნობრივი პროგრამები, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც. კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამები ფოკუსირებულია სწავლის შედეგებზე და არა სწავლის შინაარსზე. აღნიშნული მიდგომა დაგვეხმარება მოქნილი, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და თვითდასაქმებას.

ახალი საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმობა სამეწარმეო განათლებას, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის საჭირო ცოდნის მიღებას, სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას, პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობას.

აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებს მეწარმეობის მოდულს, როგორც სავალდებულო კომპონენტს. ამდენად, ახალმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და, ამავდროულად, მოახერხონ მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეწარმეობის მოდული დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მომზადდა და მან სპეციალისტების მხრიდან მაღალი შეფასება მიიღო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავება უმეტესწილად ხორციელდება თეორიულ სასწავლო გარემოში. მეწარმეობის სწავლების პრიორიტეტულობა დღის წესრიგში აყენებს სწავლების უფრო ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, მათ შორისაა მეწარმეობის პრაქტიკული და იმიტირებული სწავლების ფორმები. არაერთი ქვეყანა იყენებს კოლეჯებში შექმნილ ინფრასტრუქტურას, როგორც პროფესიის, ასევე მეწარმეობის პრაქტიკული სწავლებისთვისაც და ამ გამოწვევას თავს წარმატებით ართმევს.

პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებისა და სამეწარმეო იდეების მხარდაჭერის მიზნით ამოქმედდა არაერთი პროექტი, მათ შორის (2016 წელს) პროექტი, რომელიც ერთობლივად ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

პროექტის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფდა პროექტის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობის მიერ და რომლის საქმიანობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

პროექტის პარტნიორები იყვნენ:

- კერძო სექტორის ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, პროფესიული განათლების სფერო ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქცეს ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ თუ საერთაშორისო პარტნიორებს შორის. აქტიური კავშირები ინოვაციურ ინდუსტრიებთან, კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან პარტნიორობის ახალ ფორმას წარმოადგენს, რაც სტუდენტს პროფესიული ზრდისკენ უბიძგებს.

2015 წლის თებერვალში „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით მომზადდა საგანმანათლებლო გარემოსა და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების მეთოდოლოგია. 2015 წელს ნორმატივები საფუძვლად დაედო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ნორმატივების გათვალისწინებით ავტორიზაციის ფარგლებში მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინფრასტრუქტურული სტანდარტის შესრულება.

დარგობრივი საბჭოების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას მათი გაფართოებული მანდატით, განახლებული რეგულაციებითა და წევრთა გაზრდილი შესაძლებლობით. ამ მიზნის მისაღწევად 2016 წელს განახლდა დარგობრივი საბჭოების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 27 იანვრის №42 და 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანებებით დამტკიცდა „დარგობრივი საბჭოების საქმიანობის ანაზღაურების წესი“ და „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“.

დარგობრივი საბჭოების განახლებული რეგულაციები ითვალისწინებს საბჭოების ფართო მანდატს შემდეგი მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად:

- პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა ან კვალიფიკაციების შიგნით ცალკეული კომპეტენციების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება;
- პროფესიული სტანდარტების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების/მოდულების შემუშავების საჭიროების შესახებ ინიციატივების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

- პროფესიული სტანდარტების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების /მოდულების პროექტების / ცვლილებების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, მოდულებში მატერიალური რესურსების სპეციფიკაციების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვლიდან“ პროფესიული სპეციალიზაციების ამოღების ან შეცვლის შესახებ საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- დარგობრივ ჭრილში, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ან/და პროფესიული განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

საგანმანათლებლო რესურსების მართვისა და განვითარების პროცესი.

პროგრამის 2016 წლის სამოქმედო გეგმით, საგანმანათლებლო რესურსების განვითარების კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი იყო სტუდენტის სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლის გზამკვლევები შემუშავება.

აღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგი ეტაპების გათვალისწინებით:

- საგანმანათლებლო რესურსების სფეროში საჭიროებათა ანალიზი;
- საგანმანათლებლო რესურსების მატრიცის შემუშავება;
- სასწავლო რესურსების შემუშავება იდენტიფიცირებულ საჭიროებათა პროირიტეტულობის მიხედვით.

სახელმძღვანელოების კუთხით არსებული ვითარების ანალიზისთვის დამუშავდა ინფორმაცია გასულ წლებში სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების კუთხით. არაფორმალური გასაუბრების გზით გამოიკითხა ჩართული მხარეები. საინიციატივო ჯგუფმა შეისწავლა და გააანალიზა პროგრამის მენეჯერის

სახელზე შემოსული წერილები კონკრეტული მოდულური პროფესიული პროგრამ(ებ)ის თუ ცალკეული პროფესიული მოდულ(ებ)ის განხორციელების პროცესის სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფის საჭიროების თაობაზე. მოეწყო შეხვედრები დამოუკიდებელ ექსპერტებთან, დამუშავდა და გაანალიზდა უკვე დასრულებულ მოდულებში მითითებული სარეკომენდაციო სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია.

პროცესის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების სფეროში დაგროვილი საერთაშორისო თუ ეროვნული გამოცდილების გაცნობა-გაზიარების (აგრეთვე, პროექტის ფარგლებში წინა წლებში შემუშავებული დოკუმენტების დახვეწის) საფუძველზე, დაიხვეწა საგანმანათლებლო რესურსების განვითარების პროცესში სახელმძღვანელო სხვადასხვა მეთოდული დოკუმენტი, აგრეთვე, დასრულებული სახით მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის წესი.

ყველა დასრულებული სახელმძღვანელო და გზამკვლევი გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე [www.vet.ge](http://www.vet.ge).

კურსდამთავრებულთა პიროვნული და კარიერული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების განხორციელება, რომლებიც არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას შეუწყობს ხელს. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ამგვარი არაფორმალური საშუალებით მიღებული ცოდნის დადასტურება ანუ ვალიდაცია. პირს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს შესაბამის დაწესებულებას, რომელიც წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეამოწმებს პირის ცოდნას, უნარებსა თუ კომპეტენციას, ვალიდაციის შემთხვევაში კი მიანიჭებს შესაბამისი პროფესიული უნარების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ბოლო წლებში შემუშავდა ინკლუზიური პროფესიული განათლების კონცეფცია, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, შეიქმნა შეზღუდული

შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული სასწავლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის მექანიზმი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათი პროფესიული სწავლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. თანდათან ინერგება შედეგზე ორიენტირებული, ინდივიდზე მორგებული სასწავლო გარემო.

სტრატეგიის თანახმად, სისტემამ პროფესიულ სტუდენტებს აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ყველა ეტაპზე: სწავლის დაწყებამდე, სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგაც.

### **თავი 3. პროფესიული განათლების სისტემის რეგულირების მექანიზმები**

#### **3.1. პროფესიული განათლების რეგულირებისადმი მიდგომები**

საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები და დადგინდა, რომ განათლების უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახის ფასიანი და უფასო სწავლება, მათ შორის, პროფესიული სწავლებაც. 1991 წლის 14 ივნისს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“, რომლითაც ნება დართო ფასიანი სასწავლებლების დაარსებას სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი, ატესტატი) გაცემის უფლებით.

ფასიანი სასწავლებლების დაარსების უფლება ჰქონდათ, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება დაუშვებელი იყო. ამას სჭირდებოდა სპეციალური ლიცენზია. საქართველოს განათლების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 1991 წლიდან 2004 წლამდე გაიცა 11 დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობისა და 223 სამუშაო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების ფუნქციონირებაზე. მოიშალა საბაზო საწარმოებისა და სასწავლებლების ტრადიციული ურთიერთობა. ვეღარ აახლებდნენ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, გაწყდა კავშირი სასწავლებლებსა და საბაზო სუბიექტებს შორის. საწარმოებმა, ფაქტობრივად, შეუწყვიტეს დახმარება მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებაში. სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილის უმოქმედობის გამო აღარ იყო მოთხოვნა პროფესიული და საშუალო რგოლის კადრების მომზადებაზე. სამეურნეო ხელმძღვანელთა უმეტესობა არ ითვალისწინებდა სამომავლო ამოცანებს და არ იყო დაინტერესებული ახალგაზრდა კადრების მომზადებით. კერძო სტრუქტურები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ახალგაზრდების პროფესიული მომზადების ხელშესაწყობად. თავად სასწავლებლები კი სუსტად რეაგირებდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარე ცვლილებებზე. მკვეთრად შემცირდა საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა, შესაბამისად, იკლო მოსწავლეთა კონტინგენტმა საშუალო-სპეციალურ და პროფესიულ სასწავლებლებში.

1993 წლის 18 თებერვალს საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპეციალობათა ნუსხა, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების

სპეციალობათა ჩამონათვალი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და განისაზღვრა სწავლის მაქსიმალური ხანგრძლივობა არასრული (სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი) და სრული (სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი) საშუალო განათლების ბაზაზე. 1994 წელს კი პირველად (განათლების მინისტრის ბრძანებით) განისაზღვრა იმავე წლის მისაღები კონტინგენტი სასწავლებლების მიხედვით და პირველად (იმავე ბრძანებით) სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა სასწავლებლებში ფასიანი ჯგუფების გახსნა. შემდგომ წლებში კიდევ უფრო მეტად დამკვიდრდა ფასიანი სწავლება და ეს პრაქტიკა დღემდე მოქმედებს. საინტერესოა 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული N572 დადგენილება „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის შესახებ“, რომელიც დაფინანსების სხვადასხვა წყაროს განსაზღვრავს. პროგრამა მიზნად ისახავდა არსებული განათლების სისტემის კარდინალურ ცვლილებას შემდეგი სტრუქტურების ჩამოყალიბების საფუძველზე:

- სახელმწიფო სასწავლებლები, რომლებიც გადაჭრიან კადრების მომზადების პრობლემას რეგიონთაშორისი (რესპუბლიკური) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- ამ ტიპის სასწავლებლები დაფინანსდება სახელმწიფო დაკვეთებით შესაბამისი ნორმატივების საფუძველზე;
- რეგიონული სასწავლებლები, რომლებიც რეგიონის საკადრო მოთხოვნილების საფუძველზე ფუნქციონირებს და დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
- დარგობრივი სასწავლებლები, რომლებიც შექმნილია კონკრეტულ საწარმოსთან დაფინანსდება საწარმოს მიერ;
- არასახელმწიფოებრივი პროფესიული სკოლები მათი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შერეული დაფინანსებით;
- პროფესიული სასწავლებლების ძირითადი ნაწილის რეგიონული დაქვემდებარება რეგიონისა და საწარმოს ბიუჯეტზე გადაყვანით;
- პროფესიული სასწავლებლის მიერ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროს გაფართოება.



აღნიშნული დადგენილება საინტერესოა სხვადასხვა სახეობის კოლეჯების დაფუძნების განსაზღვრის მიზნით: „პროფესიული განათლების განვითარების რეალიზაციისათვის აუცილებელია: მუნიციპალური პროფესიული სასწავლებლების ქსელის გაფართოება კომუნალური (სათემო) კოლეჯების სახით, რომელიც იმუშავებს რეგიონის სოციალურ მოთხოვნებზე. იქმნება სასწავლებლის ახალი ტიპები – ფერმერთა სკოლები, სასწავლო-საწარმოო, სასწავლო – კომერციული ცენტრები და გაერთიანებები. ხალხური რეწვისა და ტრადიციული დარგების აღორძინებისა და განვითარების მიზნით ფართო გასაქანი მიეცემა სწავლების ოსტატ-შეგირდული წესის გამოყენებას. პროფესიული სასწავლებლების დიდი ნაწილის ორიენტირება მეწარმეობაზე, მცირე საწარმოებისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის კადრების მომზადებაზე. იმ პროფესიული სასწავლებლის გაფართოება, რომლებიც მომსახურების სფეროსათვის ამზადებენ სპეციალისტებს. პროფესიული განათლების სისტემის მაქსიმალური გამოყენება კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. არასახელმწიფო პროფესიული სკოლებისათვის მოქმედების პირობების შექმნა”.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 აპრილის N281 ბრძანებულების თანახმად დამტკიცდა საქართველოს განათლების სამინისტროს დებულება. მოცემული დებულებით განისაზღვრა სამინისტროს მიზნები, ძირითადი ფუნქციები, ვალდებულებები და უფლებამოსილებანი. ეს ცვლილებები განხორციელდა, როგორც ზოგად და უმაღლეს, ასევე პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დებულებით ასევე განისაზღვრა 110 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც იმ პერიოდისათვის ფუნქციონირებდა.

როგორია XXI საუკუნის მიჯნაზე პროფესიული განათლებისა და პროფესიული კადრების მომზადების სახელმწიფო სისტემა? სისტემა მოიცავს:

1. დაწყებით პროფესიულ განათლებასა და სახელობო მომზადებას;
2. საშუალო პროფესიულ განათლებას;
3. ზრდასრულთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დაწყებითი პროფესიული განათლება და სახელობო მომზადება რეგულირდებოდა საქართველოს კანონით „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“.

საქართველოს პარლამენტმა 1998 წელს მიიღო კანონი „განათლების შესახებ“ დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროსათვის დამახასიათებელი საკითხების დაკონკრეტებისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განათლების მიღების ვალდებულება შემცირდა და განისაზღვრა ზოგადი განათლების დაწყებითი (6 კლასი) საფეხურით (საქართველოს პარლამენტი, 1997 წ). შესაბამისად, სახელობო მომზადება შეიძლებოდა მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების შემდეგ (6 კლასი) და დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული ჰქონდა საბაზო ზოგადი განათლება (9 კლასი), (საქართველოს პარლამენტი, 1998). შესაბამისად, კანონმდებლობის ფარგლებში მოზარდი 3 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, სასწავლებლის გარეშე რჩებოდა.

2005 წლამდე საშუალო პროფესიული განათლება რეგულირდებოდა 1997 წელს მიღებული საქართველოს კანონით „განათლების შესახებ“. 2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელშიც ცალკე თავი ეთმობოდა საშუალო პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კანონის მიხედვით, საშუალო პროფესიული განათლება ხორციელდებოდა, როგორც საშუალო განათლების, ისე საბაზო სკოლის 9 კლასის ბაზაზე.

2004 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით გამწვავდა სოციალური ვითარება, პროფესიული განათლება თითქმის არ განიხილებოდა უმუშევრობის, სიღარიბის დამღევისა და ეკონომიკის წინსვლის ფაქტორად. ამ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედებდა 80 დაწყებითი და 87 საშუალო სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი. აღნიშნული დაწესებულებები არსებობდნენ მხოლოდ შინაგანი რესურსების მობილიზებით, პედაგოგთა მცდელობითა და მცირეოდენი გარე დახმარებით. თუმცა უდიდესი ეკონომიკური სირთულეების, მოსახლეობის დიდი ნაწილის ემიგრაციის, კერძო საშუალო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის ზრდისა, სტუდენტთა და მოსწავლეთა – სახელმწიფო დაფინანსების

მინიმუმამდე შემცირების – პირობებში, დაწყებითი პროფესიული სასწავლებლების დიდმა ნაწილმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ვეღარ გააგრძელა ფუნქციონირება, რის გამოც 1989 წლიდან 2004 წლამდე ლიკვიდაციისა და გაერთიანების გზით სახელმწიფო დაწყებითი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 170-დან 78-მდე შემცირდა, მოსწავლეთა რაოდენობამ იკლო, დაახლოებით, 7-ჯერ, ხოლო ყოველწლიური მიღება 15000-დან 2000-მდე შემცირდა.

სახელმწიფო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებს რაოდენობრივად დიდი ცვლილებები არ განუცდია, საბიუჯეტო ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა, დაახლოებით, 25%-ით.

### ცხრილი № 3

#### სახელმწიფო საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა სწავლების სახეების მიხედვით\*

სასწავლო წლის დასაწყისისთვის მოსწავლეთა რიცხოვნობა, კაცი				
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი		სულ	მათ შორის სწავლობენ განყოფილებებზე	
			დღის	დაუსწრებელი
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>	<i>4</i>	<i>5</i>
2000/2001	85	27408	24839	2569
2001/2002	85	25219	23573	1646
2002/2003	85	22618	21511	1107
2003/2004	85	20355	19602	753
2004/2005	87	20682	20126	556
2005/2006	86	20904	20095	809
2006/2007	79	18242	17474	768
2007/2008	69	9377	8858	519
2008/2009	30	2177	1999	178

მათ შორის ფასიან ჯგუფებში				
2000/2001	24	5529	5529	-
2001/2002	25	6827	5940	887
2002/2003	26	5972	5682	290
2003/2004	26	5299	5092	207
2004/2005	32	6394	5904	490
2005/2006	26	6839	6487	352
2006/2007	26	6658	5940	718
2007/2008	20	2499	2362	137
2008/2009	9	269	199	70

წყარო: საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახური

(\* 2009 წლის შემდეგ პროფესიულ სასწავლებლებში განყოფილებები გაუქმდა. ამიტომ სტატისტიკური აღრიცხვა განყოფილებების მიხედვით აღარ წარმოებს).

XX საუკუნის ბოლოს სამრეწველო საწარმოების უმოქმედობამ გამოიწვია სამრეწველო პროფესიებში კადრების მომზადებაზე მოთხოვნის შემცირება, პარალელურად სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მომსახურების სფეროს პროფესიებზე, თუმცა მოსახლეობის მოთხოვნა პროფესიულ საგანმანათლებლო მომსახურებაზე საშუალო პროფესიული განათლების სფეროში იმ პერიოდისათვის ხშირად არ შეესაბამებოდა ბაზრის მოთხოვნას. საშუალო პროფესიული სასწავლებლების უმეტესმა ნაწილმა გარდამავალ პერიოდში პროფილი შეიცვალა. საშუალო პროფესიული სასწავლებლების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სამედიცინო პროფილის) უმაღლეს სასწავლებლებში გაიოლებული ჩარიცხვის, სწავლის პერიოდის შემცირების, უხარისხო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებად იქცა. ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები ჩარიცხვიდან ორ-სამ წელიწადში ამთავრებდნენ კოლეჯს და უმაღლესი სასწავლებლის მეორე-მესამე კურსზე ირიცხებოდნენ, მაშინ, როდესაც მათ თანატოლებს, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სრულად დაამთავრეს, იმ დროისათვის უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩაბარება უწევდათ. პრესტიჟულ სპეციალობებზე (სამედიცინო, იურიდიული) ამგვარი ფაქტები იქცა კორუფციის,

ცოდნის დაბალი ხარისხისა და სხვა მრავალი პრობლემის მიზეზად. 2005 სასწავლო წელს ასეთი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით უმაღლეს სასწავლებლებში პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

საქართველოს რეგიონებში, პატარა ქალაქებსა და სოფლად მდგომარეობა სრულიად შეუსაბამო იყო. თბილისში, რამდენიმე პატარა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებდა დაუტვირთავი საშუალო და დაწყებითი პროფესიული სასწავლებლები, მთელი რიგი რაიონების, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონების, მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და პროფესიული განათლება. ქუთაისში 1993 წლამდე 11 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მოქმედებდა, სადაც სპეციალისტებს ქალაქში მოქმედი დიდი სამრეწველო საწარმოებისათვის ამზადებდნენ. 2003 წლისათვის ქუთაისში ფუნქციონირებდა 4 კერძო და 13 სახელმწიფო საშუალო პროფესიული სასწავლებელი, მათ შორის, 10 სამედიცინო პროფილის. ქალაქში არ დარჩა არცერთი პროფესიული სასწავლებელი, რომლებიც მოამზადებდა კვალიფიციურ მუშახელს იმ პროფესიებში, რომლებზეც აშკარად იყო გამოკვეთილი ბაზრის მოთხოვნა (სამშენებლო დარგი, მომსახურების სფერო და სხვა). დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებები, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

პროფესიული სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზის შევსების თვალსაზრისით ინვესტირება არ განხორციელებულა 1986 წლიდან 2005 წლამდე. ასეთ ვითარებაში სასწავლებლებმა ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება დაიწყეს იმ პროფესიების მიხედვით, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა გაჩნდა და რომლებსაც სახელმწიფო არ აფინანსებდა.

2000 წლიდან 12 დაწყებითი პროფესიული სასწავლო დაწესებულება გადავიდა თვითდაფინანსებაზე. დაწყებითი პროფესიული განათლების მომსახურებით, ძირითადად, სარგებლობდა გადახდისუნარო მოსახლეობა, მაგრამ ასეთ პირობებშიც კი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა სასწავლებლების საკუთარი შემოსავალი, რომელიც ძირითადად ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიიღებოდა.

2002-2003 წლების პერიოდში არსებითად შეიცვალა მოსამზადებელი კვალიფიკაციების სტრუქტურა. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მსხვილი საწარმოების ფუნქციონირების შეწყვეტის შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა

ინდუსტრიულ, სამრეწველო პროფესიებში მომზადებაზე. ამავე დროს ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა ვაჭრობის, ტურიზმის, რესტორნის საქმის, საზოგადოებრივი კვებისა და ტრანსპორტის პროფესიებზე. თუმცა სახელმწიფომ, ამ სფეროებში მომსახურების უკიდურესად დაბალი ხარისხის მიუხედავად, შეწყვიტა მომსახურე პერსონალის მომზადების დაფინანსება. მათი მომზადება დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროში მხოლოდ ფასიანი სწავლების პრინციპით იყო შესაძლებელი.

ბუნებრივია, მსხვილი საწარმოების უმოქმედობამ განაპირობა ის, რომ შემცირდა სამრეწველო სპეციალისტების მომზადებაზე მოთხოვნა. სამაგიეროდ, სამუშაო ადგილების არარსებობის მიუხედავად, საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში გაიზარდა მიღება კულტურის, იურიდიულ, ეკონომიკურ, სამედიცინო და პედაგოგიურ სპეციალობებზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 2003-2004 სასწავლო წლებში სახელმწიფო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 19,6% სწავლობდა სამედიცინო, 13,7% ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის, 13,7% ეკონომიკისა და სამართლის, 12,5% პედაგოგიურ სპეციალობებზე, 5,7% მრეწველობისა და მშენებლობის, 4,6% ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში დიდი იყო ბაზარზე მაღალი კვალიფიკაციის მშენებელთა კადრებზე მოთხოვნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 27 მაისის №90 დადგენილებით, შეიქმნა პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის კომისია, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, ზრდასრულთა განათლების ასოციაციის ხელმძღვანელები. მთავრობამ დაამტკიცა სამთავრობო კომისიის დებულება, რომლითაც განისაზღვრა კომისიის უფლება-მოვალეობანი და ამოცანები. კომისია წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორების საქმიანობის

კოორდინაციის მიზნით (საქართველოს მთავრობის №90 დადგენილება, 2005 წლის 27 მაისი).

შესაბამისად, უკვე ამ პერიოდიდან დაიწყო სოციალური პარტნიორობის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მცდელობა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომისია წარმოადგენდა მთავრობის სათათბირო ორგანოს, თეორიულად და შემდეგ უკვე პრაქტიკულად, კარგად გამოჩნდა, რომ ასეთი სახის კავშირი პროფესიულ განათლებასა და სოციალურ პარტნიორობს შორის საკმაოდ სუსტია და შედეგს პრაქტიკულად არ იძლევა.

საინტერესოა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარება პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებით. 2002-2003 წლებში გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების გაერთიანების კავკასიის ფილიალის დახმარებით 18 პროფესიის მიხედვით შემუშავდა იმ პერიოდისათვის ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც, იმავდროულად, ევროპული გამოცდილებით იყო გაჯერებული: ფართო პროფილის მშენებელი; ელექტროაირშემდუღებელი; სადურგლო სამუშაოების ოსტატი; ფართო პროფილის მეჩარხე; მძლოლი (ყველა კატეგორიის); ავტომექანიკოსი; კომპიუტერული სისტემების ოპერატორი; სამშენებლო-მომპირკეთებელი სამუშაოების ოსტატი; მზარეულ-კონდიტერი; მდივან-რეფერენტი; ბარმენი-მეზუფეტე, მიმტანი (ოფიცინტი); გამყიდველი; ძიძა ოჯახში; სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი; ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ოსტატი; პარიკმახერი; ფართო პროფილის მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი.

აღნიშნული ორგანიზაციის მიერ (IIZ/DFF) ასევე შემუშავდა და გამოიკა საგნის - „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების“ სასწავლო პროგრამა და ორი დასახელების სახელმძღვანელო.

პროფესიულ სწავლებაში ნაკლებად გამოიყენებოდა თანამედროვე სწავლების მეთოდები. სასწავლებლებს არ გააჩნდათ სწავლების თანამედროვე საშუალებების, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული აღჭურვისა თუ სადემონსტრაციო საშუალებების შეძენის შესაძლებლობა. არასტაბილური იყო

შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლები პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებს საკუთარ საწარმოებში სასწავლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას აძლევდნენ.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა 2007 წლიდან დაიწყო. პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა პრობლემებმა რეფორმის აუცილებლობა განაპირობა, კერძოდ: პროფესიული განათლების დაბალი პრესტიჟი, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობა, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის დახვეწის აუცილებლობა, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა. გარდა ამისა, პროფესიული განათლება არ იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი და არსებობდა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“. კერძოდ, სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა თავისუფალ გადასვლას პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო დონეებზე.

საქართველოს, ისევე, როგორც კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების, პროფესიული განათლების ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ოსტატ-პედაგოგთა ნაკლებობა. დეფიციტი შეინიშნებოდა, უპირველეს ყოვლისა, დაუფინანსებლობის, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორების, განსაკუთრებით, დამსაქმებელთა პასიური მონაწილეობის, ახალ საბაზრო მოთხოვნებთან მასწავლებლებისა და ოსტატ-პედაგოგთა კადრების შეუსაბამობის გამო.

### **3.2. დუალური პროფესიული განათლება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში**

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პროფესიულ განათლებაში არის ის, რომ სწავლება უნდა შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის საჭიროებებს სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი საუკეთესო გზა, მექანიზმების შემუშავებაა, რომლებიც დააკავშირებენ დამსაქმებელთა ინტერესებს სასწავლო დაწესებულებებთან და ამგვარად გამოიყენებენ სამუშაო ადგილებს ეფექტიანად. თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას ბევრ ქვეყანაში აქვს გადამწყვეტი როლი.



სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის 2017 წლის ინფორმაციით, უმუშევრობის დონე ქართველ ახალგაზრდებში (15-25 წლამდე) 30%-ს აჭარბებდა, ხოლო იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არც მუშაობენ და არც სწავლობენ, 26%-ია (საქსტატი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ციფრები ბოლომდე არ ასახავს რეალობას, ვინაიდან საქართველოში სოფლის მეურნეობაში მომუშავეებს (რომელთა შემოსავალი უმეტესად საარსებო მინიმუმს არ სცდება) სტატისტიკის სამსახური დასაქმებულებად თვლის.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წწ. სტრატეგიაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს ბრიუგეს კომუნიკესა და რიგის გადაწყვეტილებების ქვაკუთხედს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (სდს) განმარტებისას კონცეფცია ეყრდნობა ევროპის განათლების ფონდის შემდეგ დეფინიციას: „სდს წარმოადგენს სწავლის პროცესს, რომელიც ხორციელდება რეალური სამუშაოს შესრულების დროს. სამუშაო შესაძლებელია იყოს ან არ იყოს ანაზღაურებადი, თუმცა ეს უნდა იყოს რეალური სამუშაო, რომლის ფარგლებში ხდება რეალური პროდუქციის წარმოება ან სერვისის მიწოდება”.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება იყოს ეფექტური მიდგომა, გარკვეული მიზნების მისაღწევად, როგორცაა:

- სამუშაო ძალების პროფესიული უნარებისა და ხარისხის გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა სამუშაოსთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების, ტრანსფერული უნარების, სოციალური უნარების გაუმჯობესება;
- უნარების ხარვეზების შევსება;
- პროფესიული სწავლების ხარისხისა და იმიჯის გაუმჯობესება. მისი მიმზიდველობის გაზრდა;
- დასაქმების გაზრდა. ახალგაზრდებისათვის, სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის და სამუშაოს მაძიებელთათვის სამუშაო შესაძლებლობებთან ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ინოვაციებისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა;
- სოციალური ჩართულობის გაძლიერება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეთათვის, რომლებიც სკოლის მიტოვების რისკის წინაშე დგანან,

შეიძლება იყოს ეფექტიანი, მათი ხელახალი მოტივაციისა და შენარჩუნებისათვის.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება იყოს მომგებიანი ყველა მონაწილე მხარისათვის, თუკი შესაბამისი წინა პირობა არის დაკმაყოფილებული, როგორცაა სამუშაო ადგილზე შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, შესაბამისი ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები და მექანიზმების არსებობა. ზოგადად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პოტენციური უპირატესობანი მოსწავლეთათვის, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მომწოდებლებისა და საზოგადოებისათვის, წარმოდგენილია ცხრილში.

**ცხრილი № 4**

**სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები**

მონაწილე მხარეები	უპირატესობები
1	2
მოსწავლეთა პერსპექტივა	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული უნარების განვითარება;</li> <li>• მოსწავლეთა სამუშაოსთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების, ტრანსფერული უნარების, სოციალური უნარების გაუმჯობესება;</li> <li>• დამსაქმებლებთან დაკავშირება, რომლებმაც სწავლის დამთავრების შემდეგ შესაძლოა შესთავაზონ სამუშაო;</li> <li>• უკეთ ინფორმირებული სამუშაოსთან დაკავშირებული არჩევანი; კარიერის მართვის უნარების გაუმჯობესება;</li> </ul>
დამსაქმებელთა პერსპექტივა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ძალის კვალიფიკაცია;</li> <li>• ცოდნის ხარვეზების შევსება; საჭიროებაზე მორგებული ტრენინგები;</li> <li>• სამუშაოს შესრულების გაუმჯობესება და პროდუქტიულობა;</li> <li>• სამუშაოზე აყვანაზე დადებითი გავლენა;</li> <li>• თანამშრომლებზე პოზიტიური გავლენა;</li> <li>• დამსაქმებელს რთავს პროფესიული განათლების დიზაინსა და მართვაში და ამგვარად იზრდება მათი ნდობა სისტემაში;</li> </ul>
პროფესიული განათლების მომწოდებლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მრეწველობასთან გაუმჯობესებული თანამშრომლობა;</li> <li>• პროფესიული სწავლების გაუმჯობესებული ხარისხი;</li> <li>• პროფესიული სწავლების ხარისხის, იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება;</li> <li>• შრომით ბაზარზე ორიენტირებულობის გაზრდა;</li> <li>• მასწავლებელთა კომპეტენციებზე დადებითი გავლენა;</li> </ul>

1	2
საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალგაზრდების დასაქმების ზრდა; სწავლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდების შანსების ზრდა სამუშაოს მისაღებად;</li> <li>• ეკონომიკური მნიშვნელობა: ღირებულების გაზიარება სახელმწიფოსა და მრეწველობას შორის;</li> <li>• კომბინირებული მართვა;</li> <li>• ინოვაციისა და განვითარებისათვის მხარდაჭერა;</li> <li>• სოციალური ჩართულობის გაძლიერება;</li> <li>• უფრო შესაბამისი უნარები, რეალური სამუშაო სიტუაციებისათვის;</li> <li>• სწავლის შესაძლებლობების მხარდაჭერა, რომელსაც ბევრი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული განათლების სასწავლებლები და კოლეჯები ვერ ახერხებენ.</li> </ul>

წყარო: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2015

დუალური განათლების მთავარი არსი ისაა, რომ სტუდენტი იღებს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ – პრაქტიკულ ცოდნასაც უშუალოდ სამუშაო გარემოში. ამ თვალსაზრისით გერმანიის დუალური განათლების სისტემა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან – ხელოსანთა გილდიებიდან, ოსტატებისა და შეგირდების ინსტიტუტიდან იღებს სათავეს. შეგირდები 3-5 წლის განმავლობაში ოსტატებისგან სწავლობდნენ პრაქტიკულ მუშაობას, ასევე, დამატებით იძენდნენ ისეთ საჭირო უნარებს, როგორებიცაა კალკულაცია, წერა და სხვ.

განათლების ამ მოდელის მეშვეობით სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას სწავლის გაგრძელებისა და მუშაობის შესაძლებლობა ერთდროულად აქვს – ახალ ცოდნასა და უნარებს იგი ორ პარალელურ სივრცეში – საწარმოსა და სასწავლებლის აუდიტორიაში ითვისებს, კვირის 3-4 დღე საწარმოშია, 2-3 დღე პროფესიული განათლების სკოლაში.

სწავლის დასრულების შემდეგ მისი ცოდნა და შესაძლებლობები გამოცდაზე ფასდება, იღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და შედეგების მიხედვით იღებენ საწარმოში. ეს არის შედარებით დაბალანაზღაურებადი კადრი, რომელზეც მოთხოვნა შრომის ბაზარზე ბევრად მეტია იმ კვალიფიციურ კადრებთან შედარებით, რომლებმაც, მართალია, უფრო ხანგრძლივი, 4-5 წლიანი (და ზოგჯერ მეტიც) უმაღლესი განათლება მიიღეს, მაგრამ მხოლოდ თეორიულ ცოდნას ფლობენ და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ აქვთ.

დუალურმა განათლებამ გერმანიაში ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია. იგი 346 ძირითად და 46 ახალ, მოთხოვნად პროფესიას მოიცავს და დღეს გერმანია მთელ ევროპაში ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მაღალია დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი.

როგორ მივაღწიოთ მსგავს წარმატებას საქართველოში, სადაც სამწუხაროდ ახალგაზრდების უმეტესობა, დაუსაქმებელია?

რა მდგომარეობაშია ჩვენთან პროფესიული განათლება, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არანაკლები ტრადიცია აქვს, მაგრამ პოპულარობით არ სარგებლობს?

რა არის საჭირო პროფესიული განათლების პრესტიჟის ასამაღლებლად და რამდენად შესაძლებელია საქართველოში დუალური განათლების მოდელის დანერგვა?

ქვეყნებმა, რომლებმაც განათლების ეს მოდელი გადაიღეს გერმანიისგან, უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი. დუალური განათლების ექსპორტს გერმანიაც განიხილავს, როგორც ქვეყნისადმი დახმარებას და ასეთი თანამშრომლობისთვის მუდამ მზად არის. თუმცა, სახელმწიფოს ნების გარდა, დუალური განათლების ხელშეწყობასა და დამკვიდრებას ბიზნესის აქტიურად ჩართვა და მონდომებაც სჭირდება.


გაეროს ჩატარებული კვლევის („პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკუდებულება“, 2015 წ) ფარგლებში დამსაქმებლებს შესთავაზეს სწავლების მოდელის ორი სხვადასხვა სქემა და სთხოვეს დაესახელებინათ, თუ რომელს დაუჭერდნენ მხარს.

თითქმის 72% მომხრე იყო იმ ვარიანტისა, რომელშიც სახელმწიფო აფინანსებს სწავლის ხარჯებს (ინსტრუქტორების ხელფასსა და სხვა ხარჯებს) როგორც საწარმოში, ასევე კოლეჯში.

მეორე ალტერნატივა კი, რომელშიც „დამსაქმებელი აფინანსებს ნაწილს პროფესიული განათლებისას, რომელიც ხორციელდება კომპანიაში, ხოლო სახელმწიფო აფინანსებს პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც სრულდება კოლეჯში“, ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა რესპონდენტების ნაწილისთვის – მხოლოდ 17%-ს მოეწონა ეს ვარიანტი. სხვა რესპონდენტებს არ ჰქონდათ მკაფიო პასუხი.

იმავე კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ დამსაქმებელთა 56%-ს სურს ჩართული იყოს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში, 29% უარს ამბობს ჩაერთოს სწავლების ასეთ ფორმაში, ხოლო 15%-ს არ აქვს კონკრეტული პასუხი. მიზეზები, რომელთა გამოც კომპანიებს არ სურთ მონაწილეობის მიღება, მოყვანილია ქვემოთ:


**დიაგრამა 1.** რატომ არ სურთ კომპანიებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება?



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

რაც შეეხება სამუშაოზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამებიდან მიღებულ სარგებელს, კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიების ძირითად მოტივაციას წარმოადგენს თავისი რესურსებით მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება (46%). 1/3 ვარუდობს, რომ თვითონ მოამზადებენ საკუთარ თანამშრომლებს მომავალში (32%). ფაქტი, რომ ისინი თავის წვლილს შეიტანენ პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, საკმაოდ მნიშვნელოვანია რესპონდენტებისათვის (28%).


**დიაგრამა 2. სარგებლები, რომლებსაც კომპანიები მიიღებენ სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობიდან**



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა ახლობელთა წრე და პირადი კონტაქტებია, რომელსაც მიმართავს გამოკითხულების 60%-ზე მეტი. ასევე გამოკითხულების 44% შესაბამისი კადრის მოსაძიებლად ინტერნეტ გვერდზე განათავსებს განცხადებას. პროფესიულ სასწავლებლებთან პირდაპირი ურთიერთობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პრაქტიკულად, არ განიხილება, როგორც საშუალება პროფესიული განათლების მქონე კადრის დასაქმებლად.


**დიაგრამა 3 . პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შერჩევის მიზნით ინფორმაციის გავრცელება**



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

საგულისხმოა, რომ რესპონდენტების ზუსტად ნახევარს არ აქვს არანაირი გეგმები პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან მიმართებაში. არ აპირებს მათ არც დასაქმებას და არც სტაჟირებაზე აყვანას. გამოკითხულთა მეორე ნახევრის მოსაზრებები კი იყოფა მათი დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით - გამოკითხულთაგან ყოველი მეოთხე გეგმავს, რომ არა მხოლოდ პრაქტიკაზე აიყვანოს, არამედ თანამშრომლადაც დაიტოვოს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები, 21% კი თანახმაა მათ პრაქტიკაზე, მაგრამ არ არის ჩამოყალიბებული, დაასაქმებს მათ თუ არა.

**დიაგრამა 4.** სამომავლო განზრახვები პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების მიმართ




წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

კვლევამ ცხადყო, რომ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია. რესპონდენტების ზუსტად ნახევარმა საერთოდ არაფერი იცის აღნიშნული რეფორმის შესახებ, 41%-ს კი მხოლოდ გაუგია ამ რეფორმაზე, მაგრამ ვერ იხსენებს მის დეტალებს. გამოკითხულთაგან მხოლოდ 1 % აღმოჩნდა პროფესიული სასწავლებლების პროფესიული სტანდარტების და მოდულების შემუშავების პროცესში ჩართული.

**დიაგრამა 5.** ინფორმირებულობა პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე მიმდინარე რეფორმის შესახებ






წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

რესპონდენტების 72% ფიქრობს, რომ ინფორმაცია პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ არასაკმარისია. ინფორმაცია მეტ-ნაკლებად აქვს გამოკითხულთა 23%-ს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მეოთხე გამოკითხულმა იცის საინფორმაციო ცენტრის/ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის პროფორიენტაციის სამსახურის შესახებ, რომელიც პროფესიული განათლების კუთხით უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას.

**დიაგრამა 6.** ინფორმაციის საკმარისობა პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის შესახებ




წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

კვლევის ფარგლებში შეფასდა გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების დამოკიდებულებები ზოგადად პროფესიული განათლების სისტემის მიმართ. ორგანიზაციებმა შეაფასეს პროფესიული განათლების მქონე პირების კომპეტენციები და კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე და გამოთქვეს მოსაზრებები პროფესიული განათლების სისტემის პრესტიჟულობასთან დაკავშირებით.

როგორც კვლევამ აჩვენა, რესპოდენტების ნახევარზე მეტისთვის (53%) პროფესიული დიპლომის ფლობა ჯერ კიდევ არ არის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დამადასტურებელი. საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოკითხულების 1/4-ს. ისინი ფიქრობენ, რომ პროფესიული დიპლომის ფლობა ავტომატურად ნიშნავს კურსდამთავრებულის მაღალ კვალიფიკაციას, იმის მიუხედავად, დიპლომი სახელმწიფო, თუ კერძო სასწავლებლის მიერ არის გაცემული. რესპოდენტების რიცხვი, რომლებიც ცალსახად საჯარო ან ცალსახად კერძო დიპლომს უკავშირებენ კურსდამთავრებულის მაღალ კვალიფიკაციას, უმნიშვნელოა და არ აღემატება 13%-ს.

**დიაგრამა 7.** დამსაქმებელთა დამოკიდებულება პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის მიმართ




წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

გაეროს განვითარების ფონდი, 2015

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების პროფესიონალიზმთან დაკავშირებით გამოკითხულთა მოსაზრებები არცთუ სახარბიელოა. დამსაქმებლების 43% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები ცუდად ფლობენ პროფესიას და სჭირდებათ ტრენინგი დიდი დოზით. კურსდამთავრებულებს, რომელთაც დამატებით ტრენინგი არ სჭირდებათ, გამოკითხულთა მხოლოდ 43%-ია დარწმუნებული.


**დიაგრამა 8. პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულის პროფესიის ფლობასთან დაკავშირებული მოსაზრებები**



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, გაეროს განვითარების ფონდი, 2015

რესპონდენტები საუბრობენ იმ მიზეზებზე, რომლებიც მათი აზრით, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. პირველ რიგში, სამუშაო ადგილების სიმცირე (59%), თუმცა, გამოკითხულთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი – 41% დასაქმების დაბალ მაჩვენებელს შრომის ბაზართან სასწავლებლების ნაკლებ კავშირსაც მიაწერს (41%). ყოველი მეოთხე რესპონდენტი ასევე საუბრობს პროფესიული სასწავლებლების პროგრამების დაბალ ხარისხზე.

**დიაგრამა 9. პროფესიული სასწავლებლის კუსრდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლის მიზეზი**




წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

გაეროს განვითარების ფონდი, 2015

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული სასწავლებლების სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ფორმებისადმი რესპოდენტთა დამოკიდებულების განსაზღვრა. გამოკითხულთა 50%-სთვის ყველაზე მისაღებია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კოლეჯთან ერთად. 42%-თვის, სკოლის მოსწავლეებისთვის საწარმოში მცირე, გაცნობითი პრაქტიკის ორგანიზება. სოციალურად დაუცველთა სწავლების ხელშეწყობა და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში მონაწილეობა მისაღებია გამოკითხულთა თითქმის 40%-სთვის. ყველაზე ნაკლებად მიმზიდველია გამოკითხულებისთვის პროფესიული სასწავლებლის მართვის ფუნქციით კერძო კომპანიაზე გადაბარება (18%).

**დიაგრამა 10. სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სასურველი ფორმები**




წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

გაეროს განვითარების ფონდი, 2015

გამოკითხულების მოსაზრებები, დაახლოებით, თანაბრად იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება. ამავდროულად, რესპონდენტების 2/3 დარწმუნებულია, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ დადებითად იცვლება, თუმცა ნელი ტემპით (60%).


**დიაგრამა 11. პროფესიული განათლების პრესტიჟულობა**



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

გაეროს განვითარების ფონდი, 2015

**დიაგრამა 12. საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება პროფესიული განათლების მიმართ**



წყარო: დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ,

გაეროს განვითარების ფონდი, 2015

ზემო აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების პოტენციურმა დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საერთოდ პროფესიული განათლების მიმართ.

ამ მიმართულებით, რესპოდენტთა და ასევე, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები და ეფექტიანია დუალური განათლების მოდელის დანერგვა.

განათლების დუალური მოდელი გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების პროცესში; პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს მიიღოს სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაცია; ეხმარება და ზრდის სერვისის მიწოდების ეფექტიანობას, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობას. შედეგად ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე მცირდება, რაც თავის მხრივ ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. დამაიმედებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც თავის დროზე განათლების ეს მოდელი გერმანიისგან გადაიღეს და დანერგეს, უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი.

### **3.3. საკანონმდებლო დონეზე, სამეწარმეო საქმიანობის მიმართ პროფესიული სასწავლებლების დამოკიდებულება**

ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის სტაბილურობის ხელშეწყობისათვის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროები. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტში – „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020“ – გამოყოფილია განათლების სფეროს კონკრეტული პრიორიტეტები. დოკუმენტი სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში. იგი ასევე შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და



ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიმართულებით, მსოფლიო დეკლარაციის – „განათლება ყველასათვის“ – ფარგლებში შეთანხმებულ მიზნებს, რომელთა შესრულების ვალდებულება საქართველომ მიიღო .

დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა სისტემის განვითარების სტრატეგია „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.)“. სტრატეგიის პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებისადმი. სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას. იგი უკვე მიიჩნევა, როგორც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა (დანართი №3). აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებისთვის და პროვაიდერებისთვის პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობის გამო უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა (ე.წ. Tracer Study), რომელიც წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ რეტროსპექტიული ხედვას, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტს და რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმების მდგომარეობას. კვლევა იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2016 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის საველე სამუშაოები, რომელიც განხორციელდა 2017 წლის ოქტომბერში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 3144 კურს-

დამთავრებული, რაც აღნიშნული წლის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 46%-ს შეადგენს.


**დიაგრამა 13:** გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ნიშნით



წყარო: 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, თბილისი, 2017

კურსდამთავრებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილების შედეგად, ნათლად ჩანს, რომ პროფესიული განათლების მიღებით ყველაზე მეტად 20-24 და 25-29 წლის ახალგაზრდები არიან დაინტერესებულები.


**დიაგრამა 14:** გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, თბილისი, 2017

კურსდამთავრებულების უმრავლესობა (54%) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის პირდაპირ დაკავშირებული იმ სამუშაოსთან, რომელსაც ასრულებს, ხოლო 30% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სამუშაოს მოთხოვნებთან, 2%-ი თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ხოლო 14% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვს.

**დიაგრამა 15:** დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით



წყარო: 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, თბილისი, 2017

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“, "მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის" ქვეპროგრამა, რომლის მიზანია მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესების ხელშეწყობა, მათ შორის დუალური სწავლების პრინციპით, სწავლების მიდგომის დანერგვა საჯარო – კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით,


დამსაქმებლები სრულფასოვნად ჩაერთვებიან პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში. ამავდროულად გრძელდება მოქნილი, მოდულური სწავლების მიდგომის დანერგვა, რაც მსურველებს, საჭიროების შესაბამისად, სრული მოდულური პროგრამის ან ცალკეული მოდულების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდასრული მოქალაქეებისათვის.

2015 წლის მონაცემებით, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ავტორიზაციის გზით მოიპოვა ოცდაექვსმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. 54 დამტკიცებული პროგრამიდან ამოქმედდა 45 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა.

2016 წელს მათ რიცხვს დაემატა 17 საგანმანათლებლო დაწესებულება და 14 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 3 დუალური.

2017 წელს დაემატა 18 საგანმანათლებლო დაწესებულება, ფუნქციონირება დაიწყო 14 მოდულურმა საგანმანათლებლო პროგრამამ, მათ შორის 4 დუალურმა პროგრამამ.

**დიაგრამა 16 . მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები**



წყარო: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

დღეისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 105 დაწესებულებაა, რომელთაგან 61-ს აქვს ავტორიზებული მოდულური/დუალური პროფესიული პროგრამები.

ამ მიდგომით კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი გაინაწილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, სტუდენტი თეორიულ ცოდნას სასწავლებელში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კი პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში მიიღებს დამსაქმებლისგან.

დუალური პროგრამების მხარდაჭერის მიზნით – 2016 წელს სწავლებაში ამოქმედდა 3 დუალური პროგრამა:

- ✓ მევენახეობა-მელვინეობა;
- ✓ მეცხოველეობა (მესაქონლეობა);
- ✓ მეხილეობა (კურკოვანი კულტურები / თესლოვანი კულტურები / კაკლოვანი კულტურები).

აღნიშნული პროგრამების განხორციელება დაიწყო შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- ✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“;
- ✓ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“;
- ✓ სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

2017 წლის შემოდგომისათვის დუალურ პროგრამებს დაემატა კიდევ 4 პროგრამა:

- ✓ სასტუმრო მომსახურება;
- ✓ სარესტორნო მომსახურება;
- ✓ კულინარიის ხელოვნება;
- ✓ მეფუტკრეობა.

აღნიშნული პროგრამების განხორციელება დაიწყო შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- ✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“;
- ✓ სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“;
- ✓ სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“;
- ✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“.

მთლიანად 2017 წლისათვის პროფესიული განათლების სივრცეში საქართველოს მასშტაბით 8 საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს 7 დასახელების 14 დუალურ პროგრამას.

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროექტის „რეფორმეტრის“ ფარგლებში შეფასდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები და მიღებული შედეგები. პროექტ „რეფორმეტრის“ განხილვის საგანი პროფესიული განათლების რეფორმა წარმოადგენდა, ვინაიდან ამ რეფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში. პროექტის ფარგლებში თითოეული რეფორმა ექვს თვეში ერთხელ ფასდება. პირველ რიგში, ტარდება სამთავრობო გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა დგინდება. შემდეგ ეტაპზე კი აღნიშნული კვლევის შედეგები ობიექტურ ინდიკატორებთან ერთად წარედგინება თხუთმეტკაციან შემფასებელთა ჯგუფს, რომელიც იკრიბება და აფასებს რეფორმის დადებით მხარეებს. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომლებზეც რეფორმა პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას და რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული რეფორმის განხორციელებაში.

პროფესიული განათლების რეფორმა პირველად 2017 წლის ოქტომბერში შეფასდა. სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად მივიღეთ, რომ 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმის 80%-ია შესრულებული, რაც სრული - 2020 წლამდე გაწერილი სტრატეგიით დადგენილი გეგმის - 50%-ს შეადგენს.

რაც შეეხება შემფასებელთა ჯგუფის წევრების მიერ რეფორმის შეფასებას, მათ მაქსიმალური 10 ქულიდან რეფორმა 5.76 ქულით შეაფასეს. შეფასებას წინ უძღოდა დისკუსია, რომლის დროსაც გარკვეული პრობლემატური საკითხები განიხილეს.

რეფორმის გამოწვევებიდან უმთავრესად რჩება კერძო სექტორის დაბალი ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში. კერძო სექტორი ხშირად თვლის, რომ განათლების სისტემაზე ზრუნვა, მათ შორის პროფესიულ განათლებაზე, უმთავრესად სახელმწიფოს ვალდებულებაა და ისინი ერთვებიან მხოლოდ თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ბიზნესმა დაინახოს, რომ მათ მიერ პროფესიულ განათლებაზე დახარჯული თანხა რეალურად ინვესტიციაა, თუმცა გარკვეული დრო არის საჭირო ამ ინვესტიციიდან

ამონაგების მისაღებად. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ბიზნესექტორის წარმომადგენლებმა იგრძნონ საკუთარი მნიშვნელობა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა, მათი ფუნქციები და როლი პროფესიული განათლების სისტემაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.

მეორე ძირითადი საკითხი, რომელიც დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, იყო პროფესიული განათლების მიმწოდებლების დაფინანსების მექანიზმი. დღევანდელი მდგომარეობით მოქმედებს ვაუჩერული დაფინანსების მოდელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფინანსება დაკავშირებულია სტუდენტთან და, შესაბამისად, რომელ კოლეჯშიც უფრო მეტი სტუდენტია, ის კოლეჯი სახელმწიფოსგან მეტ თანხას იღებს (კერძო კოლეჯებზე ვაუჩერული დაფინანსება არ ვრცელდება). ერთი შეხედვით, ამგვარი დაფინანსების მოდელი ხელს უნდა უწყობდეს კოლეჯებს შორის კონკურენციას და სურვილს, გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი და ამ გზით უფრო მეტი სტუდენტი მიიზიდონ. თუმცა ხშირ შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობა უფრო მეტად გეოგრაფიულ ლოკაციასა ან შეთავაზებულ პროფესიებზეა დამოკიდებული, ვიდრე სწავლების ხარისხზე. ამის გამო ვაუჩერულ სისტემას თავისი დანიშნულება ეკარგება, უფრო მეტიც, ის არათანაბარ პირობებში აყენებს კოლეჯებს. განათლების სამინისტროს პოზიციიდან გამომდინარე, ამ პრობლემის გადასაჭრელად იგეგმება შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის შემოღება. აღნიშნული მოდელი შემდგომ კერძო კოლეჯებზეც გავრცელდება, თუმცა ჯერჯერობით არ არის გარკვეული, რა კრიტერიუმებით შეფასდება კოლეჯები.

ფაქტია, რომ პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი არის, კვლავ რჩება რიგი გამოწვევები.

2018 წლის 25 აპრილს, პროექტ „რეფორმეტრის“ მეორე ფაზა პროფესიული განათლების რეფორმის შესრულების შეფასებით გაგრძელდა. 2018 წლის აპრილის მონაცემებით, სამთავრობო გამოკითხვის შედეგად, რეფორმის 2013-20 წლების გეგმის 52,1%-ია შესრულებული. დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებმა რეფორმას მაქსიმალური 10 ქულიდან 7,37 ქულა მიანიჭეს და რეფორმამ შეფასება „ძლიერი“ დაიმსახურა. პირველ და მეორე ფაზაში ქულების მიხედვით ირკვევა, რომ დაინტერესებულ ჯგუფებს რეფორმის მიმართ მაღალი მოლოდინები აქვთ.



შეხვედრაზე მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- ბევრ პროფესიულ კოლეჯში ინფრასტრუქტურული ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა აუცილებელია, პროფესიული სასწავლებლები მოერგონ რეალობას და გააუმჯობესონ სწავლების მეთოდები, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. სამუშაო სწავლების მოდელზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, როგორ გაიზარდოს მასშტაბები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროფესიულ განათლებაში სახელმწიფომ სულ უფრო მეტი და მსხვილი კომპანია მოიზიდოს;
- წინა პლანზე დგას სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული სწავლების მდგრადობის საკითხი. დონორთა მონაწილეობის დასრულების შემდეგ სახელმწიფოს მოუწევს ფინანსური ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება;
- იმისათვის, რომ ამაღლდეს პროფესიულ კოლეჯებში სწავლების ხარისხი, აუცილებელია გაღრმავდეს პროფესიული კოლეჯებისა და კერძო კომპანიების თანამშრომლობა. ამისთვის საჭიროა პროფესიული კოლეჯების პედაგოგების წახალისება. მაგალითად, კოლეჯის პედაგოგების ანაზღაურების დაანგარიშებისას ის დროც უნდა გაითვალისწინონ, რომელსაც ისინი კომპანიებთან კომუნიკაციაში ხარჯავენ;
- მნიშვნელოვანია დუალური პროფესიული განათლების პროგრამების არა მხოლოდ მასშტაბების ზრდა, არამედ მისი სისტემატიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია. ასევე, საჭიროა არსებობდეს პროცესის მაკოორდინებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუცია;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო. ის არ უნდა ასოცირდებოდეს ცოდნისა და პროფესიონალიზმის დაბალ დონესთან. ამისთვის საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებმა უფრო აქტიურად დაასაქმონ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები;
- კერძო სექტორის საქმიანობიდან ჩანს, რომ ხარისხი კვლავ პრობლემაა. კოლეჯების კურსდამთავრებულებს ხშირად გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ კვალიფიკაციაზე და ითხოვენ მაღალ შრომის ანაზღაურებას.

კერძო სექტორს ხშირად არ უღირს მსგავსი ხელფასის გადახდა, რადგან მათი გადაჭარბება დამატებით რესურსებს მოითხოვს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამეწარმეო საქმიანობის მიმართ სასწავლებლების დამოკიდებულების შესწავლა. კვლევა ჩატარდა 2017 წლის ზაფხულში. გამოიყენეს თვისებრივი კვლევის მეთოდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლის/ების აზრისა და შეხედულებების სიღრმისეული შესწავლა (დანართი № 4).

ობიექტების შერჩევა მოხდა იმ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, რომელთაც ჰყავს სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობა და ქმნის საბაზრო მოხმარების სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფის საქონელს.

კვლევაში მონაწილეობდა სამი სამიზნე ჯგუფი:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ქ. თბილისი);
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი (გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთი);
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი “მერმისის” ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ქ. თბილისი).

ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარით. ამასთან, ჩაღრმავებული ინტერვიუ არის ნახევრად სტრუქტურირებული. იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის პასუხი ბუნდოვანი ან ზედაპირულია და ვერ ხერხდება საყურადღებო ინფორმაციის მიღება, შესაძლებელია რესპონდენტისათვის ჩაღრმავებული კითხვების დასმა.

საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც ახორციელებს სამივე სასწავლო დაწესებულება, ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“ სწავლება ხორციელდება 7 ძირითად პროგრამაზე, ესენია: კულინარიული ხელოვნება, სარესტორნო საქმე/კვება და სასმელების სერვისი, სასტუმრო საქმის პროგრამები, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე. სპეციალობებია: მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი,

ბართენდერი (ბარმენი), სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მიმღებ-რეცეფციონისტი, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე, კონსულტანტ-გამყიდველი.

კოლეჯში ყოველწლიურად იზრდება აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა. მისაღები გამოცდების პერიოდში რეგისტრანტთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება კოლეჯის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობას. პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. პიროვნება, რომელიც წარმატებით გაივლის ზემოთაღნიშნულ ტესტირებას და მოხვდება რანჟირების სიაში, კოლეჯში უნდა წარმოადგინოს 9 კლასის დამთავრების დამადასტურებელი, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და სხვა დამატებითი დოკუმენტები, რის შემდეგაც ის ჩარიცხება პროფესიულ სასწავლებელში, შეიყვანენ სტუდენტების მონაცემთა ბაზაში და მასთან გაფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება.

კოლეჯის პედაგოგები არიან თბილისში არსებული სასტუმრო-რესტორნების, ტურსააგენტოებისა და კაფე-ბარების წამყვანი შეფშარეულები, შეფკონდიტრები, გიდები, მენეჯერები. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი არის 85%. პროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფო იხდის ყველა ხარჯს, მაგალითად: მასალა, ნედლეული, აღჭურვილობა, ინვენტარი, კომუნალური და ადმინისტრირების ხარჯი.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა ერთ-ერთ პროგრამაზე - კონდიტერი. ამ პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გადანაწილება არის 40%-60%. თეორიული და პრაქტიკული საგნები ისწავლება პარალელურ რეჟიმში. პრაქტიკული კომპონენტი იყოფა ორ ნაწილად: სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა.

კონდიტერის პროგრამის ფარგლებში სასწავლო საწარმოში სტუდენტებს შეუძლიათ შემდეგი სახის ასორტიმენტის მომზადება: ნამცხვარი, ტორტი, შაქრის ყვავილი, შოკოლადის ნაწარმი, კარამელი. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, შესაბამისად, სტუდენტი გამოიმუშავებს საწარმოში მუშაობის ყველა უნარ-ჩვევას და ასევე მიიღებს შესრულებული სამუშაოს შესაბამის შრომის ანაზღაურებას. კოლეჯი გაიანგარიშებს

სხვადასხვა სახის პროდუქტზე ფასს ყველა სახის დანახარჯების გათვალისწინებით და ბაზარზე გაყიდვის შემთხვევაში განსაზღვრავს გასაყიდ ფასს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო საწარმოს, რომელიც ორიენტირებული იქნება ხარისხზე, შეუძლია რეალური საწარმოს კონკურენტი გახდეს. კოლეჯს შესაძლებლობა ექნება შემოსული თანხებით გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და გარკვეულწილად შეამციროს სახელმწიფოს მიერ პროგრამული დაფინანსების მოთხოვნა. კოლეჯი ასევე შეძლებს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გადაიხადოს არსებული კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ დამსაქმებელს საშუალება ექნება წარმოებაში თვალყური ადევნოს მომუშავე სტუდენტის საქმიანობას, მის შრომისადმი დამოკიდებულებას, მის მიერ შექმნილ პროდუქტს და ადგილზევე შეარჩიოს მისთვის სასურველი კადრი.

საზოგადოებრივი კოლეჯი „კაჭრეთი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირია. კოლეჯში ფუნქციონირებს 37 პროგრამა. კერძოდ, შემდეგი სპეციალობები: მევენახე-მეღვინე, მზარეული, მეფუტკრე, ფერმერი, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი. ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოიკვეთა უფრო მეტი დაინტერესება აღნიშნული პროფესიების მიმართ, ამადლდა მოტივაციაც. გაჩნდა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. აღნიშნულ კოლეჯში აპლიკანტი რეგისტრირდება, აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას. პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. რანჟირების დოკუმენტის გამოცემის შემდგომ ხდება ჩასარიცხი აპლიკანტებისათვის ხემკრულებების, ბრძანებების გამოცემა და ბაზაში ასახვა.

კოლეჯს ყველა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელსაც ის ახორციელებს, აქვს პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სასწავლებელს აქვს ორი ტიპის დაფინანსება: სუბსიდია და ვაუჩერული. სუბსიდიით ხდება ადმინისტრაციული და სამეურნეო ხარჯების დაფარვა, ხოლო ვაუჩერით – სასწავლო მასალების შეძენა და მასწავლებელთა ხელფასების გაცემა.

დაწესებულებას აქვს სასწავლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო საწარმო, მაგ.: მეცხოველეობის ფერმა, ვენახი, ბაღი, საფუტკრე მეურნეობა, სკები, ხილისა და

ბოსტნეულის გადასამუშავებელი მინისაკონსერვო ქარხანა, თანამედროვე და ტრადიციული ღვინის მარნები; ეს საწარმოები ინტენსიურად გამოიყენება პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში. რაც შეეხება ასორტიმენტს, შემდეგია: მწვანე და წითელი ტყემალი, წვენი – უეკლო მაცვლის, ალუბლის, ატმის, ტყემლის, ყურძნის, ღვინო, არაყი, კიტრის მწნილი, მურაბა, თაფლი. ყურადღება გამახვილდა ერთ–ერთ პროგრამაზე – ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება. ამ პროგრამის სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ სწავლების თეორიულ ნაწილს (დაახლოებით, 40%) სტუდენტი ეუფლება სასწავლებელში, ხოლო პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც სასწავლო პროგრამის 60%-ია, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელ კოლეჯის სასწავლო საწარმოში.

კოლეჯს საკუთარი სახსრებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება აქვს, ხოლო სასწავლო პროცესის შედეგად შექმნილი პროდუქციისა – არა. მოსამზადებლად საჭირო პროდუქტი მოჰყავთ თავიანთ ბაღში. მოქმედებენ პრინციპით „ბოსტნიდან სუფრამდე“. კოლეჯს აქვს ხეხილის ბაღები, უეკლო მაცვალი, ვენახი, ბოსტანი და საფუტკრე მეურნეობა. შესაბამისი პროფესიის სტუდენტებს მოჰყავთ პროდუქცია, შემდეგ ხდება მისი გადამამუშავება. სწავლების პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება შედარებით დაბალია და, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება აისახება საბოლოო ფასზე.

იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად გაიზრდება კოლეჯის შემოსავლები, რაც მოხმარდება ისევ კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში. აღნიშნული შემოსავლებიდან კოლეჯს მიეცემა საშუალება, გაზარდოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ უფრო მაღალი პროფესიული კომპეტენციები, მიეცემათ დამატებითი ანაზღაურება და წარმატებული სტუდენტები დასაქმდებიან.

საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისიცი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირია. კოლეჯში ხორციელდება 34 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური).

მათ შორის შემდეგი სპეციალობები: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, თექის ოსტატი, მემინანქრე. აღნიშნული სპეციალობებისადმი დაინტერესება დიდია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. პირი, რომელმაც წარმატებით გაიარა ზემოთაღნიშნული ტესტირება და მოხვდა რანჟირების სიაში, პირადი განცხადებისა და კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ირიცხება კოლეჯში პროფესიულ სტუდენტად და, შესაბამისად, შეიყვანება სტუდენტების მონაცემთა ბაზაში.

ერთ-ერთი შერჩეულ პროგრამაში – „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელსაც ადგენს დაწესებულება პროგრამის შემუშავებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ პრაქტიკული ნაწილი შეადგენს პროგრამის მოცულობის 60%-ს, ხოლო თეორიული ნაწილი – პროგრამის მოცულობის 40%-ს. რაც შეეხება დაფინანსებას, ვაუჩერული დაფინანსებიდან გადაიხდება პედაგოგთა ხელფასები და მასალის დანახარჯი, ხოლო პროგრამული დაფინანსებით იფარება კოლეჯის სხვა დანარჩენი ხარჯი.

კოლეჯში იკვრება ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმელი. ფასის გაანგარიშება ხდება შექმნილი პროდუქციის მასალის ღირებულების, გაწეული კომუნალური ხარჯის, ადმინისტრირების ხარჯისა და კანონით გათვალისწინებული გადასახადის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის საბაზრო ფასად, რეალიზების შედეგად კოლეჯს შესაძლებელია ჰქონდეს სარგებელი (შემოსავალი).

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხა მოხმარდება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, თანამშრომელთა და სტუდენტთა წახალისებას.

მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება ხდება კანონმდებლობით. ამასთანავე, კანონით ან ნორმატიული აქტით მკაცრად უნდა განისაზღვროს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების წესი და რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის განაწილებისა და განკარგვის წესი.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის შედეგად გაკეთებულია სათანადო დასკვნები, კერძოდ:

1. საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფის, მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდის თვალსაზრისით საჭიროა პროფესიული განათლება განიხილებოდეს როგორც განათლების ერთიანია სისტემის ნაწილი და არა როგორც განათლების სისტემიდან მოწყვეტილი, განცალკევებული სფერო.

2. რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიული განათლება გახდეს პიროვნების კარიერული განვითარების რეალური და ფასეული გზა.

3. რეფორმის წარმატებულად განხორციელებისათვის საჭიროა სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების, პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობების მეტი მხარდაჭერა.

4. აუცილებელი და საჭიროა ბიზნეს კომპანიების ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში და მათი დაინტერესების ხელშეწყობა კადრების მომზადების საქმისადმი.

5. კერძო კომპანიების ჩართულობა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სისტემის მიმზიდველობის ზრდის პროცესში.

6. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და სტიმულირება პოპულარულს გახდის პროფესიულ განათლებას.

7. დამსაქმებელს საშუალება უნდა მიეცეს, პროფესიული განათლების ციკლის ყველა ეტაპზე – კვალიფიკაციის ფორმირებიდან კვალიფიკაციის მინიჭების ჩათვლით, სწავლების პროცესში მონაწილეობა მიიღოს.

8. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის, იმიტირებულ გარემო/სასწავლო საწარმო, ამოქმედების შედეგად დამსაქმებელს გაუჩნდება სასწავლო პროცესში ჩართვის სტიმული.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ამსახველი მონაცემების განზოგადების შედეგად შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:



1. საჭირო და აუცილებელია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ქვეყანაში, რომ ის კარიერული განვითარების რეალურ შესაძლებლობად იქცეს.
2. პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირების მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს სწავლების ხარისხის ამაღლება.
3. ევროპული სტანდარტების დანერგვას პროფესიულ სასწავლებლებში თან უნდა ახლდეს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება.
4. სრულყოფას საჭიროებს პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურა, რათა პროფესიულმა კადრებმა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ.
5. სრულყოფას საჭიროებს პროფესიული განათლების მიმწოდებლების დაფინანსების მექანიზმები და სისტემა.
6. მნიშვნელოვანია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის შესახებ საზოგადოების სწორად ინფორმირება.
7. ბიზნეს კომპანიების აქტიური ჩართულობის მიმართულებით საჭიროა მექანიზმების შემუშავება. მათი დაინტერესება როგორც, სასწავლო პროგრამების მომზადების პროცესში მონაწილეობით ასევე, განხორციელებით.
8. დამსაქმებელს საშუალება უნდა ექონდეს წარმოების პროცესში თვალყური ადევნოს მომუშავე სტუდენტის საქმიანობას, მისი შრომისადმი დამოკიდებულებას, მის მიერ შექმნილ პროდუქციას და ადგილზევე შეარჩიოს სასურველი კადრი.
9. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რა თავისსავე სასწავლო დაწესებულების სასწავლო საწარმოში პრაქტიკულ კომპონენტს, სასწავლო პრაქტიკის პერიოდში ქმნის რეალურ საქონელს ან ეწევა სათანადო მომსახურებას. სასწავლებლებს უნდა მიეცეს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. ამით შეძლებს შემოსული თანხებით გაიუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და, გარკვეულწილად, შეამციროს სახელმწიფოს მიერ პროგრამული დაფინანსებაზე მოთხოვნა.
10. მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული, რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. ახალი კანონპროექტით მათ შეეძლებათ სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება, მაგრამ საჭიროა საკანონმდებლო რეგულაცია თუ რას მოხმარდება მიღებული შემოსავალი.

11. პროფესიული კოლეჯის სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში სასწავლო საწარმოს შეუძლია ხარისხზე ორიენტირებული რეალური საწარმოს კონკურენტი გახდეს. ეს კი დააზიანებს სასწავლო პროცესს. ამიტომ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებით.

12. საჭიროა სახელმწიფოს მიერ განისაზღვროს, თუ რა მასშტაბით შეიძლება გაიზარდოს წარმოების პროცესი. რადგან პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები შესაძლოა სასწავლებლისთვის მომხიბვლელი აღმოჩნდეს და სწავლას ნაკლები ყურადღება დაუთმოს.

13. საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების სქემა. ვინაიდან სასწავლო დაწესებულების მიერ შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება ბევრად დაბალია, ვიდრე იმ პროდუქციისა, რომელსაც ქმნის ჩვეულებრივი საწარმო (ნედლეული/დანადგრი/ხელსაწყო/ ხელფასი).

14. ვიდრე ქვეყანაში პროფესიული განათლების დუალური სწავლების ფორმა დაინერგება, შესაძლებელია მისი ალტერნატივის, კერძოდ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სხვა ფორმის შემოღება - სასწავლო საწარმოს მოდელის, ე.წ. დაწესებულების ბაზაზე სწავლება.

ქვეყანაში პროფესიული განათლების დუალური სწავლების ფორმის დანერგვამდე, ამ ეტაპზე სახელმწიფოსთვის უფრო მისაღებია ე.წ. სასწავლო საწარმოს მოდელი. ამ მოდელის დანერგვის ხელშეწყობა დააინტერესებს კერძო კომპანიებს და უზრუნველყოფს მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. თაბუკაშვილი, „ვაჭართა და ხელოსანთა მორალი XVIII- XIX საუკუნეების ტფილისში“, 2015წ.
2. სართანია ვ. განათლებისეკონომიკა (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). თბილისი, 2001
3. წოწკოლაური ფ. მცირე საწარმოთა მართვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N1, 2016
4. რუხაძე ნ. „ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი“ თბილისი 2016
5. ასათიანი ა. „პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში“ საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრი, თბილისი 1990
6. აბუაშვილი თ. „საქართველოს განათლების სისტემა და ევროკავშირის როლი“, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი თბილისი, 2014
7. კაკუტია თ: ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში, 2017
8. დამენია ნ. „სამეურნეო რისკი საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №15; თბილისი, 2006 წ
9. დამენია ნ. „სამეურნეო რისკი და მისი მართვა“ აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები №4; თბილისი, 2013 წ
10. ნარეშელაშვილი ე.: პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში, 2017.
11. მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ. & სურგულაძე ა. (1958). „თბილისის ისტორია“, თბილისი
12. მუსხელიშვილი მ. „განათლების რეფორმა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი, 2007
13. ნავდარაშვილი, დ. (1973). თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ტფილისი სტამბა ქალაქთა კავშირისა, პუშკინის ქუჩა, 3 – 1919

14. ჟღენტ, გ. (1959). კონსტანტინე მიხეილის-ძე ამირაჯიბი. თბილისი
15. Кириленко Ю. „Основные тренды развития системы профессионального образования германии“ Томск, 2012
16. Муратов В.С. Возможности дуальной системы образования при подготовке товароведов-экспертов / Успехи современного естествознания 2008, № 7
17. Челидзе, К. (1981). Очерк истории среднего специального образования в Грузии. თბილისი
18. Peter Damlund Koudahl “Vocational education and training: dual education and economic crises” Denmark, 2011.  
<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042810025267>
19. BiBB “Vocational education and training in European countries” Bonn, 2014.  
[https://www.bibb.de/dokumente/pdf/a1bud\\_auswahlbibliografie-vet-in-european-countries.pdf](https://www.bibb.de/dokumente/pdf/a1bud_auswahlbibliografie-vet-in-european-countries.pdf)
20. Michael Gressler, Susanne Peters “Implementation of Dual Training Programmes through the Development of Boundary Objects: A Case Study” university Bremen, 2017  
[https://ddd.uab.cat/pub/educar/educar\\_a2017v53n2/educar\\_a2017v53n2p309.pdf](https://ddd.uab.cat/pub/educar/educar_a2017v53n2/educar_a2017v53n2p309.pdf)
21. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ 2007, 28 მარტი  
ვებ-გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608>
22. საქართველოს მთავრობა, (2007), საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (რევიზია ჩატარებულია 2010 წელს)
23. საქართველოს მთავრობის N 90 დადგენილება (2005, 27 მაისი). პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ  
ვებ-გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1284065>
24. საქართველოს მთავრობის N 150 დადგენილება (2005, 31 აგვისტო)  
საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ  
ვებ-გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/10372>
25. საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2010), ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო  
ვებ-გვერდი: <https://eqe.ge/res/docs/matsne-1131547-43.pdf>
26. საქართველოს კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ, 2018

ვებ-გვერდი:

<http://mes.gov.ge/uploads/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdf>

27. საქართველოს მთავრობა, (2013), პრემიერ-მინისტრის ბრძანება # 300, 26 დეკემბერი, 2013 “პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის“ დამტკიცების შესახებ, 2013-2020”
28. საქართველოს მთავრობა, (2013), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, ნოემბერი, 2013
29. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N572, 1995
30. საქართველოს მთავრობა, (2007), საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (რევიზია ჩატარებულია 2010 წელს)
31. ანგარიში – საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წწ., 2015
32. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ  
ვებ-გვერდი: <https://emis.ge/acts/profesiuli%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>
33. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, 2013-2020 წწ  
ვებ-გვერდი: [http://gov.ge/files/273\\_39678\\_242377\\_300-1.pdf](http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf)
34. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წწ.) 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება(პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; თბილისი, 2015
35. სსიპ განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები  
ვებ-გვერდი: <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>

36. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი,  
„პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“  
ანგარიში, 2015  
ვებ-გვერდი: [https://eqe.ge/res/docs/AnnualReport\\_2015.pdf](https://eqe.ge/res/docs/AnnualReport_2015.pdf)
37. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.  
„პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“  
ანგარიში, 2017
38. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში – სამუშაოზე  
დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია (Work-Based Learning in  
agriculture, as a new concept in vocational education and training, was discussed at  
a conference in Tbilisi on 28 September 2016)  
ვებ-გვერდი: <http://www.undp.org.ge/>
39. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) პროექტის „საქართველოში  
პროფესიული განათლების სისტემის გაფართოება და მოდერნიზაცია  
სოფლის მეურნეობის სფეროში“
40. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)  
ვებ-გვერდი: <https://www.giz.de/de/html/index.html>
41. დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების  
მიმართ  
ვებ-გვერდი: <http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo>
42. დუალური პროფესიული განათლების პროგრამების სარგებელი და მასთან  
დაკავშირებული ხარჯები. თბილისი, 07.03.2017
43. ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო მთელი ცხოვრების განმავლობაში  
სწავლისათვის (ec.europa.eu.eqf)
44. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი  
ვებ-გვერდი: <https://eqe.ge/geo/static/125/education-system/national-qualifications-framework>
45. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა; სამთავრობო  
პროგრამა 2018-2020, ივნისი 2018.  
ვებ-გვერდი: [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/97052/mm\\_2018-2020\\_programa](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/97052/mm_2018-2020_programa)

46. ინკლუზიური პროფესიული განათლება  
ვებ-გვერდი: [www.inclusion.ge](http://www.inclusion.ge)
47. კოპენჰაგენის პროცესი  
ვებ-გვერდი: <https://eqe.ge/geo/static/81/copenhagen-process>
48. პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამა. მასწავლებელთა პროფესიული განათლების განვითარების ეროვნული ცენტრი  
ვებ-გვერდი: [http://tpdc.gov.ge/?action=page&p\\_id=880&lang=geo](http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=880&lang=geo)
49. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება კონცეფცია, თბილისი 2015
50. მოდულის შემუშავების წესი და მეთოდოლოგია  
ვებ-გვერდი: <https://eqe.ge/>
51. მეწარმეობის საგანმანათლებლო პროგრამა-მოდული: მეწარმეობა; მასწავლებლის გზამკვლევი  
ვებ-გვერდი: <http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/mascavleblis-gzamkvevi-mecarmeoba.pdf>
52. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY)  
ვებ-გვერდი: [http://mes.gov.ge/uploads/files/2016-\(Tracer%20Study\).pdf](http://mes.gov.ge/uploads/files/2016-(Tracer%20Study).pdf)
53. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)  
ვებ-გვერდი: [http://gov.ge/files/273\\_39678\\_242377\\_300-1.pdf](http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf)
54. „პროფესიული განათლების კონცეფცია“  
ვებ-გვერდი:  
[http://www.mes.gov.ge/upload/publication/geo/1192001910\\_Profesiuli\\_Gaertianebuli.pdf](http://www.mes.gov.ge/upload/publication/geo/1192001910_Profesiuli_Gaertianebuli.pdf)
55. პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის  
ვებ-გვერდი: [http://www.mes.gov.ge/uploads/16-12-2015\\_courseannouncement-sc.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/16-12-2015_courseannouncement-sc.pdf)

56. პროფესიული განათლების სტატისტიკური ბიულეტენი  
 ვებ-გვერდი: <http://mes.gov.ge/uploads/statistikuri%20biuleteni2013-2015.pdf>
57. პროფესიული განათლების შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნასთან  
 , GIZ (2010).
58. "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს N733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ  
 ვებ-გვერდი: <http://eqe.gov.ge/res/docs/1095.pdf>
59. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პორტალი  
 ვებ-გვერდი: <http://vet.ge/>
60. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება-გადამუშავების წესი და მეთოდოლოგია; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
 ვებ-გვერდი: <https://eqe.ge/>
61. „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (Millennium Challenge Corporation – MCC)  
 ვებ-გვერდი: <http://www.iswd.ge/>
62. საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა ევროპაში - სწავლის შედეგების ზეგავლენა, CEDEFOP 2012.
63. საერთაშორისო პროექტები  
 ვებ-გვერდი: [http://vet.ge/international\\_contacts/involved/](http://vet.ge/international_contacts/involved/)
64. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
 ვებ-გვერდი: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1|--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.26&d=HASH01c91774031dccff8d142338.2&gt=1>
65. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2015). შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა  
 ვებ-გვერდი: [http://www.moh.gov.ge/files/01\\_GEO/Shroma/kvleva/33.pdf](http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf)




66. სახელმძღვანელო ტრენერებისთვის: პროფესიული პედაგოგიკა;  
დასაქმებაზე ორიენტირებული კვალიფიკაცია საქართველოს ეკონომიკურ  
სექტორში
67. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“  
ვებ-გვერდი: <http://www.mermisicollege.edu.ge/>
68. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“  
ვებ-გვერდი: <http://www.collegeaisi.ge/>
69. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“  
ვებ-გვერდი: <http://www.icarus.ge/>
70. ა(ი)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი  
ვებ-გვერდი: <https://www.rtc.edu.ge/>
71. სტრატეგიის 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმა
72. ფონდ "INNOVE"-ს ესტონურ-ქართული პროექტის" მხარი დავეუჭიროთ  
პროფესიული განათლების განვითარებას საქართველოში“  
ვებ-გვერდი: <http://www.iberias.ge/index.php?day=12&month=10&year=2015>
73. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (Millennium Challenge Corporation –  
MCC) „პროექტი : „პროფესიული განათლება ეკონომიკის  
განვითარებისთვის“
74. „თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა“ სამთავრობო  
პროგრამა 2016-2020 თბილისი, 2016  
ვებ-გვერდი:  
[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/51008/mtavrobis\\_programa\\_2016-2020\\_rev\\_22.11.16](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/51008/mtavrobis_programa_2016-2020_rev_22.11.16)
75. „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეპცია“ UNDP -  
გაეროს განვითარების პროგრამა თბილისი, 2016
76. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროექტი „რეფორმეტრი“  
ვებ-გვერდი: <https://reformeter.iset-pi.ge/ka>
77. ტენდენციები, რომლებმაც დარგის განვითარება უნდა უზრუნველყონ  
ვებ-გვერდი: <https://eqe.ge//geo/news/show/25/825->

78. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, სსიპ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
ვებ-გვერდი: <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>
79. ევროპული განათლების ფონდი (European Training Foundation – ETF)
80. საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები (European Integration Perspectives of Georgia), თბილისი 18 ნოემბერი, 2016
81. სახელმწიფო საშუალო პროფესიული სასწავლებლები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა სწავლების სახეობის მიხედვით, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016  
ვებ-გვერდი: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=2101&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo)
82. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“ დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე; თბილისი, 1991 წ. 14 ივნისი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №120
83. პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა, 2005,2006
84. Безработица в рыночной экономике  
<http://works.doklad.ru/view/SIIpvNEPZ98/all.html>
85. ETF (European Training Foundation), Torino Process 2014: Georgia, ETF, Turin, 2014
86. Torino Process 2016. Georgia, 16 July, 2016
87. [http://www.minedu.fi/export/sites/default/OPM/Tapahtumakalenteri/2006/10/eu\\_16\\_1710/Quality-Background\\_document\\_en.pdf](http://www.minedu.fi/export/sites/default/OPM/Tapahtumakalenteri/2006/10/eu_16_1710/Quality-Background_document_en.pdf)
88. ETF and Business Consulting Group Research, (2013). Migration and skills in Georgia: Results of the 2011/12 migration survey on the relationship between skills, migration and development
89. MCA (Millennium Challenge Agency), “Studies of labor demand: Barriers to participation in STEM education programs and occupations in Georgia”, Tbilisi, 2014
90. MCA, Report on the Technical and Financial Feasibility of introducing External Quality Assurance of the Assessment for TVET Qualifications in Georgia, 2015

91. MCA, Situational Analysis and Report on the Quality Assurance Requirements of the Georgian TVET System, 2015.
92. ETF: Work-based learning, A Handbook for Policy and Social Partners in ETF Partner Countries, 2014
93. ETF: Work-Based Learning in Georgia: A Mapping Report (forthcoming)
94. Situational Analysis about the work-based learning in VET in Georgia, 2015.
95. CEDEFOP: VET in Europe – Country report: Estonia, 2014
96. Situational Analysis Report Work-Based Learning (WBL) in VET in Georgia, UNDP Georgia, December, 2015
97. Concept Paper of WBL model implementation in Georgia, UNDP Georgia
98. European Commission: Apprenticeship and Traineeship Schemes in EU27: Key Success Factors , A Guidebook for Policy Planners and Practitioners, 2013
99. European Lifelong Guidance Policy Network: Work-based Learning and Lifelong Guidance Policies, ELPGN Concept Note N 5

## დანართები



**საერთაშორისო გამოცდილება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების  
დანერგვის კონცეფცია**

საკითხები/ქვე ეყნები	გერმანია	შვეიცარია	სლოვაკეთის რესპუბლიკა	ალბანეთი
-------------------------	----------	-----------	--------------------------	----------

<p><b>საკანონმდებლო ბაზა</b></p>	<p>პროფესიული გადამზადების აქტი (BBiG) (1969), პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმის აქტი (2005), სახელობო პროფესიები (HwO), გერმანული სამოქალაქო კოდექსი (BGB), ახალგაზრდა მომუშავეთა დაცვის აქტი (JASchG), მომუშავე დედათა დაცვის აქტი (MSchG), რეგულაცია ტრენერის შესაძლებლობებზე (AEVO), სამუშაო ადგილის საბჭოს საკონსტიტუციო აქტი (BetrVG), შემდგომი გადამზადებისა და წინსვლის ხელშეწყობის აქტი (AFBG) და დისტანციური სასწავლო</p>	<p>ფედერალური პროფესიული განათლებისა და გადამზადების აქტი (2004)</p>	<p>ცვლილებები (2015) პროფესიულ აქტში</p>	<p>[დაგეგმილი] ცვლილებები შრომის კოდექსში, დასაქმების ხელშეწყობის კანონში, პროფესიული განათლებისა და გადამზადების კანონში და ალბანური კვალიფიკაციების ჩარჩო კანონი ხელობების კანონთან ერთად, რათა იმუშავოს შეგირდობის სქემებმა.</p>
----------------------------------	---	--	--	---

	კურსების აქტი (FernUSG)			
<b>სამუშაოზე დაფუძნებული მოდელები</b>	შეგირდობა/დუალური პროფესიული განათლება	შეგირდობა/უმადლესი დუალური პროფესიული და ტექნიკური განათლების პროგრამები (VPET)	1. საწარმოო პრაქტიკა (სკოლის სახელოსნოებში) 2. კომპანიაში სწავლება (დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე) 3. დუალური განათლება (დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე) (2015 წლიდან დაწყებული)	1. საწარმოო პრაქტიკა, სადაც სიმულაციური სამუშაო გარემოა (ლაბორატორიები, სახელოსნოები, ფერმები, ტრენინგ კომპანიები და ა.შ.) 2. კომპანიაში სწავლება (გადანაწილებული ან ერთ ბლოკში), რეალურ სამუშაო პირობებში და 3. შეგირდობა, როგორც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმალიზებული სახეობა.
<b>დუალური პროფესიული განათლების მართვა</b>	მართვა გადანაწილებულია განათლებისა და კვლევის ფედერალურ სამინისტროს, რომელიც უმეტესწილად პასუხისმგებელია	უმადლესი დუალური პროფესიული და ტექნიკური განათლების პროგრამების სისტემას კოლექტიურად მართავს	განათლების სამინისტრო და დამსაქმებელი/პროფესიონალი ორგანიზაციები (განსაზღვრული კანონით) პასუხისმგებელი არიან დუალური	დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები აღიარებს სოციალური პარტნიორების ფუნდამენტურ როლს, მთავრობას ანიჭებს

<p>ზოგად პოლიტიკასა და სტრატეგიის განვითარებაზე, და ინდუსტრიის თვითმმართველ ჯგუფებს (პალატებს), რომლებიც ზედამხედველობენ ტრენინგებს კომპანიაში სერტიფიცირებიდან დაწყებული კვალიფიკაციის მინიჭებით დამთავრებული და გერმანიის ფედერალურ მხარეებს შორის, რომლებიც ნახევარგანაკვეთზე მომუშავე სკოლებს ზედამხედველობენ.</p>	<p>კონფედერაცია (განათლების სახელმწიფო სეკრეტარიატი, კვლევა და ინოვაცია (SERI)), რომლებიც განსაზღვრავენ ამ სისტემის სტრატეგიას და ერთობლივად აფინანსებენ მას, ასევე ოლქები და პროფესიონალი ორგანიზაციები, სავაჭრო ასოციაციები/ინდუსტრიის ორგანიზაციები, რომლებიც ადგენენ ტრენინგის შინაარსსა და ეროვნული კვალიფიკაციები ს პროცედურებს, ორგანიზებას უკეთებენ პროფესიული და ტექნიკური განათლებისა და</p>	<p>პროფესიული განათლების მართვაზე. სამინისტრო, რეგიონულ მთავრობებთან და დამსაქმებელ/პროფესიონალ ორგანიზაციებთან კონსულტაციის საშუალებით, ავითარებს პროფესიული განათლების სისტემას, მისაღები ადგილების რაოდენობას, გადამზადების სფეროების სიას, კურიკულუმს და აკვირდება პროფესიული განათლების განხორციელებას. დამსაქმებელი/პროფესიონალი ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან დამსაქმებლის პროფესიულ განათლებაში მონაწილეობის შესაფერისობის</p>	<p>ფასილიტატორისა და მარეგულირებლის ფუნქციას, უზრუნველყოფს, რომ სოციალური პარტნიორების საქმიანობა იყოს საზოგადოების საერთო სარგებლისკენ მიმართული და შეგირდობას სთავაზობს ინსტიტუციურ მხარდაჭერას. პარტნიორები, რომლებიც ეროვნულ დონეზე ამ ღონისძიებებში ჩაერთვებიან შემდეგია: დასაქმებაზე, უნარების განვითარებაზე, სოციალურ პოლიტიკაზე, ბიზნესის განვითარებაზე, მეწარმეობაზე, განათლებასა და მეცნიერებაზე პასუხისმგებელი</p>
--	--	---	---



		გადამზადების კურსებს.	დადგენაზე, ფლობენ შემოწმების ექსპერტების რეესტრს, მართავენ ინფორმაციას (მათ შორის შესაბამის ვებსაიტს) სტუდენტების კომპანიაში სწავლების შესაძლებლობების შესახებ და მონაწილეობას იღებენ სტუდენტების შეფასებაში.	სამინისტროები და სექტორული ეკონომიკური პოლიტიკის წამმართველები; შრომის ეროვნული საბჭო, რომელიც არის ყველაზე წარმომადგენლობითი სოციალური პარტნიორი; ეროვნული დასაქმების სერვისი (NES); პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ეროვნული სააგენტო და პროფესიული განათლების მიმწოდებლები და დასაქმების სამსახურები.
<b>კომპანიების ჩართულობა</b>	გერმანიაში კომპანიების 21.3% მონაწილეობს დუალურ პროფესიულ განათლებაში. მათი უმრავლესობა მცირე და	კომპანიები ნებაყოფლობით უზრუნველყოფენ შეგირდობასა და კომპანიაში სწავლებას. საოლქო პროფესიული განათლების	პროფესიულ განათლებაში მონაწილეობის მისაღებად კომპანიებს არჩევენ წინასწარ გაწერილი პროცედურით, სადაც პროფესიონალი ან დამსაქმებელი	დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადებს პირობებს მიკრო და მცირე ზომის საწარმოების უკეთესი და უფრო ინსტიტუციონალიზ

	<p>საშუალო ზომის საწარმოებია (SME)</p>	<p>სამსახურები პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივ ბიზნესებთან კონტაქტების დამყარებასა და შენარჩუნებაზე. შვეიცარიაში კომპანიების დაახლოებით 40%, რომელთაც შეუძლიათ შეგირდობის უზრუნველყოფა, ასეც აკეთებენ. უფრო პატარა კომპანიები კი ან ზედმეტად სპეციალიზებულნი არიან, ან არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ტრენერები, რაც მათ ურთულესს თავიანთ დაწესებულებებში შეგირდობის შეთავაზებას.</p>	<p>ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც წინასწარ შერჩეული ექსპერტების სპეციალური კომისიის წევრია და კანონითაა დანიშნული, ამოწმებს დამსაქმებლის შესაფერისობას, რამდენად შეუძლია მას პრაქტიკული ტრენინგის უზრუნველყოფა კანონში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. 2015/2016 სასწავლო წლის პირველადმა მონაცემებმა აჩვენა, რომ სტუდენტებსა და კომპანიებს შორის 422 ინდივიდუალური კონტრაქტს მოეწერა ხელი კომპანიებს შორის 89 და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 31 ქოლგა შეთანხმების</p>	<p>ებული ჩართულობისთვის (რომლებიც ქვეყანაში არსებული კომპანიების 95%-ზე მეტია)</p>
--	--	--	--	--

			<p>საფუძველზე. ციფრები აჩვენებს, რომ კომპანიების ინტერესები მნიშვნელოვნად აჭარბებს მიღწეულ ინდივიდუალურ შეთანხმებებს.</p>	
<p><b>სტუდენტის სტატუსი, დაქირავება და სერვისები</b></p>	<p>შეგირდი. შეირჩევა დამსაქმებლის მიერ. ყოვლისმომცველი საკარიერო კონსულტირება და მხარდაჭერის სერვისებს ახორციელებს დასაქმების ფედერალური სააგენტო (BA) Sozialgesetzbuch III [სოციალური კანონმდებლობა] (SGB III)</p>	<p>შეგირდი. შეირჩევა კომპანიის მიერ. პროფესიული, საგანმანათლებლო და საკარიერო კონსულტირების სერვისები ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს ინფორმაციითა და რჩევებით ამარაგებს.</p>	<p>შრომის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, კანდიდატებს აქვთ სტუდენტის და არა დასაქმებულის სტატუსი (შრომითი ხელშეკრულების დასკვნა სტუდენტსა და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ან პროფესიულ ტრენინგ ცენტრს შორის) კომპანიები შეგირდებს ირჩევენ პროფესიული განათლების სტუდენტებიდან.</p>	<p>დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები შეიცავს შეგირდობის პარტნიორების უფლებებისა და პასუხისმგებლობების ნათელ და განხორციელებად ფორმულირებას, ცნობს შეგირდის, როგორც შემსწავლელის უნიკალურ სტატუსს, მაღალი ხარისხის გადამზადების საჭიროების არმქონე ახალგაზრდა შეგირდებს მინიმალურ ხელფასზე უფრო</p>

				მაღალ ანაზღაურებას არ უწესებს და ცალკე განსაზღვრავს ახალგაზრდა შეგირდების მინიმალურ ხელფასს.
<b>დაფინანსება</b>	საჯარო ხარჯი დუალური პროფესიული განათლებისთვის: 5.9 მილიარდი ევრო • 3.2 მილიარდი ევრო საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო სკოლებისთვის, რომლებიც ნახევარგანაკვეთზე ე მუშაობენ; 2.7 მილიარდი ევრო ზედამხედველობი ს, მონიტორინგისა და შემდგომი მხარდაჭერის ლონისძიებებისთვის; 5.6 მილიარდი ევრო დამსაქმებლების კონტრიბუცია	საჯარო დაფინანსება 2010 წელს: 3.4 მილიარდი შვეიცარული ფრანკი, საიდანაც 25% ეკუთვნის კონფედერაციას (რომელიც მოხმარდა პროექტების განვითარებისა და პროფესიული განათლების/ტექ ნიკური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ფედერალური ტექნიკური განათლებისა და გადამზადების	პროფესიულ განათლებაში ჩართული სტუდენტების შემდეგი ხარჯებია დაფარული: გადამზადება და უსაფრთხოების აღჭურვილობის დანახარჯები, საცხოვრებელი ადგილი და ტრანსპორტირება. დღიური ხარჯები, სამოტივაციო სტიპენდიები არამოთხოვნადი პროფესიებისთვის, დაჯილდოვება პროდუქტიული მუშაობისთვის. კომპანიაში დუალური განათლებისა და	დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები გაითვალისწინებს ტრენინგისთვის ხარჯების განაწილებას სამ დაინტერესებულ მხარეს შორის.

	<p>(დუალური პროფესიული განათლების მთლიანი სუფთა დანახარჯი = 23.82 მილიარდი ევრო) განსაკუთრებული სამიზნე ჯგუფების ან სექტორების გადამზადებაში განვითარების საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში, მთავრობა მზადაა კერძო სექტორი უზრუნველყოს დამატებითი წამახალისებლები თ.</p>	<p>გამოცდების ორგანიზებას). 75% კი ეკონომიკიდან გაიღეს ოლქებმა (პროფესიონალი ორგანიზაციები, კომპანიები); ძირითადი ამოცანები (მაგალითად, ტრენინგის შინაარსის განმარტება); შვეიცარული კომპანიების დაახლოებით 30-40% შეგირდების გადამზადებაში იღებს მონაწილეობას. სუფთა ხარჯი: დაახლოებით 5.4 მილიარდი შვეიცარული ფრანკი შესაბამისი პროფესიონალი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე, კონფერენციამ</p>	<p>გადამზადების შემთხვევაში, ყველა ხარჯს თავის თავზე იღებს კომპანია (სტიპენდიის გარდა), სხვა შემთხვევაში კი ხარჯები ეკისრება მთავრობას.</p>	
--	---	---	---	--

		<p>პროფესიული/ტექნიკური განათლების დაფინანსება შეიძლება სავალდებულო გახადოს სფეროში მომუშავე ყველა კომპანიისთვის, რათა ყველა კომპანიამ (ასევე მათ, რომლებიც არ არიან გადამზადებაში ჩართულნი) თავიანთი წვლილი შეიტანონ.</p> <p>თუ შეგირდობა გართულდება, ფედერალურ მთავრობას დამატებითი ფინანსური წამახალისებლები ის შემოთავაზება შეუძლია.</p>		
<p><b>დუალური პროფესიული განათლების</b></p>	<p>კომპანიები და 1600 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო</p>	<p>კომპანიებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო სკოლებს აქვთ</p>		

<p><b>მიმწოდებლები</b></p>	<p>სკოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიულ განათლებას ნახევარ განაკვეთზე.</p>	<p>საკლასო სწავლება როგორც დუალური (ანუ მუშაობა და სკოლაში სწავლა), ასევე სკოლაზე დაფუძნებული (ანუ სრულ განაკვეთზე საკლასო სწავლება და არა შეგირდობა) პროფესიული განათლების პროგრამები. ისინი ასევე სტუდენტებს ამზადებენ ფედერალური პორფესიული განათლების ბაკალავრიატის გამოცდისთვის.</p>		
<p><b>კურიკულუმი ს ორგანიზება</b></p>	<p>საწარმოო (4-5 დღე კვირაში) და სამუშაოზე დაფუძნებული (1-2 დღე კვირაში) ტრენინგის კომბინაცია.</p>	<p>საწარმოო (1-2 დღე კვირაში) და სამუშაოზე დაფუძნებული (4-5 დღე კვირაში) ტრენინგის</p>	<p>საწარმოო და სამუშაოზე დაფუძნებული ტრენინგის კომბინაცია. კლასიკური დუალური</p>	<p>დაგეგმილი ცვლილებები პროფესიული განათლების კანონში ითვალისწინებს შეგირდობის</p>

	<p>დუალური განათლება გრძელდება 2-3.5 წლამდე. განათლებისა და კულტურული ურთიერთობების მინისტრების უწყვეტი კონფერენცია ადგენს კურიკულუმის ჩარჩოს პროფესიული განათლებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო სკოლებში. გადამზადების რეგულაციები განსაზღვრავს ტრენინგის სტრუქტურას და ორგანიზებას, ხოლო ინდივიდუალური კონტრაქტები აზუსტებს სტუდენტის ინდივიდუალურ მიმართულებას.</p>	<p>კომბინაცია. სავაჭრო ასოციაციები/ინსტრუქტორის ორგანიზაციები განსაზღვრავენ ტრენინგის შინაარსს და ეროვნული კვალიფიკაციების პროცედურებს.</p>	<p>მოდელისგან განსხვავებით, ზოგიერთ შემთხვევებში პრაქტიკული ტრენინგის ნაწილი შეიძლება განხორციელდეს სახელოსნოში, თუ პრაქტიკული ტრენინგის შემადგენელი ნაწილები სახელოსნოში არ აჭარბებს ჯამური პრაქტიკული ტრენინგის დატვირთვის 40%-ს.</p>	<p>მინიმალური ხანგრძლივობის დაწესებას, კარიერაში წინსვლის ხელშეწყობას და შეგირდობის სერტიფიკატის ეროვნული აღიარების უზრუნველყოფას.</p>
--	---	---	---	--



<p><b>მასწავლებლები/ინსტრუქტორები</b></p>	<p>გერმანულ პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული საგანმანათლებლო პერსონალის ფართო კატეგორიზაციაა “მასწავლებლები” ან “ტრენერები”. მასწავლებლები მუშაობენ სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო სკოლაში, ხოლო ტრენერები კი არიან კვალიფიციური მომუშავეები საწარმოებში. კომპანიაში არსებულ ტრენერებს უკვე აღარ მოეთხოვებათ თავიანთი ცოდნის დადასტურება პროფესიისა და სამუშაო საგანმანათლებლო თეორიაში</p>	<p>პროფესიულ განათლებაში ჩართული მასწავლებლები (პროფესიულ სკოლებში), ტრენერები (მასპინძელ კომპანიებში) და ინსტრუქტორები (ინდუსტრიის ტრენინგ ცენტრებში) უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ სტანდარტებს. პროფესიული განათლებისა და გადამზადების (EHB IFFP IUFFP) შვეიცარიის ფედერალური ინსტიტუტი პროფესიული/ტექნიკური განათლების პროფესიონალებსა და გამომცდელებს უმთავრესად სთავაზობს</p>		
---	--	--	--	--

	<p>კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით; ასევე, ისინი კანონმდებლობით არ არიან ვალდებული დამატებით ან უწყვეტ გადამზადების აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა.</p>	<p>ძირითად ტრენინგს.</p>		
<p><b>ხარისხის უზრუნველყოფა</b></p>	<p>გერმანიაში ხარისხის უზრუნველყოფა ტრადიციულად ხდება სახელმწიფოს მიერ განათლებსა და გადამზადებაზე ზედამხედველობითა და მონიტორინგით. ახლახან, პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი (BIBB) იქცა პროფესიულ განათლებასა და</p>	<p>პროფესიულ სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფა • QualiCarte – ხარისხის უზრუნველყოფა იმ კომპანიებში, რომლებიც გადამზადებაში არიან ჩართულნი</p>		

	გადამზადებაში ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის (EQAVET) აქტივობების ცენტრალურ ნაწილად.			
--	--	--	--	--

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)

სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე																				
ერთეული	2013				2014				2015				2016				2017			
	ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ		ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ		ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ		ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ		ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>სტუდენტების რიცხოვნობა, სულ</b>	<b>10035</b>	<b>11010</b>	<b>5181</b>	<b>5609</b>	<b>7834</b>	<b>8348</b>	<b>5353</b>	<b>5457</b>	<b>8035</b>	<b>8738</b>	<b>5877</b>	<b>5851</b>	<b>7529</b>	<b>8110</b>	<b>4885</b>	<b>5058</b>	<b>7356</b>	<b>8276</b>	<b>4622</b>	<b>5152</b>
<b>მათ შორის პროგრამების მიხედვით</b>																				
აგრარული მეცნიერებანი	896	1195	389	599	662	855	454	653	626	863	553	599	791	958	479	633	1096	1204	604	693
ბიზნესის ადმინისტრირება	4290	2119	2042	880	2294	1070	1717	667	2290	1248	1839	744	2021	1062	1425	709	1448	703	1122	521
განათლება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	215	1	-	-	98	-	9	-
ინჟინერია	1106	6222	914	3522	764	4466	701	2931	815	4460	532	3194	754	4361	435	2609	769	4567	558	2679
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	-	15	-	11	-	29	-	-	-	38	-	8	6	36	2	17	4	50	2	13
მიმართულება თაშორისი დარგები ან სპეციალობები	4	280	1	131	628	872	75	232	632	1000	442	509	497	781	315	497	664	1032	267	592
სამართალი	213	443	48	89	311	521	463	600	331	526	194	365	265	361	178	248	239	268	208	282
სოციალური მეცნიერებები	94	70	22	10	38	25	41	47	38	27	28	21	143	28	34	4	73	11	36	11
ხელოვნება	1098	264	588	65	1004	178	674	95	1154	228	820	78	1059	251	693	126	1171	198	675	136
ჯანდაცვა	2334	402	1177	302	2133	332	1228	232	2149	348	1469	333	1778	271	1324	215	1794	243	1141	225

მათ შორის ასაკის მიხედვით, წელი																				
<15	10	13	2	-	2	1	1	3	-	-	-	-	1	5	-	1	-	1	-	-
15-17	1463	2964	677	1643	533	1110	121	394	278	615	111	268	611	1277	273	605	635	1467	222	633
18-20	4731	4109	2401	2063	2642	2347	1576	1999	2085	2159	1159	1599	2714	2443	1442	1354	2423	2250	1194	1292
21-23	1822	1731	1227	862	1953	1993	2105	1521	2450	2439	2400	1746	1231	1528	1331	1184	1236	1526	1201	1114
24-26	570	633	259	292	934	982	619	559	1195	1350	883	851	846	953	607	656	779	888	560	637
27-29	394	377	138	153	461	494	235	234	506	634	338	385	493	496	300	311	523	582	318	370
30-32	247	264	124	122	291	345	178	166	336	388	220	259	396	341	202	220	431	379	273	277
33-35	219	191	89	96	236	249	124	122	283	280	189	184	288	274	162	170	324	283	270	236
>35	579	728	264	378	782	827	394	459	902	873	577	559	949	793	568	557	1005	900	584	593
წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო																				

პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

ერთეული

	საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა		ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა		მასწავლებლების რიცხოვნობა	
	კერძო	საჯარო	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>2017 წელი</b>								
თბილისი	45	14	3654	3402	2059	1804	1411	665
აჭარა	10	5	1126	1658	630	935	358	182
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა-მთიანეთი	0	4	306	321	255	261	75	52
კახეთი	3	3	449	672	323	379	161	63
იმერეთი	9	5	400	1011	325	866	337	209
სამეგრელო ზემო სვანეთი	4	4	538	502	420	457	112	48
სამცხე-ჯავახეთი	3	2	332	255	225	190	137	41
ქვემო ქართლი	5	1	258	184	179	114	86	26
შიდა ქართლი	4	4	293	271	206	146	89	32
<b>სულ</b>	<b>83</b>	<b>42</b>	<b>7356</b>	<b>8276</b>	<b>4622</b>	<b>5152</b>	<b>2766</b>	<b>1318</b>
<b>2016 წელი</b>								
თბილისი	46	12	3773	3511	2391	1843	606	1361
აჭარა	4	5	869	1210	578	765	125	260
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი/მცხეთა-მთიანეთი	3	7	682	894	486	602	84	192
იმერეთი	9	3	458	1025	272	876	157	201
სამეგრელო ზემო სვანეთი	4	4	715	720	408	393	66	125

სამცხე-ჯავახეთი	4	2	257	213	277	250	47	153
ქვემო ქართლი	6	1	313	251	150	124	34	104
შიდა ქართლი	6	4	462	286	323	205	32	95
<b>სულ</b>	<b>82</b>	<b>38</b>	<b>7529</b>	<b>8110</b>	<b>4885</b>	<b>5058</b>	<b>1151</b>	<b>2491</b>

**2015 წელი**

თბილისი	60	12	4211	3964	2694	2302	1503	678
აჭარა	4	5	753	1252	706	1008	228	123
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	3	5	656	752	639	723	164	74
იმერეთი	13	3	553	1200	411	690	213	149
სამეგრელო ზემო სვანეთი	8	4	668	572	665	522	124	51
სამცხე-ჯავახეთი	5	2	433	357	311	206	152	51
ქვემო ქართლი	6	1	379	363	243	228	102	33
შიდა ქართლი	6	3	382	278	208	172	110	38
<b>სულ</b>	<b>105</b>	<b>35</b>	<b>8035</b>	<b>8738</b>	<b>5877</b>	<b>5851</b>	<b>2596</b>	<b>1197</b>

**2014 წელი**

თბილისი	58	12	4106	3798	2400	1995	1085	465
აჭარა	5	5	832	1129	773	1054	180	98
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	3	5	683	744	611	716	101	54
იმერეთი	14	3	490	1197	482	779	210	132
სამეგრელო ზემო სვანეთი	8	4	705	562	402	404	73	29
სამცხე-ჯავახეთი	5	2	365	281	260	189	96	39
ქვემო ქართლი	6	1	352	333	226	206	90	31
შიდა ქართლი	6	3	301	304	199	114	98	27
<b>სულ</b>	<b>105</b>	<b>35</b>	<b>7834</b>	<b>8348</b>	<b>5353</b>	<b>5457</b>	<b>1933</b>	<b>875</b>

**2013 წელი**

თბილისი	39	10	4297	4811	2275	2293	744	313
---------	----	----	------	------	------	------	-----	-----

აჭარა	5	5	1935	2240	923	1118	130	64
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	4	3	649	881	261	454	89	45
იმერეთი	8	2	955	1364	625	665	200	105
სამეგრელო ზემო სვანეთი	5	4	885	755	499	432	112	50
სამცხე-ჯავახეთი	3	2	457	285	59	74	52	22
ქვემო ქართლი	5	1	480	395	414	460	60	23
შიდა ქართლი	6	2	377	279	125	113	93	24
<b>სულ</b>	<b>75</b>	<b>29</b>	<b>10035</b>	<b>11010</b>	<b>5181</b>	<b>5609</b>	<b>1480</b>	<b>646</b>

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.



**კვლევის მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის მიმართ სასწავლებლების დამოკიდებულებების შესწავლა.**

კვლევის ჩატარების ვადები/თარიღი- 2017 წლის 8–20 აგვისტო

მეთოდი - თვისებრივი კვლევა

კვლევის ტექნიკა- ჩაღრმავებული ინტერვიუ

ჩაღრმავებული ინტერვიუს მიზანია პროფესიული სასწავლებლის

წარმომადგენლის/ების აზრისა და შეხედულებების სიღრმისეული შესწავლა.

**კვლევაში მონაწილე სამი სამიზნე ჯგუფი :**

1. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების „იკაროსის“ პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი- დირექტორი: რუსუდან ჩართოლანი
2. საზოგადოებრივი კოლეჯი ”აისი”; რაიონი: გურჯაანი; მისამართი: სოფ. კაჭრეთი. ადმინისტრაციის წარმომადგენელი- დირექტორი: მალხაზ ასლამაზაშვილი
3. პროფესიული კოლეჯი ”მერმისი”; მისამართი: დ. გურამიშვილის 72/ზ; ადმინისტრაციის წარმომადგენელი -დირექტორი: ნონა ლუდუშაური

**ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა-** ინტერვიუ ჩატარდა სამ კომპანიაში.

სადაც გამოიკითხა ხელმძღვანელები და ადმინისტრაციის თანამსრომლები

**შერჩევის მეთოდი-** მიზნობრივი შერჩევა (სასწავლებელი, რომელსაც ჰყავს სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობა და ქმნის საბაზრო მოხმარების საქონლს)

**კვლევის არეალი-** ქალაქი თბილისი და რეგიონი: გურჯაანი

ინტერვიუს ხანგრძლივობა -2 საათი

ინტერვიუ განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარით. ამასთან, ჩაღრმავებული ინტერვიუ არის ნახევრად სტრუქტურირებული, რაც საშუალებას იძლევა , იმ შემთხვევაში, თუ რეპონდენტის პასუხი ბუნდოვანი ან ზედაპირული იქნება და ვერ მოხერხდება საყურადღებო ინფორმაციის ამოღება, შესაძლებლობას იძლევა რესპონდენტს ჩაღრმავებული კითხვები დავუსვათ.

საზოგადოებრივი კოლეჯი : „იკაროსი“

კოლეჯის დირექტორი: რუსუდან ჩართოლანი

1. იურიდიული სტატუსი: ა(ა)იპ

2. სპეციალობები:

კოლეჯში ფუნქციონირებს 7 ძირითადი პროგრამა: კულინარიული ხელოვნების, სარესტორნო საქმის / კვებისა და სასმელების სერვისი, სასტუმრო საქმის პროგრამები, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე.

აქვს 9 სპეციალობა ესენია: მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, ბართენდერი(ბარმენი), სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მიმღებ რეცეფციონისტი, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე, კონსულტანტ-გამყიდველი.

3. რამდენად არის სტუდენტების დაინტერესება აღნიშნულ სპეციალობებისადმი?

ყოველწლიურად იზრდება აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა. მისაღები გამოცდების პერიოდში რეგისტრანტთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება კოლეჯის მიერ გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას.

4. როგორ ხდება სტუდენტთა ჩარიცხვა?

კონდიტერის პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების გავლის შემდეგ; პირმა, რომელმაც წარმატებით გაიარა ზემოთაღნიშნული ტესტირება და მოხვდა რანჟირების სიაში კოლეჯში უნდა წარმოადგინოს 9 კლასის დამადასტურებელი საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და სხვა დამატებითი საბუთები; რის შემდგომაც იდება ორმხრივი ხელშეკრულება და ხდება ჩარიცხვა პროფესიულ სასწავლებელში.

5. როგორ არის სასწავლო პროცესი დაგეგმილი, თეორიული და პრაქტიკული ნაწილი?

პროგრამა კონდიტერი შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან. გადანაწილება არის 40%-60%. პრაქტიკული კომპონენტი იყოფა ორ ნაწილად-სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. სასწავლო პრაქტიკული კომპონენტი შედგება 5 საგნისგან. თეორიული და პრაქტიკული საგნები ისწავლება პარალელურ რეჟიმში.

კოლეჯის პედაგოგები არიან თბილისში არსებული სასტუმრო რესტორნების, ტურსააგენტოებისა და კაფებარების წამყვანი შეფმზარეულები, შეფკონდიტრები,

გიდები, მენეჯერები. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი არის 85%.

6. რამდენად მზად ხართ პრაქტიკული ნაწილი ჩაატაროთ თვითონ სასწავლებელში? აღჭურვილი ხართ თუ არა შესაბამისი ინვენტარით, მასალით? კი/არა.

7. რის ხარჯებს გიფარავთ სახელმწიფო ?  
კონდიტერის პროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფო გვიფარავს ყველა ხარჯს, ესენია: მასალა , მცირეფასიანი ინვენტარი, კომუნალური ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი.

8. გაქვთ თუ არა საკუთარი წარმოება?-სასწავლო საწარმო?  
კი /არა

9. რა პროდუქტის ასორტიმენტს ქმნით კონდიტერის პროგრამაში?

- ნამცხვარი
- ტორტი
- შაქრის ყვავილი
- შოკოლადის ნაწარმი
- კარამელი

10. იცით თუ არა , რომ კანონით რეალიზაციის უფლება გაქვთ ?  
კი/არა

11. სახელმწიფომ, რომ მოგცეთ გაყიდვის უფლება , რომელი პროდუქტის გატანას შეძლებდით ბაზარზე?

ნამცხვარი : შუ

12. როგორ იანგარიშებდით ფასს?

იმ შემთხვევაში თუ საწარმო ობიექტი იქნება კოლეჯის მიერ იჯარის ფორმით დაქირავებული:

1. ნედლეულის ღირებულება (შესყიდვა ხორციელდება ტენდერით);
2. კომუნალური ხარჯი(დენი,წყალი, გაზი);

3. პედაგოგის ანაზღაურება;
4. პროდუქციის შექმნისას მონაწილე სტუდენტების შრომითი ანაზღაურება;
5. ადმინისტრირება;
6. იჯარა
7. სხვა საბიუჯეტო გადასახადები

**13. რა იქნება თქვენი პროდუქტის თვითღირებულება? და როგორი ფასით გსურთ გაყიდოთ ის ბაზარზე?**

პროდუქტის ფასი დამოკიდებული იქნება ზემოთაღნიშნულ ხარჯებზე და წარმოების სიდიდეზე. სავარაუდო ფასი მაგ. ნამცხვარი შუ: **1ლარი**

**14. რა სარგებელი ექნება კოლეჯს? სტუდენტს?მასწავლებელს?**

კოლეჯს შესაძლებლობა ექნება შემოსული თანხებით გააუმჯობესოს კოლეჯის ინფრასტრუქტურა; გარკვეულწილად შეამციროს მოთხოვნა პროგრამული დაფინანსების;

სტუდენტი გამოიმუშავებს საწარმოში მუშაობის ყველა უნარ-ჩვევას; ასევე მიიღებს შესრულებული სამუშაოს შესაბამის შრომის ანაზღაურებას;

მასწავლებელს გაუჩნდება დამატებითი შემოსავლის წყარო.

დამსაქმებელს საშუალება ექნება წარმოებაში დააკვირდეს მომუშავე სტუდენტს და ადგილზევე შეარჩიოს მისთვის სასურველი კადრი.

**სახელმწიფო?**

კოლეჯი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გადაიხდის არსებული კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

**15. შეგიძლებთ თუ არა გაზარდოთ წარმოების მოცულობა?**


ამ ეტაპზე კოლეჯს არ აქვს წარმოება.

**16. რას ფიქრობთ კანონის შესახებ რომელიც ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას იძლევა?**

სასწავლო საწარმო რეალური საწარმოს კონკურენტი არ უნდა გახდეს. სასწავლო საწარმო უნდა იყოს პირველ რიგში ხარისხზე ორიენტირებული და არა მოგებაზე. სასწავლო საწარმო უნდა იყოს ის ადგილი სადაც ნებისმიერ კერძო კომპანიას შესაძლებლობა მიეცემა დააკვირდეს საწარმოში მომუშავე სტუდენტების სამუშაო პროცესს და შეარჩიოს მათთვის სასურველი კადრი.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოს მიერ ამავე პროდუქტის საშუალო ფასი იცვლება 1 ლარი 40 თეთრი -2 ლარის ფარგლებში  
 ბაზარზე ამ პროდუქტის ფასი: (ყველაზე დაბალი ხარისხის, კვერცხის ფხვნილზე დამზადებული ღირს 1,40 ).

საკონდიტრო ნაწარმი



საზოგადოებრივი კოლეჯი : „კაჭრეთი“

კოლეჯის დირექტორი: მალხაზ ასლამაზაშვილი

1. იურიდიული სტატუსი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

2. სპეციალობები:

კოლეჯში ფუნქციონირებს 37 პროგრამა. მათ შორის არის სპეციალობები: მევენახე-მეღვინე, მზარეული, მეფუტკრე, ფერმერი, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი.

3. რამდენად არის სტუდენტების დაინტერესება აღნიშნულ სპეციალობებისადმი?

ბოლო სამი წლის მანძილზე გამოიკვეთა უფრო მეტი დაინტერესება აღნიშნული პროფესიების მიმართ, ამალდა მოტივაციაც. გაჩნდა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები.

4. როგორ ხდება სტუდენტთა ჩარიცხვა?

აპლიკანტი რეგისტრირდება, აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას, რანჟირების დოკუმენტის გამოცემის შემდგომ ხდება ჩასარიცხი აპლიკანტებისათვის ხემკრულეების და ბრძანებების გამოცემა და ბაზაში ასახვა.

5. როგორ არის სასწავლო პროცესი დაგეგმილი, თეორიული და პრაქტიკული ნაწილი?

მაგ.1: ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებლის პროგრამისთვის სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ სწავლების თეორიულ ნაწილს, დაახლოებით 40 %-ია გადის სასწავლებელში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი, რომელიც სასწავლო პროგრამის 60%-ი აგადის ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელ მცირე საწარმოში (ასევე კოლეჯში).

6. რამდენად მზად ხართ პრაქტიკული ნაწილი ჩაატაროთ თვითონ სასწავლებელში? ადჭურვილი ხართ თუ არა შესაბამისი ინვენტარით, მასალით?

კი/არა

კოლეჯს ყველა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელსაც ის ახორციელებს აქვს პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

#### 7. რის ხარჯებს გიფარავთ სახელმწიფო ?

სასწავლებელს აქვს ორი ტიპის დაფინანსება.

ესენია: სუბსიდია და ვაუჩერული.

სუბსიდიით ხდება ადმინისტრაციული და სამეურნეო ხარჯების დაფარვა

ვაუჩერით - სასწავლო მასალების შეძენა და მასწავლებელთა ხელფასის დაფარვა

#### 8. გაქვთ თუ არა საკუთარი წარმოება?სასწავლო საწარმო?

ჰო/არა

სასწავლო საწარმო:

დაწესებულებას აქვს სასწავლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო საწარმო, მაგ.: მეცხოველეობის ფერმა, ვენახი, ბაღი, საფუტკრე მეურნეობა-სკები, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი მინი საკონსერვო ქარხანა,თანამედროვე და ტრადიციული ღვინის მარნები, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში.

#### 9. რა პროდუქტის ასორტიმენტს ქმნით?

- მწვანე და წითელი ტყემალი
- წვენი-უეკლო მაყვლის, ალუბლის, ატმის, ტყემლის, ყურძნის
- ღვინო
- არაყი
- მწნილი-კიტრის
- მურაბა
- თაფლი

#### 10. იცით თუ არა , რომ კანონით რეალიზაციის უფლება გაქვთ ?

კი, საკუთარი სახსრებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება გვაქვს, ხოლო სასწავლო პროცესის შედეგად შექმნილი პროდუქციის - არა

#### 11. სახელმწიფომ, რომ მოგცეთ გაყიდვის უფლება , რომელი პროდუქტის გატანას

შეძლებდით ბაზარზე?

კიტრის მწნილი

წვენი-უეკლო მაყვლის, ალუბლის, ატმის, ტყემლის, ყურძნის  
ღვინო  
არაყი  
მწნილი-კიტრის  
მურაბა  
თაფლი

## 12. როგორ იანგარიშებდით ფასს?

პროდუქტს არ ვყიდულობთ, მოგვყავს ჩვენს ბაღში. ვმოქმედებთ პრინციპით „ბოსტნიდან სუფრამდე“. კოლეჯს აქვს ხეხილის ბაღები, უეკლო მაყვალი, ვენახი, ბოსტანი და საფუტკრე მეურნეობა. შესაბამისი პროფესიის სტუდენტების მიერ ხდება პროდუქციის მოყვანა, გადამუშავება და საბოლოო სახის მიცემა. სწავლების პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება შედარებით დაბალია და შესაბამისად აღნიშნული გარემოება აისახება საბოლოო ფასზე.

## 13. რა იქნება თქვენი პროდუქტის თვითღირებულება? და როგორი ფასით გასურთ გაყიდოთ ის ბაზარზე?

კიტრის მწნილი - 1 კგ - თვითღირებულება - 2,5 ლარი, სარეალიზაციო - 3 ლარი

წვენი-1 ლ - (უეკლო მაყვლის, ალუბლის, ატმის, ტყემლის, ყურძნის) -

თვითღირებულება - 1,5, სარეალიზაციო - 2 ლარი

ღვინო - 1 ლ - თვითღირებულება - 1,5 ლარი, სარეალიზაციო - 2 ლარი

არაყი - 1 ლ - თვითღირებულება - 2,5 ლარი, სარეალიზაციო - 3 ლარი

თაფლი - 1 კგ - თვითღირებულება - 10 ლარი, სარეალიზაციო - 12 ლარი

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კიტრს საკუთარი ბოსტნიდან იღებენ. რომელიც, პროფესიული პროგრამა „მებაღეობის“ ფარგლებში აქვთ მოყვანილი.

## 14. რა სარგებელი ექნება კოლეჯს? სტუდენტს? მასწავლებელს?

გაიზრდება კოლეჯის საკუთარი შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან, რაც მოხმარდება ისევ კოლეჯის ინფრატრუქტურის განვითარებას, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში; აღნიშნული შემოსავლებიდან კოლეჯს მიეცემა საშუალება გაზარდოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება; სტუდენტებს გამოუმუშავდებათ უფრო მაღალი პროფესიული



კომპეტენციები, მიეცემათ დამატებითი ანაზღაურება და წარმატებული სტუდენტები დასაქმდებიან.

### სახელმწიფო?

კოლეჯი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გადაიხდის არსებული კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

### 15. შეგიძლებთ თუ არა გაზარდოთ წარმოების მოცულობა?

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით კოლეჯი შეძლებს გაზარდოს წარმოების მოცულობა გარკვეულ ზღვრამდე, თუმცა ის ვერ იქნება კონკურენციაში ბიზნესთან.


### 16. რას ფიქრობთ კანონის შესახებ რომელიც ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას იძლევა?

არ უნდა გავუწიოთ კონკურენცია ბიზნესს.

ახალი კანონი ბევრ სიკეთესოს მოუტანს პროფესიულ განათლებას, აღმოიფხვრება ჩიხები, რომლებიც დღეს არსებობს; გაიზრდება კოლეჯის შემოსავლები, განვითარდება კოლეჯის ინფრატრუქტურა, მოხდება მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოს მიერ ამავე პროდუქტის საშუალო ფასი მერყეობს 4 ლარი 7 0თეთრი -6 ლარის ფარგლებში .

საკონსერვო ნაწარმი



## საზოგადოებრივი კოლეჯი : „მერმისი“

კოლეჯის დირექტორი: ნონა ლუდუშაური

### 1. იურიდიული სტატუსი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

### 2. სპეციალობები:

3. კოლეჯში ხორციელდება 34 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური). გამოვყოფდით შემდეგ სპეციალობებს, ესენია: **სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი**, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, თექის ოსტატი, მემინანქრე.

### 4. რამდენად არის სტუდენტების დაინტერესება აღნიშნულ სპეციალობებისადმი?

აღნიშნულ სპეციალობებისადმი დაინტერესება დიდია, გამომდინარე იქიდან, რომ მიღებისას დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა ხშირად აჭარბებს მისაღები სტუდენტების რაოდენობას.

### 5. როგორ ხდება სტუდენტთა ჩარიცხვა?

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს დაწესებულება. ტესტირების ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

პროფესიული ტესტირების ჩაბარების შემდეგ, რანჟირების დოკუმენტში მოხვედრის შემთხვევაში, პირადი განცხადებისა და კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აპლიკანტი ირიცხება კოლეჯში პროფესიულ სტუდენტად.

**6. როგორ არის სასწავლო პროცესი დაგეგმილი, თეორიული და პრაქტიკული ნაწილი?**

„სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელსაც ადგენს დაწესებულება პროგრამის შემუშავებისას. საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც ახორციელებს კოლეჯი, ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს.

1) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ პრაქტიკული ნაწილი შეადგენს პროგრამის მოცულობის 60 %-ს, ხოლო თეორიული ნაწილი - პროგრამის მოცულობის 40%-ს.

2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ მოდულებში ასევე გაწერილია თეორიული და პრაქტიკული საათების რაოდენობა. პრაქტიკულ ნაწილს ეთმობა პროგრამის მოცულობის 63.2%.

**7. რამდენად მზად ხართ პრაქტიკული ნაწილი ჩაატაროთ თვითონ სასწავლებელში?**

**აღჭურვილი ხართ თუ არა შესაბამისი ინვენტარით, მასალით?**

კი/არა

კოლეჯი მზადაა პრაქტიკული ნაწილის სასწავლებელში ჩატარებისთვის.

**8. რის ხარჯებს გიფარავთ სახელმწიფო ?**

ვაუჩერული დაფინანსებით იფარება პედაგოგის ხელფასი და მასალის ხარჯი; პროგრამული დაფინანსებით იფარება კოლეჯის სხვა დანარჩენი ხარჯი.

**9. გაქვთ თუ არა საკუთარი წარმოება?-სასწავლო საწარმო**

ჰო/არა

**10. რა პროდუქტის ასორტიმენტს ქმნით?**

კოლეჯში იქმნება ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმელი

**11. იცით თუ არა , რომ კანონით რეალიზაციის უფლება გაქვთ ?**

კი/არა

12. სახელმწიფომ, რომ მოგცეთ გაყიდვის უფლება, რომელი პროდუქტის გატანას შეძლებდით ბაზარზე?

ბავშვის კაბა

13. როგორ იანგარიშებდით ფასს?

ფასის გაანგარიშება უნდა მოხდეს შექმნილი პროდუქციის მასალის ღირებულების, გაწეული კომუნალური ხარჯის, ადმინისტრირების ხარჯის და კანონით გათვალისწინებული გადასახადის გათვალისწინებით.

14. რა იქნება თქვენი პროდუქტის თვითღირებულება? და როგორი ფასით გსურთ გაყიდოთ ის ბაზარზე?

სავარაუდო ფასი, ბავშვის კაბის თვითღირებულება 12 ლარი, სარეალიზაციო ფასი - 14 ლარი.

15. რა სარგებელი ექნება კოლეჯს? სტუნენტს?მასწავლებელს?

სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის საბაზრო ფასით რეალიზების შედეგად სარგებელი (მიღებული შემოსავალი) შესაძლებელია ჰქონდეს კოლეჯს.

რეალიზაციიდან მიღებული კოლეჯისათვის დარჩენილი თანხა მოხმარდება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, თანამშრომელთა და სტუდენტთა წახალისებას.

16. შეძლებთ თუ არა გაზარდოთ წარმოების მოცულობა?

არა

17. რას ფიქრობთ კანონის შესახებ რომელიც ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას იძლევა?

მოქმედი კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს კანონმდებლობით. ამასთანავე კანონით ან ნორმატიული აქტით მკაცრად უნდა განისაზღვროს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების წესი და

რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის განაწილებისა და განკარგვის წესი.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოს მიერ ამავე პროდუქტის საშუალო ფასი იცვლება 40 ლარი -80 ლარის ფარგლებში .

სამკერვალო ნაწარმი

